საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

სპეციალური ანგარიში

ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება

თბილისი 2021

ანგარიში მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით.
მასში გამოთქმული მოსაზრებები, არ არის აუცილებელი,
ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მკვლევარები:
თამარ დეკანოსიძე
მაია ცირამუა
ლიკა ღვინჯილია

კვლევის მეთოდოლოგიის ავტორები:
თამარ დეკანოსიძე
მაია ცირამუა

აქრონიმები

UNICEF – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
CRC – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი
GREVIO – ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ
და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ
CEDAW – გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
ECtHR – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
UNFPA – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი
SDG Fund – მდგრადი განვითარების მიზნების ფონდი
NICHD – ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ინსტიტუტი
სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი
სასკ – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სარჩევი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 7

ძირითადი მიგნებები 10

I. კანონმდებლობა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა
და ექსპლოატაციის შესახებ 14

1. საერთაშორისო ინსტრუმენტები ბავშვის მიმართ სექსუალური
ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულებთან მიმართებით 14

2. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ
სექსუალური ძალადობის შესახებ და არსებული ხარვეზები 16

II. მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები 25

1. საერთაშორისო სტანდარტები გამოძიების, სისხლისსამართლებრივი
დევნისა და სასამართლო განხილვის შესახებ 25

2. მტკიცებულებითი სტანდარტები სექსუალური ძალადობის საქმეებზე 28

3. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის
შეწყვეტის შესახებ არსებული პრაქტიკა 36

III. მეორეული ვიქტიმიზაციისგან მსხვერპლის დაცვა 45

1. საერთაშორისო სტანდარტები 45

2. საქართველოს კანონმდებლობა 46

3. ცალკეული პროცედურული საკითხები გამოძიების
და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე 48

3.1. საერთაშორისო სტანდარტი 48

3.2. საქართველოს კანონმდებლობა 50

3.3. არსებული პრაქტიკა 51

3.4. საგამოძიებო ექსპერიმენტი 57

3.5. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა 58

3.6. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა
საქალწულე აპკის მდგომარეობის დასადგენად 59

3.7. სასამართლო ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა 62

3.8. დისკრიმინაციისგან დაცვა 69

3.9. პირადი ინფორმაციის დაცვა და ინფორმირების ვალდებულება 70

IV. არასრულწლოვანი დაზარალებული სასამართლო განხილვის დროს 72

1. საერთაშორისო სტანდარტი სასამართლო განხილვის შესახებ არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებით 72

2. საქართველოს კანონმდებლობა სასამართლო განხილვის დროს არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებით 72

3. არასრულწლოვანი დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის პრაქტიკა 73

V. დამატებითი დაბრკოლებები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის 85

VI. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები 87

დასკვნა 89

რეკომენდაციები 91

დანართი: ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაცია 97

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი არის სპეციალური ანგარიში, რომელიც 2020 წლის ივლისიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვზე სექსუალური ძალადობის საქმეების მონიტორინგის მიზნით", ფარგლებში, არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

სახალხო დამცველის აპარატი, წლებია, მიუთითებს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან დროული, ეფექტიანი და კოორდინირებული რეაგირება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შესაბამისი გადამზადების მქონე, ყველა საჭირო კადრის ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასადაცვად და დადებითად აისახება მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობაზე. თუმცა, ქვეყანაში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მომუშავე კადრების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება ამ მხრივ არსებულ საჭიროებას. მაგალითად, 2014-2020 წლებში სულ **1,092 არასრულწლოვანი** ცნეს დაზარალებულად სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციების დანაშაულებზე, აქედან 2018-2019 წლებში – **317 არასრულწლოვანი**, თუმცა სახელმწიფო ზრუნვის ბაზაზე, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ **13 ფსიქოლოგის** კადრი არსებობს.[1] პრობლემურია ასევე, შესაბამისი სპეციალისტების უშუალოდ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკაზე კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. კიდევ უფრო მწვავედ დგას სახელმწიფოში უშუალოდ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულების მსხვერპლ ბავშვებზე ორიენტირებული სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობა, ხოლო არსებული მწირი რესურსი ვერ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვისა და მისი ოჯახის რეაბილიტაციას და ვერ ქმნის მათ ეფექტიან მხარდაჭერაზე ორიენტირებულ გარემოს.

კვლევის მთავარი მიზანი იყო სექსუალური ძალადობისა და ექპლოატაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შეფასება ინტერდისციპლინური, არასრულწლოვან მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე რეაგირების განხორციელების ყველა ეტაპი მათ შორის, დანაშაულის გამოვლენა, მართლმსაჯულების განხორციელება და არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის სარეაბილიტაციო და მხარდამჭერი ღონისძიებებით უზრუნველყოფა.

[1] სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/4360, თარიღი: 30/06/2020. საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენციები: №13/38462, თარიღი: 13/07/2020, №13/16988, თარიღი: 25/03/2021.

პროექტის ფარგლებში მოხდა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე საერთო სასამართლოების 2018-2019 წლის ყველა განაჩენის (169 განაჩენი) და გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ 2018-2019 წლის ყველა დადგენილების (119 დადგენილება) გაცნობა. გარდა ამისა, ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყებიდან. კვლევის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართულ სპეციალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

მეთოდოლოგია

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულების მონიტორინგი და კვლევა განხორციელდა „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

კვლევის მიზანია ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის საკითხებზე არსებული კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესების შეფასება ინტერდისციპლინური, არასრულწლოვან მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე კვლევა შეიმუშავებს რეკომენდაციებს კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

კვლევის მიზნებისთვის, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებში იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება); 138-ე (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება); 139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება); 140-ე (სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში); 141-ე (გარყვნილი ქმედება); 255[2]-ე (არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისთვის); 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა); 254-ე (პროსტიტუციის ხელშეწყობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

კვლევა მოიცავს ამ მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეებს, რომლებზეც განაჩენი დადგა, ან გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 2018-2019 წლებში. კვლევა მოიცავს მხოლოდ იმ დანაშაულებს, სადაც დაზარალებული, დანაშაულის ჩადენის მომენტში, 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია.

საწყის ეტაპზე, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების[2], გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარების, ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის (ლანზაროტის კონვენცია)[3], მისი განმარტებითი ბარათის და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების კარგი პრაქტიკის გაიდლაინებით გათვალისწინებული სტანდარტების საფუძველზე შემუშავდა კვლევისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია, ასევე, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მომუშავე სპეციალისტების, **მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების, ადვოკატებისა და ფსიქოლოგებისთვის** განკუთვნილი კითხვარები.

კვლევის ამავე ეტაპზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან და სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ საჭირო ინფორმაცია. პროექტის ფარგლებში, კვლევის მიზნებიდან გა-

[2] კონვენცია მიღებულია 1989 წელს. საქართველომ რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ მიღებულია 2000 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2010 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ მიღებულია 2000 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2005 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ, მიღებულია 2011 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2016 წელს.

[3] კონვენცია მიღებულია 2007 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2014 წელს.

მომდინარე, სახალხო დამცველის აპარატს კომუნიკაცია ჰქონდა საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან, სააპელაციო სასამართლოებთან და ყველა რელევანტურ პირველი ინსტანციის სასამართლოსთან. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ინფორმაცია გამოვითხოვეთ: საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურიდან, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიიდან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდიდან.

კვლევის **მეორე ეტაპზე** გაანალიზდა ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის შესახებ არსებული პრაქტიკა. კერძოდ, შევისწავლეთ სისხლის სამართლის კოდექსის (*შემდგომში – სსკ*) 137-141, 255-255[2] მუხლებით ჩადენილ დანაშაულებზე საერთო სასამართლოების **169 განაჩენი** და სისხლის სამართლის საქმის **გამოძიებისა** და კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ **119 დადგენილება**. ამასთანავე, კვლევის პროცესში მოხდა სისხლის სამართლის **52 საქმის სრული მასალების** გამოთხოვა და ანალიზი.[4] კერძოდ, საერთო სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ საქმის მასალები – სსკ-ს 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებული 10 საქმე, 138-ე მუხლით დაკვალიფიცირებული 9 საქმე, 139-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ერთი საქმე, 140-ე მუხლით დაკვალიფიცირებული 13 საქმე, 141-ე მუხლით დაკვალიფიცირებული 18 საქმე და 255[1]-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ერთი საქმე. შესწავლილი საქმეებიდან 5-ზე დადგა გამამართლებელი განაჩენი, ერთ საქმეზე – ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი, ერთი საქმე გადაკვალიფიცირდა, ხოლო 5 საქმე შეწყდა ბრალდებულის შერაცხადობის არქონის საფუძველზე, დანარჩენ 39 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელთაგანაც 11 იყო საპროცესო შეთანხმება. ამასთანავე, შესწავლილი საქმეებიდან 19 – სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 10 უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება შეიცვალა.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ 15 დადგენილება, 4 დადგენილება სსკ-ს 138-ე მუხლზე, ერთი – სსკ-ს 139-ე მუხლზე, 73 დადგენილება სსკ-ს 140-ე მუხლზე, 22 დადგენილება სსკ-ს 141-ე მუხლზე და 2 დადგენილება სსკ-ს 255-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე. ამასთან, განხორციელდა 140-ე მუხლით მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ 2 დადგენილების ანალიზი.

[4] ბათუმის საქალაქო სასამართლო – 8 საქმე, გორის რაიონული სასამართლო – 4 საქმე, ზესტაფონის რაიონული სასამართლო – 2 საქმე, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო – 3 საქმე, რუსთავის საქალაქო სასამართლო – 4 საქმე, სამტრედიის რაიონული სასამართლო – 3 საქმე, სენაკის რაიონული სასამართლო – 1 საქმე, ფოთის საქალაქო სასამართლო – 2 საქმე, ხაშურის რაიონული სასამართლო – 2 საქმე, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო – 2 საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლო – 13 საქმე, მცხეთის რაიონული სასამართლო – ერთი საქმე, ქუთაისის საქალაქო სასამართლო – ერთი საქმე, ზუგდიდის რაიონული სასამართლო – ერთი საქმე. ახალციხის რაიონული სასამართლო – ერთი საქმე, ბოლნისის რაიონული სასამართლო – 3 საქმე.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული კორესპონდენციებით[5] გვეცნობა, რომ 2018-2019 წლებში არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსის 253-254 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოძიება არ დაწყებულა, გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა და სასამართლოს განაჩენი არ დამდგარა.

კვლევის ფარგლებში და სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით, ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე 29 სპეციალისტთან, კერძოდ, მოსამართლეებთან, პროკურორებთან, გამომძიებლებთან, ადვოკატებთან, ფსიქოლოგებთან და სოციალურ მუშაკთან. ამასთანავე, ონლაინ შეხვედრა გაიმართა შსს-ს აკადემიის ფსიქოლოგთა განყოფილების უფროსთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ხელმძღვანელთან და ფონდის ფსიქოლოგთან. გადატვირთულობის საფუძველზე, კვლევაში წერილობით მიიღო მონაწილეობა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის 5-მა ფსიქოლოგმა.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა სამართლებრივი ექსპერტისა და ექსპერტი ფსიქოლოგის მონაწილეობით, რის საფუძველზეც შემუშავდა კვლევის მიგნებები და სახალხო დამცველის რეკომენდაციები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე, კანონმდებლობის, პრაქტიკისა და ბავშვ დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის საქართველოს საერთო სასამართლოებს, თითოეულ სახელმწიფო უწყებას, ორგანიზაციას და შესაბამის სპეციალისტებს.

[5] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/70869, თარიღი: 23/12/2020; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020; საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №ოს/383-20, თარიღი: 16/11/20.

ძირითადი მიგნებები

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებთან ბრძოლა, მისი პრევენცია და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ქმედითი მექანიზმების არარსებობა, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო ინსტრუმენტები[6], რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს გააუმჯობესოს კანონმდებლობა და პოლიტიკა და ადგენს მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის ვალდებულებას, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორც სამართლებრივი რეგულირების კუთხით, ისე პრაქტიკაშიც. კერძოდ, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბავშვზე სექსუალური ძალადობის დანაშაულების დროული გამოვლენა/აღკვეთა, მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა.

არსებული კანონმდებლობა და მტკიცებულებითი სტანდარტები ვერ პასუხობს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკას, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. სახელმწიფო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, ვერ იცავს მათ მეორეული ვიქტიმიზაციისგან და არ გააჩნია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სერვისები. კერძოდ:

- საქართველოს კანონმდებლობა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ, არ შეესაბამება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, ლანზაროტის კონვენციის, სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებს. კერძოდ, არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა (სსკ. მუხლი 137). ასევე, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა (სსკ. მუხლი 138).
- სსკ-ს 139-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არასრულწლოვანთან მიმართებით (ისევე როგორც სრულწლოვნის შემთხვევაში), უნდა წარმოადგენდეს გაუპატიურებას და არა იძულებას.[7] არსებული რეგულაცია (სსკ-ის 137-ე და 139-ე მუხლების არსებობა) ფაქტობრივად იძლევა გაუპატიურების ტოლფას ქმედებაზე ორი სახის სხვადასხვა დანაშაულის არსებობის შესაძლებლობას, რომელთაგან ერთი მძიმე დანაშაულია (მუხლი 137), ხოლო მეორე – ნაკლებად მძიმე დანაშაული (მუხლი 139).

[6] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.

[7] იხ. მსგავს საკითხზე GREVIO Baseline Evaluation Report Spain, 2020, პარ. §220. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-s-report-on-spain/1680a08a9f [ბოლოს ნანახია: 04/2021]

- სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის არსებული ფორმულირებით, არასრულწლოვანს, ფაქტობრივად, ნებისმიერ ასაკში შეუძლია თანხმობის გაცემა სექსუალურ ურთიერთობაზე (მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი თანხმობა არავალიდურია და თანხმობის შემთხვევაშიც ქმედება დანაშაულად მიიჩნევა). კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქვედა ზღვარს, როდესაც თანხმობის შეფასება არ უნდა ხდებოდეს და არასრულწლოვანი ავტომატურად უნდა მიიჩნეოდეს ასაკის გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირად.

- საქართველოს კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების[8] საწინააღმდეგოდ, არ ახდენს არასრულწლოვნისგან „სექსის ყიდვის" კრიმინალიზებას და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ადგენს[9] პროსტიტუციაში ჩართული არასრულწლოვნისთვისაც.

- სახელმწიფო უწყებების მხრიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გარანტირებული ბავშვზე მორგებული მიდგომების უზრუნველყოფისა და არასრულწლოვნების დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმების აღსრულება კვლავ დაბრკოლებას წარმოადგენს.

- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების კვალიფიკაციის და მათზე მართლმსაჯულების განხორციელებისას კვლავ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური ძალადობის საკითხს და სათანადო ყურადღება არ ექცევა არასრულწლოვნის ნების დამთრგუნველ გარემოებებს. ამგვარი მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს სექსუალური ძალადობის შემთხვევების უდიდეს ნაწილს, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით არ არის ჩადენილი და მსხვერპლი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ მიმართავდა.

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტი,[10] რომელიც განიმარტება, როგორც ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, არსებითად შეუსაბამოა ბავშვზე სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკასთან და აფერხებს დანაშაულებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული დისკრიმინაციული სტანდარტია და საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებზე დაყრდნობით გადასინჯვას საჭიროებს.

- არაერთგვაროვანია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებების წარმოების ტექნიკა. დადგენილებები ხშირად არ იძლევა შემთხვევაზე უწყების მხრიდან განხორციელებული რეაგირების სრულ მონაცემებს, რაც, შესაძლებელს გახდიდა ბავშვზე სექსუალური ძალადობის საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე განხორციელებული რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.

[8] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 19.1; იხ. ასევე, ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენციის სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ განმარტებითი ანგარიში, 2007, §130.

[9] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 1733

[10] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13(2)

- სამართალდამცავ უწყებებსა და სასამართლო შენობებში, ერთეული გამონაკლისების გარდა, არ არის შექმნილი არასრულწლოვანზე მორგებული გარემო. აღნიშნული გულისხმობს სათანადოდ მოწყობილი ოთახის არსებობას, სადაც შესაძლებელი იქნება განცალკევებით, უცხო პირებთან ინტერაქციის გარეშე, მხოლოდ შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, არასრულწლოვანის გამოკითხვა, ასევე, სასამართლო პროცესის დროს დისტანციური დაკითხვა.

- ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე ფსიქოლოგის ჩართულობა დამოკიდებულია გამომძიებლისა და პროკურორის მიერ აღნიშნული საჭიროების შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც არ არის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი და ამ სერვისით უზრუნველყოფის კუთხით, რისკებს წარმოშობს. შესაბამისად, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების ყველა საქმეში, ფსიქოლოგის კადრის ჩართვა უნდა იყოს წინასწარ გაწერილი პროცედურა და არა საქმის გამომძიებლისა თუ პროკურორის შეფასების საგანი.

- კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, ვერ ხერხდება არასრულწლოვნისთვის სხვადასხვა განსხვავებულ პირთან კომუნიკაციის მაქსიმალურად თავიდან არიდება. კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებისას არასრულწლოვანს თან ახლდა სხვადასხვა ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და გამომძიებელი, რამაც შესაძლებელია გაზარდოს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი.

- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის მკვეთრი შეუსაბამობა ქვეყანაში ამ მხრივ არსებულ საჭიროებასთან, არსებითად აფერხებს, ხშირად, შეუძლებელს ხდის სპეციალისტების მხრიდან ბავშვის ინტერესების სრულფასოვნად დაცვას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამასთან, აბრკოლებს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას. **ერთ რეგიონში მხოლოდ ერთი ფსიქოლოგის** კადრი საგანგაშოდ დაბალი მაჩვენებელია[11] და შეუძლებელს ხდის როგორც კონკრეტული სერვისების მიწოდებას, ასევე, წარმოშობს ბავშვებისთვის სერვისზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემას.

- სპეციალისტების კვალიფიკაციის ნაკლებობა უარყოფითად აისახება არასრულწლოვანთა ინტერსებზე და ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვების მაქსიმალურ დაცვას მეორეული ვიქტიმიზაციისგან. განსაკუთრებით ყურადსაღებია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადების პრობლემა, რომლებსაც წლების განმავლობაში არ მიუწვდებათ ხელი საჭირო სასწავლო ღონისძიებებსა და რესურსებზე.[12] ამასთან, უშუალოდ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე, მუდმივ პროფესიულ გადამზადებას საჭიროებენ გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები.[13]

---

[11] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია № 07/4360, თარიღი: 30/06/2020.

[12] იქვე.

[13] აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, იგეგმება სქესობრივ დანაშაულებზე გამომძიებელთა გადამზადება.

- საგანგაშოა ბრალდებულის დაცვის მხარის ადვოკატების მიერ სასამართლო სხდომაზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვის მეთოდოლოგია, მიმართვის ფორმები და დასმული კითხვები, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას და წარმოშობს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის ძალიან დიდ რისკს.

- სახელმწიფოს არ გააჩნია კონკრეტულად სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებზე ორიენტირებული სერვისები, რომლებიც შესაბამის სპეციალისტებს შესაძლებლობას მისცემდა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთის საფუძველზე დაეგეგმათ და განეხორციელებინათ გრძელვადიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

- **სექსუალური ძალადობის საქმეებზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, კადრებისა და შესაბამისი აღჭურვილობის სიმცირის გამო, მხოლოდ თბილისში ტარდება.** არსებითად მნიშვნელოვანია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დასაქმებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტების კადრების გაზრდა, გენდერული ბალანსის დაცვით, რათა ექპერტიზის პროცესი გახდეს გეოგრაფიულად უფრო ხელმისაწვდომი და დროში ეფექტური. ექსპერტიზა, მისი ტრავმული ბუნებიდან გამომდინარე, უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ შემთხვევებში და, სქესობრივი აქტის/გაუპატიურების დადასტურება არ უნდა ეყრდნობოდეს საქალწულე აპკის მდგომარეობას.

- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის გამოკითხვისას და სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების დასწრება, უმეტესად, ფორმალური ხასიათისაა. საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ზუსტად გაწერს სპეციალისტების უფლებებსა და ვალდებულებებს ამ პროცესებში მათი ჩართულობის კუთხით.

- სახელმწიფოს არ აქვს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის და შესაბამისი სტატისტიკის წარმოების მექანიზმი. ამჟამად შეუძლებელია იმის დადგენა, ბავშვზე სექსუალური ძალადობის ზუსტად რამდენი შემთხვევის შესახებ შევიდა შეტყობინება სამართალდამცავ ორგანოში და რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება. აღნიშნული შეუძლებელს ხდის ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზუსტ შეფასებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა.[14]

- კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ასევე, საზოგადოებაში არსებული სტიგმა, დისკრიმინაციული და სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც ბავშვებს და მათ მშობლებს აიძულებს, არ ისაუბრონ სექსუალურ ძალადობაზე, ამცირებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინების რიცხვს ან ხდება დაგვიანებული მიმართვიანობის საფუძველი.

[14] აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, უწყებაში მიმდინარეობს შიდა სამუშაო შეხვედრები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების ზუსტი აღრიცხვის მიზნით.

I. კანონმდებლობა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის შესახებ

1. საერთაშორისო ინსტრუმენტები ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულებთან მიმართებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია *(შემდგომში:* ბავშვის უფლებათა კონვენცია) სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ შესაბამისი ზომები ბავშვის დასაცავად ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, **სექსუალური ძალადობისგან,** რომელიც ჩადენილია მშობლების, მეურვეების ან მასზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მიერ.[15] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (*შემდგომში:* ბავშვის უფლებათა კომიტეტი) მიუთითებს, რომ ბავშვზე ძალადობა შესაძლოა ასევე მომდინარეობდეს ნებისმიერი სხვა პირისგან.[16]

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13 განმარტავს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლოატაცია მოიცავს შემდეგ ქმედებებს: ა) ბავშვის წაქეზება ან იძულება ჩაერთოს რაიმე უკანონო ან ფსიქოლოგიურად საზიანო სექსუალურ ქცევაში; ბ) ბავშვის გამოყენება კომერციული სექსუალური ექსპლოატაციისთვის; გ) ბავშვის გამოყენება ბავშვზე სექსუალური ძალადობის აუდიო ან ვიზუალურ სურათებში; დ) ბავშვთა მიმართ პროსტიტუცია, სექსუალური მონობა, სექსუალური ექსპლოატაცია მოგზაურობასა და ტურიზმში, ტრეფიკინგი (ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის), ბავშვის გაყიდვა სექსუალური მიზნებისთვის და იძულებითი ქორწინება. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ბევრი ბავშვი განიცდის სექსუალურ ვიქტიმიზაციას, რომელსაც არ ახლავს ფიზიკური ძალის გამოყენება ან ფიზიკური შეზღუდვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიურად ინტრუზიული, ექსპლოატაციური და ტრავმულია.[17]

ბავშვის უფლებათა კომიტეტი ასევე განმარტავს, რომ სექსუალური ძალადობა მოიცავს სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვზე განხორციელებულ ნებისმიერ სექსუალური ხასიათის ქმედებას, რომლისგანაც ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. სექსუალური ხასიათის ქმედებები ასევე განიხილება სექსუალურ ძალადობად, როდესაც ისინი ჩადენილია ბავშვის მიერ სხვა ბავშვის მიმართ, თუ ჩამდენი ბავშვი მნიშვნელოვნად უფროსია მსხვერპლ ბავშვზე ან იგი იყენებს ძალაუფლებას, მუქარას ან ზეწოლის სხვა საშუალებებს. სექსუალური აქტივობები ბავშვებს შორის სექსუალურ ძალადობად არ განიხილება, თუ ბავშვებს მიღწეული აქვთ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული თანხმობის ასაკისთვის.[18]

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი კრძალავს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას.[19] ბავშვთა მიმართ პროსტიტუციას

[15] გაეროს გენერალური ასამბლეა, ბავშვის უფლებათა კონვენცია, 20.11.1989, მუხლი 19.
[16] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13 (2011): ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან, 18.04.2011, CRC/C/GC/13, §36.
[17] იქვე, §25.
[18] იქვე, §25.
[19] გაეროს გენერალური ასამბლეა, ბავშვის უფლებათა კონვენციის არასავალდებულო ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, 16.03.2001, A/RES/54/263, მუხლი 1.

ოქმი განმარტავს, როგორც ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად.[20] ოქმი მიუთითებს, რომ კრიმინალიზებული უნდა იყოს ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით.[21]

ბავშვის უფლებათა კონვენციისა და კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს ამყარებს და აკონკრეტებს ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ[22] *(შემდგომში:* ლანზაროტის კონვენცია).[23] ლანზაროტის კონვენცია **ბავშვზე სექსუალურ ძალადობას** შემდეგნაირად განმარტავს:

- სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის.[24]
- სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან იძულების/ნების დამთრგუნველი გარემოებების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი ჩამორჩენილობის, ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.[25]

ბავშვის უფლებათა კომიტეტი სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის გაცხადების ასაკს სახელმწიფოს მიერ დასარეგულირებელ საკითხად განიხილავს და ლანზაროტის კონვენციაც ამგვარ მიდგომას იზიარებს.[26] ლანზაროტის კონვენციის განმარტებითი ანგარიში მიუთითებს, რომ კონვენცია მიზნად არ ისახავს ისეთი აქტივობების კრიმინალიზებას, რომელთაც მსგავსი ასაკისა და განვითარების დონის მქონე მოზარდები ეწევიან ერთმანეთთან თავიანთი სექსუალობის შეცნობის პროცესში.[27]

ლანზაროტის კონვენცია ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებულ დანაშაულებს[28] შემდეგნაირად განმარტავს:

- ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმა ან ბავშვის წაქეზება პროსტიტუციაში მონაწილეობის მისაღებად;

[20] იქვე, მუხლი 2.ბ.
[21] იქვე, მუხლი 3.1.
[22] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201.
[23] იხ. ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (91) 11 ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, ასევე ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ტრეფიკინგის შესახებ და ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2001)16 ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისაგან დაცვის შესახებ;
[24] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 18.ა.
[25] იქვე, მუხლი 18.ბ.
[26] იქვე, მუხლი 18.2.
[27] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენციის სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ განმარტებითი ანგარიში, 2007, §129.
[28] იხ. ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (91) 11 ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, ასევე ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ტრეფიკინგის შესახებ.

- ბავშვის იძულება ჩაებას პროსტიტუციაში ან სარგებლის მიღება ამგვარი საქმიანობიდან, ან ამ მიზნით ბავშვის სხვა გზით გამოყენება;
- ბავშვის პროსტიტუციით სარგებლობა.[29]

კონვენციის თანახმად, ტერმინი „ბავშვთა პროსტიტუცია" ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მიზნებისთვის, ფულადი გასამრჯელოს ან ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურების ან კომპენსაციის გადახდის ან დაპირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს ანაზღაურება, პირობა თუ კომპენსაცია ბავშვს მოხმარდა თუ მესამე პირს.[30] ლანზაროტის კონვენციის განმარტებითი ანგარიში მიუთითებს, რომ ბავშვის პროსტიტუციით სარგებლობა, რაც აკრძალული უნდა იყოს, გულისხმობს ბავშვისგან „სექსუალური მომსახურების" ყიდვას.[31] შესაბამისად, კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, მოახდინონ არასრულწლოვანისგან „სექსის ყიდვის" კრიმინალიზება.

ბავშვებზე ასევე ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (*შემდგომში:* სტამბოლის კონვენცია) მოთხოვნები, რომელიც მიუთითებს, რომ „ქალებში" იგულისხმებიან 18 წლამდე გოგოებიც.[32]

2. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ და არსებული ხარვეზები

საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა დანაშაულს ითვალისწინებს. რიგ შემთხვევაში ისინი წარმოდგენილია, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის სქესობრივი დანაშაულების მუხლების დამამძიმებელი გარემოება (მუხლი 137, 138 და 139), ხოლო სხვა შემთხვევებში, ამგვარი დანაშაულები ცალკე არის კრიმინალიზებული (მუხლი 140 და 141).

საქართველოს კანონმდებლობა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებს (აღნიშნულის თაობაზე იხ. სახალხო დამცველის ოფისის 2020 წლის კვლევა „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში"). გარდა არსებული ზოგადი ხარვეზებისა, არასრულწლოვნებთან დაკავშირებით დამატებითი პრობლემები იკვეთება, რომელთაც წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ.

სისხლის სამართლის კოდექსი **გაუპატიურებად** განსაზღვრავს პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევას სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან და-

[29] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 19.1.
[30] იქვე, მუხლი 19.2.
[31] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენციის სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ განმარტებითი ანგარიში, 2007, §130..
[32] ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2014, მუხლი 3.ვ.

ზარალებულის უმწეობის გამოყენებით (სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრულია ქმედების ჩადენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ ქვეპუნქტი), ასევე, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის დ ქვეპუნქტი). ორივე შემთხვევაში სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ზემოხსენებული მუხლის ფორმულირება არასრულწლოვნებთან მიმართებით პრობლემურია. სსკ-ის 137-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოება ითვალისწინებს არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევას არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით. თუმცა ეს ქმედება გაუპატიურებად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა.

იმავე სახის პრობლემა იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც დასჯადად აცხადებს **სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას,** რომელიც არ შეიცავს კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით (სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრულია იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ (სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა ქვეპუნქტი), ასევე, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა ქვეპუნქტი). ორივე ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. იგივე მუხლი დამამძიმებელ გარემოებად ასევე ითვალისწინებს ქმედების ჩადენას დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ (სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტი), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. მსგავსად 137-ე მუხლისა, 138-ე მუხლში, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა.

ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე.

შესწავლილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საქმეთა კვალიფიკაციისას სრულად არ ხდება დაზარალებულის ნებელობის საკითხის, ნების დამთრგუნველი გარემოე-

ბებისა და ბავშვის უმწეობის გათვალისწინება. კერძოდ, საქმის „ძალადობის გარეშე" კვალიფიკაციისთვის, ხშირად, საკმარისია ფიზიკური ძალადობის მტკიცებულებების არარსებობა. ძალადობად უმეტესად მიიჩნევა ფიზიკური ძალადობა, რომლის შედეგადაც ბავშვმა მიიღო დაზიანება ან განიცადა ტკივილი. ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ურთიერთობა, ოჯახური კავშირი (მამა და შვილი) და ფსიქოლოგიური, მატერიალური ან სხვაგვარი ძალადობის გამოყენება ძალადობის ფორმებად არ განიხილება. მკაცრი ტონით საუბარი, მუქარა, დაშინება, 4 წლის ბავშვის ხელ-ფეხის გაკოჭვა,[33] „მიმწყვდევა" და კისერში „წაჭერა",[34] სასქესო ორგანოზე ხელის მოკიდების იძულება,[35] 50 წლის მამაკაცის მიერ მცირეწლოვანზე ზემოდან დაწოლა,[36] არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით მკერდზე შეხება („ისე ძლიერად, რომ მან, მისი ხელის მოშორება ვერ შეძლო") ხელის ჩაყოფის მცდელობა და უარის მიღებისას დაზარალებულისთვის მუცელში დარტყმა[37], ბწკენა და სახეში დარტყმა განიხილება ცალ-ცალკე დანაშაულად, არა უშუალოდ სექსუალური ძალადობის კონტექსტში და არ არის საკმარისი იმისთვის, რათა ქმედება ძალადობით ჩადენილ დანაშაულად დაკვალიფიცირდეს. ამიტომ, საქმეები კვალიფიცირდება სსკ-ს 141(1) მუხლით, რომელიც ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს (5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ვიდრე სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება არასრულწლოვნებთან მიმართებით (11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა). თუმცა, ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც არასრულწლოვანს სხეულზეც კი აქვს ძალადობის ნიშნები, სასამართლოსთვის საჭიროა, აღნიშნული დაზიანებები „ეროგენულ ზონებში" იყოს იმისათვის, რათა ჩაითვალოს სექსუალური ძალადობის დანაშაულად.[38]

აღსანიშნავია საქმე, სადაც 11 წლის ბავშვი იხსენებდა:

> *„მუცლის არეში ძნელად ასატანი სიმძიმე ვიგრძენი, თვალები გავახილე და დავინახე, რომ ვიღაც დაახლოებით დედაჩემის ასაკის წვერიანი მამაკაცი გადამჯდარი იყო ჩემს სხეულზე. ... ერთი ხელი მაჯაზე მომიჭირა, ხოლო მეორე ხელით ისევ შემეხო სასქესო ორგანოზე, ვცადე ხელი მიმეკრა და მომეშორებინა, რა დროსაც ვუკბინე. ... მხოლოდ მაჯაზე მომიჭირა და ოდნავ გამილურჯა იმ ადგილზე, სადაც ვიგრძენი ტკივილი".*

---

[33] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/1060-19.

[34] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/259-18.

[35] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-257/19.

[36] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი N1-628/19. არასრულწლოვანი: „მუცლის არეში ძნელად ასატანი სიმძიმე ვიგრძენი, თვალები გავახილე და დავინახე, რომ ვიღაც დაახლოებით დედაჩემის ასაკის წვერიანი მამაკაცი გადამჯდარი იყო ჩემს სხეულზე. ... ერთი ხელი მაჯაზე მომიჭირა, ხოლო მეორე ხელით ისევ შემეხო სასქესო ორგანოზე, ვცადე ხელი მიმეკრა და მომეშორებინა, რა დროსაც ვუკბინე. ... მხოლოდ მაჯაზე მომიჭირა და ოდნავ გამილურჯა იმ ადგილზე სადაც ვიგრძენი ტკივილი."

[37] ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/236-19, კვალიფიკაცია: სსკ-ს 141(1) მუხლი (გარყვნილი ქმედება) და სსკ-ს 126(11ა) მუხლი (ძალადობა). მსხვერლის ჩვენება: „ერთი საფეხური ამიყვანა ხელ მოკიდებული. შემდგომ ვუჩქმიტე და ხელი გავაშვებინე. ... ორი საფეხურის ავლის შემდეგ უკნიდან ორივე ხელი მომკიდა მკერდზე. მე მას ორივე ხელის იდაყვი მივარტყი უკნიდან და თავი გავითავისუფლე. ... არ მომცა კიბეზე ჩასვლის საშუალება. როდესაც მას ხელი ქონდა გადახვეული თან მკერდზე მომეფერა და ცდილობდა ხელი მაისურში ჩაეყო. მე მინდოდა ავმდგარიყავი და წავსულიყავი, თუმცა ის ხელით ისე მაწვებოდა, რომ ადგომა ვერ შევძელი. მკერდიდან ხელი აიღო და შეეცადა ჩემი შარვლის უბეში ხელის ჩაყოფას. ამ დროს მე მას ხელზე დავარტყი და მოვიშორე. ხელი რომ გავაწევინე და თან დავარტყი, მან ვერაფერი გააკეთა, მომიბრუნდა და მუცელში დამარტყა მარჯვენა ხელი."

[38] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1536/18.

აღნიშნული საქმე დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულად, ანუ ძალადობის გარეშე ჩადენილ ქმედებად, მაშინ, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები ძალადობაზე, ანუ 138-ე მუხლის შემადგენლობაზე მიუთითებს.

პრობლემურია ასევე სხვა საქმე, სადაც ძალადობის გარეშე ჩადენილ გარყვნილ ქმედებად (მუხლი 141) დაკვალიფიცირდა შემთხვევა: *„რა დროსაც* [მოძალადე] *მას მიუახლოვდა და მხარზე მოხვია ხელი, ისე ძლიერად, რომ მან, მისი ხელის მოშორება ვერ შეძლო. ... სცადა მის მაისურში ხელის ჩაყოფა, ხელი გააწევინა,* [მოძალადემ] *უკვე მის შარვალში სცადა ხელის ჩაყოფა, ხელი ისევ გააწევინა, რა დროსაც* [მოძალადემ] *მუცელში ჩაარტყა ხელი, რა დროსაც მან ძლიერი ტკივილი განიცადა“.* ამ საქმეში ძალადობრივი ქმედება ცალკე დაკვალიფიცირდა, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და არა სექსუალური ძალადობის ჩადენის პროცესის ნაწილი.[39]

ზემოხსენებული საქმეების მსგავსად, პრობლემურია ასევე საქმე, სადაც არაძალადობრივი ფორმით ჩადენილ გარყვნილ ქმედებად (მუხლი 141) დაკვალიფიცირდა 5 წლის დაზარალებულის მიმართ ჩადენილი ქმედება, რომლის შესახებაც არასრულწლოვანი აღნიშნავს: *„მე ვცდილობდი ავმდგარიყავი, მაგრამ მან ხელებით დამიჭირა და არ მომცა საშუალება ავმდგარიყავი დივანიდან. ... თუ საიდუმლოს არ შეინახავ დედა მოგიკვდებაო. ... მე ეს არ მომწონდა და ვცდილობდი მისი შარვლიდან ხელი ამომეღო მაგრამ* [მოძალადე] *ხელს მაჯაში მავლებდა და ჩემს ხელს რომელშიც მეკავა მისი სასქესო ორგანო, მაღლა დაბლა ამოძრავებდა რამოდენიმეჯერ“.*[40]

ერთ-ერთ საქმეში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (აუტისტური სპექტრი) 16 წლამდე პირის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისთვის, რომლის დროსაც მოძალადეს არ მიუმართავს აშკარა ძალადობისთვის, ფიზიკური იძულებისთვის, არამედ გარკვეული ნივთის ყიდვით დაიყოლია არასრულწლოვანი და ამავე დაპირების გამოყენებით დაიყოლია, რომ არავის ეტყოდა მომხდარის შესახებ, დევნა სსკ-ს 138-ე მუხლით დაიწყო, თუმცა, სასამართლომ იგი სსკ-ს 141-ე მუხლზე გადააკვალიფიცირა იმაზე დაყრდნობით, რომ საქმეში არ ჩანდა აშკარა ფიზიკური ძალადობა, ფიზიკური იძულება და ძალადობის მუქარა.[41] მოსამართლემ გამოიყენა კანონმდებლობის შეზღუდული განმარტება და არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არასრულწლოვნის მიმართ, როგორც მინიმუმ, უმწეო მდგომარეობაზე ან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე მიუთითებდა, რასაც, შესაძლოა, 138-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება წარმოედგინა.

დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი განაჩენი, სადაც დევნა დაიწყო და განაჩენი დადგა სსკ-ს 138(3"გ") მუხლზე დაყრდნობით არასრულწლოვანზე ძალადობის მუქარისა და ფიზიკური იძულების საფუძველზე (ზურგიდან მოხვია ხელები და ნების საწინააღმდეგოდ დაუწყო მოფერება მკერდსა და კისერზე), სადაც მსხვერპლის სხეულზე არ არსებობდა ფიზიკური დაზიანებების მტკიცებულე-

[39] ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/236-19.
[40] გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19.
[41] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/2215-19.

ბები.[42] თუმცა, მსგავსი საქმეები ერთეული პრეცედენტებია და, როგორც წესი, ძალადობა ვიწროდ განიმარტება.

საინტერესოა ასევე, დაზარალებულის უმწეობის გამოყენების შეფასების საკითხიც. სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით დაკვალიფიცირებული გამოთხოვილი 9 საქმიდან 7 საქმეში ფიგურირებდა აშკარად გამოხატული ფიზიკური ძალადობა. განაჩენებში დაზარალებულის ასაკი ან მისი მოძალადესთან ნათესაური თუ სხვაგვარი კავშირი დაზარალებულის უმწეობის ან მისი ნების დამთრგუნველი გარემოებების გამომწვევად არ განიხილება. მხოლოდ ერთ საქმეში მოხდა სასქესო ორგანოზე შეხების, კოცნის შემთხვევის 138-ე მუხლით დაკვალიფიცირება ბავშვების მცირეწლოვნების (3 და 5-5 წლის) და ამით გამოწვეული მათი უმწეობის საფუძველზე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ ფიგურირებდა ბავშვებზე რაიმე ფორმით ძალადობა ან ძალადობის მუქარა.[43] აღსანიშნავია იდენტური საქმე, სადაც ასევე, 5 წლის ბავშვის მიმართ არის ჩადენილი გარყვნილი ქმედება, კერძოდ სასქესო ორგანოზე შეხება და სასქესო ორგანოს მიდება ბავშვის სხეულზე და სახეზე, მისი მეზობლის მიერ, თუმცა ამ შემთხვევაში, გათვალისწინებული არ ყოფილა მცირეწლოვნის უმწეობა და საქმე სსკ-ს 141-ე მუხლით დაკვალიფიცირდა, როგორც ძალადობის გარეშე ჩადენილი გარყვნილი ქმედება.[44]

მეორე შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ძალადობის ან მისი მუქარის არარსებობისას, საქმე დაკვალიფიცირდა სსკ-ის 138-ე მუხლით, სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენისას, დაზარალებული იმყოფებოდა სასმელის ზემოქმედების ქვეშ, უმწეო მდგომარეობაში.[45] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში, დაზარალებულ არასრულწლოვანთან (მამრობითი სქესი) ორალური სქესობრივი კავშირის დამყარება ჩაითვალა სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ, სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებად, ნაცვლად სსკ-ის 137-ე მუხლისა, რომელიც გულისხმობს გაუპატიურებას.

პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ითვალისწინებს ქმედებას, ჩადენილს ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით (სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ქმედება დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ (სსკ-ის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ ქვეპუნქტი), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ამ მუხლის არსებობა სსკ-ში ზოგადად პრობლემურია, რადგან მისი მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობა, ფაქტობრივად, გაუპატიურების ტოლფას ორი სახის სხვადასხვა დანაშაულს იძლევა. ერთი მათგანი მძიმე დანაშაულია და უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში (მუხლი 137), და მეორე ნაკლებად მძიმე დანაშაულია და ნაკლებად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს (მუხლი 139). ამგვარი

[42] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3668-18.
[43] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3551-18.
[44] გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19.
[45] ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1-214/18.

მიდგომა, ესპანეთთან მიმართებით, მკაცრად გააკრიტიკა ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (შემდგომში – GREVIO) და განაცხადა, რომ „გაუპატიურება არის გაუპატიურება" და რომ ნებისმიერი სექსუალური აქტი, რომელიც ჩადენილია ადამიანის თავისუფალი ნების გამომხატველი თანხმობის გარეშე, წარმოადგენს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.[46] შესაბამისად, 139-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არასრულწლოვანთან მიმართებით, უნდა წარმოადგენდეს გაუპატიურებას და არა იძულებას.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სსკ-ს 139-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ (ოჯახში ჩადენილი დანაშაული 138-ე (2"დ") მუხლთან ერთობლიობა) მხოლოდ ერთი საქმეზე დადგა განაჩენი. საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხებით და სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, აქედან 3 წელი პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, 3 წელი კი პირობითი მსჯავრი 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით.[47] აღნიშნულ საქმეში, არ დამდგარა პენეტრაცია, თუმცა, ამ სახის საქმეები, ადამიანის უფლებათა ზემოხსენებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსხვერპლი არასრულწლოვანია.

არასრულწლოვნებს სპეციალურად ეხება სსკ-ის 140-ე მუხლი, რომლის თანახმადაც კრიმინალიზებულია **სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში** (სსკ-ის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე. ეს მუხლი განიმარტება, როგორც ქმედება, რომელიც არასრულწლოვნის თანხმობით არის ჩადენილი, მაგრამ მაინც დასჯადია არასრულწლოვნის ასაკის გამო.

ამ მუხლში პრობლემურია ის, რომ კანონმდებელს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანს, ფაქტობრივად, ნებისმიერ ასაკში შეუძლია თანხმობის გაცემა სექსუალურ ურთიერთობაზე და იგი არ ითვალისწინებს ქვედა ზღვარს, სადაც თანხმობა იქნებოდა არავალიდური. ასევე, კანონმდებლობა არ განიმარტება ისე, თითქოს 16 წლამდე ასაკის ადამიანს თანხმობის გაცემა არ შეუძლია – არამედ, პირიქით. ძალადობის, ძალადობის მუქარის ან უმწეობის არარსებობის დროს, მიიჩნევა, რომ არასრულწლოვანი თანახმა იყო და ქმედება 140-ე მუხლით კვალიფიცირდება.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა სწორედ სსკ-ს 140(1) მუხლით არის დაკვალიფიცირებული, მაშინ, როდესაც, ხშირ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებები გაუპატიურებაზე და არა მსხვერპლის თანხმობაზე მიუთითებს. ამ დანაშაულების უმრავლესობა ჩადენილია „დე ფაქტო ქორწინების" ფარგლებში და სრულდება ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით, რომლის მოცემულობაც იშვიათი გამონაკლისების გარდა, არის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ეთვლება პირობითად 3 წლით გამოსაცდელი ვადით. ამ მხრივ, ცალსახაა რეალური სასჯელების გამოუყენებლობის პრაქტიკა ადრეული ქორწინების საქმეებში, რომელსაც კვლევის ფარგლებში

[46] GREVIO Baseline Evaluation Report Spain, 2020, პარ. §220. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-s-report-on-spain/1680a08a9f [ბოლოს ნანახია: 04/2021].

[47] რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი საქმე №1-808-19.

გამოკითხული ერთ-ერთი მოსამართლე იმით ხსნის, რომ ქმედების მიზანი „ოჯახის" შექმნა იყო, ხოლო საზოგადოებაში არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, სსკ-ს 140-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, შესაძლებელია, არ იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული, როდესაც შემთხვევა „დე ფაქტო ქორწინებას" ასახავს.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება სსკ-ს 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის „დე ფაქტო ქორწინებისგან" დამოუკიდებლად ჩადენის შემთხვევაშიც გამოიკვეთა, სადაც სასჯელად განისაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაითვალა პირობითად 4-წლიანი გამოსაცდელი ვადით. საქმეში მითითებულია, რომ სქესობრივი აქტი დამყარდა დაზარალებულის ნებით და მასზე არ უძალადიათ. 14 წლის დაზარალებულის გამოკითხვის ოქმში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ის წინააღმდეგობას არ უწევდა ბრალდებულს. თუმცა, არასრულწლოვანი ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბრალდებულს სთხოვა აქტის შეწყვეტა, მაგრამ მას არ შეუწყვეტია. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ არასრულწლოვანი განიცდიდა მომხდარს, და ამიტომ ოჯახის წევრებს უამბო. თუმცა საქმე ასევე შეიცავს არასრულწლოვნის მითითებას, რომ მასზე ბრალდებულს *„ძალა არ დაუტანებია"* და მასთან სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით დაამყარა, რადგან ბრალდებული უყვარდა და ისიც პირდებოდა ცოლად მოყვანას.[48]

ერთ-ერთ მსგავს საქმეში 14 წლის არასრულწლოვანი გამოკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ ბრალდებულთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და საკუთარი სურვილით ხვდებოდა მას. დაზარალებული აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას ბრალდებულს ფიზიკური სიახლოვისას უთხრა – *„ჯერ ასეთი ურთიერთობა ადრეა, ჯერ კარგად გავიცნოთ ერთმანეთი"*. შემდგომში დაზარალებულს ბრალდებულისთვის, როგორც მისი გამოკითხვის ოქმში არაერთხელ არის აღნიშნული, წინააღმდეგობა არ გაუწევია და საკუთარი სურვილით დაამყარა სქესობრივი კავშირი. შემთხვევა სსკ-ს 140-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. ამ საქმეში დანაშაულის ორი ეპიზოდი იკვეთებოდა. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ბრალდებულს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლიდანაც 4 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 3 წელი ჩაეთვალა პირობითად.[49]

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევებში და ზოგადად, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეებში ყოველთვის ხდება დაზარალებულთან იმის დაზუსტება, რომ სქესობრივი კავშირი მისი ნებით მოხდა და მას ბრალდებულთან რაიმე პრეტენზია არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევების გამოვლენა, როგორც წესი, დაზარალებულის მშობიარობის შემდგომ ან ორსულობის საფუძველზე ხდება, რის გამოც დაზარალებულის სამედიცინო ისტორია, მოწმეთა გამოკითხვის ოქმებთან და ჩვილის დაბადების აქტის ჩანაწერთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა.

სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგად იკვეთება, რომ იდენტური დანაშაულების შემთხვევებში, სასჯელებთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,[50] სასამართლო განაჩენი უნდა იყოს სამართლი-

[48] ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1-1242019.
[49] ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი საქმე №1/7-2020.
[50] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 259.

ანი, დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ბრალდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, ერთადერთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელსაც მოსამართლეები განიხილავენ, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებაა. რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, საინტერესოა სსკ-ს 141(1) მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის განაჩენი, სადაც მოსამართლემ აღნიშნა, რომ *„პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მის მიერ ჩადენილი ქმედების არსში მდგომარეობს, როდესაც სრულწლოვანი, დაოჯახებული და სახელმწიფოს სამსახურში მყოფი (სამართალდამცავი უწყების თანამშრომელი) თერთმეტი წლის ბავშვის მიმართ ახორციელებდა არა მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დასჯად, არამედ მორალურ დონეზე უკიდურესად გასაკიცხ ქმედებებს და გაუსაძლისს ხდიდა ბავშვის ყოველდღიურობას."* ამ საქმეში სასჯელის სახედ განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლის ვადით, ხოლო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იყო პირის მიერ ბრალის აღიარება.[51]

ამ მხრივ შესწავლილი საქმეებიდან აღსანიშნავია ერთი განაჩენი, სადაც მოსამართლემ სასჯელის დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ს 53[1] მუხლის მეორე ნაწილზე, როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებაზე, რაც ამ შემთხვევაში იყო არასრულწლოვნის ასაკი და მისი უმწეო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ „სასამართლო მხედველობაში იღებს დანაშაულის სპეციფიკას და გარემოებებს – დაზარალებულის ასაკს (5 წლის), რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთჯერადად დანაშაულებრივ ქმედებებს ასაკის გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბავშვის მიმართ".[52]

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკა არაერთგვაროვანია, თუმცა ხშირად ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების კვალიფიკაციისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური ძალადობის გამოყენების საკითხს, სწორად არ ფასდება ბავშვის ნების დამთრგუნველი გარემოებები და შემთხვევები შესაბამისად არ კვალიფიცირდება.

I. ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული მატერიალური კანონმდებლობა და მისი ხარვეზები

საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული ქმედებების კუთხით, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს რიგი ქმედებების დასჯადობას და ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თვით პროსტიტუციაში ჩართული არასრულწლოვნის მიმართ (იხ ქვემოთ).

სისხლის სამართლის კოდექსით, **პროსტიტუციაში ჩაბმა** (სსკ-ის 253-ე მუხლი) დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას არასრულწლოვნის მიმართ. კერძოდ, თუ პროსტიტუციაში ჩაბმა ჩადენილია ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, ან ძალადობით, ან ძალადობის მუქარით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ (სსკ-ის 253-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

[51] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-492/19, სსკ. მუხლები 141(1), 181(1).
[52] გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19.

სისხლის სამართლის კოდექსით, **პროსტიტუციის ხელშეწყობა (სსკ-ის 254-ე მუხლი),** ანუ პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების ჩადენა, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას, დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას არასრულწლოვნის მიმართ (სსკ-ის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილი), ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე. დამატებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იმავე ქმედების ჩადენა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ (სსკ-ის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილი), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად კი, **პროსტიტუცია** ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა (სასკ მუხლი 172[3]), რომელიც ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს (სასკ მუხლი 13).

პროსტიტუციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ლანზაროტის კონვენციას (იხ. ზემოთ), რომლის თანახმადაც, „სექსის ყიდვა" არასრულწლოვნისგან ყველა შემთხვევაში დანაშაული უნდა იყოს (ლანზაროტის კონვენცია, მუხლი 19.გ). დღეს არსებული რეგულირებით, სექსის ყიდვა არასრულწლოვნისგან არ არის დანაშაული, ხოლო თუ ბავშვი 16 წლის ასაკს არის მიღწეული, ქმედება, შესაძლოა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სხვა ქმედების შემადგენლობაშიც არ მოექცეს. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, პროსტიტუციის მუხლით (იხ. ზემოთ) პასუხისმგებლობას აკისრებს ნებისმიერ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს. შესაბამისად, 16 და 17 წლის არასრულწლოვნები, ლანზაროტის კონვენციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არა დანაშაულის მსხვერპლები, არამედ სამართალდამრღვევები არიან.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და პროსტიტუციის თაობაზე, უნდა გადაიხედოს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს სტამბოლის კონვენციის, ლანზაროტის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებთან, უზრუნველყოს არასრულწლოვან მსხვერპლთა ყოვლისმომცველი დაცვა და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

II. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონი

სქესობრივ დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონი ითვალისწინებს პირისთვის სხვადასხვა უფლებების ჩამორთმევას, მათ შორის: საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიახლოება 30 მეტრის რადიუსში, სოციალურ მუშაკად მუშაობის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანის უფლება და სხვ. (მუხლი 3). კანონი ითვალისწინებს მსჯავრდებულ და უფლებაჩამორთმეულ პირთა რეესტრის შექმნას (მუხლი 8).

II. მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები

1. საერთაშორისო სტანდარტები გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის შესახებ

სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი სტანდარტები, რომლებიც სრულწლოვან პირებზე ვრცელდება, ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებთან მიმართებით. ამ სტანდარტებს შორისაა: გამოძიება უნდა იყოს სწრაფი და ყოველმხრივი; სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად ძალადობის ნიშნების აღმოჩენა არ უნდა იყოს არსებითი და მხედველობაში უნდა მიიღებოდეს კონტექსტი და გარემომცველი გარემოებები; არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული მოწყვლადობა ასევე უნდა მიიღებოდეს მხედველობაში; სისხლის სამართლის პროცედურები უნდა იყოს სამართლიანი და მასზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ცრურწმენები და სტერეოტიპები, მათ შორის, გენდერული მიკერძოება და გენდერული სტერეოტიპები; მსხვერპლის მიმართ მგრძნობიარე მოპყრობა მნიშვნელოვანია, რაც ასევე მოიცავს გინეკოლოგიური ექსპერტიზების მინიმუმამდე დაყვანას; მსხვერპლის დაკითხვების რაოდენობაც ასევე მინიმუმამდეა დასაყვანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია; დაკითხვა არ უნდა იყოს ინტრუზიული და არ უნდა შეიცავდეს კითხვებს წინარე სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. მსხვერპლის პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს.[53]

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (*შემდგომში:* CEDAW) 33-ე ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით, გოგოები განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან.[54] შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს გოგოებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო, ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და ბავშვის საჭიროებაზე მორგებული საჩივრის შეტანის მექანიზმები.[55] ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის საჩივარზე და არ უნდა წყდებოდეს საჩივრის უკან გატანის შემთხვევაში.[56]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებებით, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საკითხებზე,[57] ასაკი

[53] იხ. მაგ. Duban, Training Manual for Judges and Prosecutors on Ensuring Women's Access to Justice (2017), 52-55.
[54] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation N33 on women's access to justice, CEDAW/C/GC/33, 23.07.2021, § 24.
[55] იქვე, §25(b).
[56] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 32; X and Y v. the Netherlands, no. 8978/80, ECHR, 26/03/1985.
[57] United Nations Economic and Social Council, Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, 2005.

არ უნდა იყოს ბარიერი, რათა ბავშვმა სრულად მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში და ყველა ბავშვი უნდა იყოს სრულუფლებიანი მოწმე. ბავშვის ჩვენების სარწმუნოობა და სანდოობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ მხოლოდ და მხოლოდ მის ასაკზე დაყრდნობით, მაშინ როდესაც ბავშვის ასაკი და განვითარების დონე იძლევა გასაგები და სანდო ჩვენების მიცემის შესაძლებლობას, კომუნიკაციისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით, ან მათ გარეშე.[58]

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით და მისი უფლებების დაცვით უნდა მოხდეს.[59] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების დროს, მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოების უფლების გათვალისწინება, რაც ყველა სახის ძალადობისგან დაცვას, მათ შორის, სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციისაგან დაცვას, გულისხმობს.[60] ამასთანავე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მოიცავს ბავშვის უსაფრთხოების შეფასებას და დაცვას მოცემულ მომენტში, ასევე მომავალში შესაძლო რისკისა და ზიანის ალბათობის განსაზღვრას.[61]

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი მიუთითებს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებები ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად". ბავშვის უფლებათა კომიტეტი მე-12 ზოგად კომენტარში განმარტავს, რომ ამ მუხლის ლიმიტირებული ინტერპრეტაცია არ უნდა მოხდეს და წევრი სახელმწიფოები უნდა მოქმედებდნენ პრეზუმფციით, რომ ბავშვს აქვს თავისი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარი და გამოხატვის უფლება. ბავშვს არ უნდა ეკისრებოდეს მისი უნარების მტკიცების ტვირთი.[62] ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი ასევე მიუთითებს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, „მოსმენილი იყოს ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცესის დროს უშუალოდ, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული პროცედურებისა და წესების შესაბამისად".

ბავშვის უფლებათა კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-12 მუხლი ასაკობრივ ლიმიტებს არ აწესებს და განამტკიცებს, რომ ბავშვებს შეუძლიათ ჩამოიყალიბონ შეხედულებები ადრეული ასაკიდან, მაშინაც კი, როდესაც არ შეუძლიათ ვერბალურად მათი გამოხატვა.[63] ამასთანავე, ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გა-

[58] იქვე, §18.
[59] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 29.1.
[60] UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), 29.03.2013, CRC /C/GC/14, §73).
[61] იქვე, §74.
[62] UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 12 (2009): The right of the child to be heard, 20.07.2009, CRC/C/GC/12, §20.
[63] იქვე, §21.

მოთქვას თავისი შეხედულებები და პრეტენზიები მართლმსაჯულების პროცესში მისი მონაწილეობის თაობაზე.[64] ამ სტანდარტებს ასახავს და იმეორებს სხვადასხვა გაიდლაინი[65] და რეგიონული ინსტრუმენტი.[66]

მართლმსაჯულების პროცესებმა ბავშვს არ უნდა გაუმწვავოს მიყენებული ტრავმა.[67] საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ბავშვის გამოკითხვა და ექსპერტიზა, უნდა ჩატარდეს საამისოდ სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების მიერ სენსიტიური და ბავშვზე მორგებული მეთოდებით,[68] რაც ასევე მოიცავს ინტერვიუების რაოდენობის შემცირების აუცილებლობას.[69] სათანადო ორგანოებმა ბავშვი უნდა აღიქვან, როგორც სრულუფლებიანი მოწმე, მაგრამ ასევე უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რათა ბავშვს გაუადვილდეს ჩვენების მიცემა და გაუმჯობესდეს კომუნიკაცია წინასასამართლო და სასამართლო სტადიებზე.[70]

ამასთანავე, ევროპული სასამართლო[71] და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტები ადგენს, რომ ამგვარ საქმეებზე პირის პასუხისგებაში მიცემას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და საქმეები უსაფუძვლოდ არ უნდა გაჭიანურდეს.[72]

მსხვერპლ და მოწმე ბავშვებს, მათ მშობლებს, მზრუნველობაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, მართლმსაჯულებასთან პირველივე კონტაქტისას დაუყოვნებლივ და სათანადოდ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი უფლებების, სამართალწარმოების პროცესის, მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.[73] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ასევე განმარტავს,[74] რომ ეს ინფორმაცია ადაპტირებული უნდა იყოს გენდერული და კულტურული საკითხების გათვალისწინებით, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისთვის გასაგებ ენაზე.

---

[64] იქვე.

[65] იხ. მაგ. WHO, Guidelines for medico-legal care for victims of sexual violence, 2003; UNODC, Handbook for Professionals and Policymakers on Justice Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, 2009; UNODC, Handbook on Effective Prosecution Responses to Violence against Women and Girls, 2014; European Union Agency for Fundamental Rights, Child-friendly justice: Perspectives and experiences of children involved in judicial proceedings as victims, witnesses or parties in nine EU Member States, 2017.

[66] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201; Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010.

[67] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 29.2.

[68] United Nations Economic and Social Council, Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, 2005, §13.

[69] იქვე, § 31(a).

[70] იქვე, § 25.

[71] Y. v. Slovenia, ECtHR, no. 41107/10

[72] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201; მუხლი 29.3.

[73] United Nations Economic and Social Council, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Resolution 2005/20, 2005, § 19.

[74] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010.

2. მტკიცებულებითი სტანდარტები სექსუალური ძალადობის საქმეებზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განამტკიცებს კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების მნიშვნელობას გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეებზე. საქმეში, *M.C. v. Bulgaria,* სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საქმეში ნაკლებადაა ე.წ. „პირდაპირი" მტკიცებულებები, შესაბამისმა ორგანოებმა „ყველა შესაძლო ზომა უნდა მიიღონ გარემომცველი გარემოებების დასადგენად" და „ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების სანდოობა საკმარისად შეაფასონ"."[75] სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ გაუპატიურების აშკარა მტკიცებულების არარსებობის დროს, შესაბამისმა ორგანოებმა „უნდა გამოიკვლიონ ყველა ფაქტი და გადაწყვეტილება მიიღონ გარემომცველი გარემოებების შეფასებაზე დაყრდნობით".[76]

საქართველოს კანონმდებლობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად ადგენს მტკიცებულებათა ერთობლიობის აუცილებლობას.[77] ამის ინტერპრეტირება სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არაერთგვაროვნად ხდება. კერძოდ, განაჩენების ნაწილში „მტკიცებულებათა ერთობლიობაში" მოიაზრება მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობა, იმისათვის, რათა საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.

ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომელიც, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების წარდგენისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის, არ მიიჩნევს აბსოლუტურ აუცილებლობად ერთზე მეტი მტკიცებულების არსებობას. სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდების წარდგენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, „როდესაც მტკიცებულება არის ძალიან ძლიერი და არ არსებობს მისი არასანდოობის რისკი, შესაბამისად, ნაკლებია ამ მტკიცებულების გამყარების საჭიროება" (Khan v. the United Kingdom, §. 35-37; Allan v. the United Kingdom, § 43; Bykov v. Russia [GC], §. 90; Haxhia v. Albania, §. 129).

ამასთანავე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს თანახმად, სახელმწიფოებმა „უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკის ზომები, რათა უზრუნველყონ სწრაფი და ადეკვატური გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და მოძალადეთა პასუხისმგებლობის დაყენება, ასევე სისხლის სამართლის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება", და კონკრეტულად, „...გააუქმონ დისკრიმინაციული დებულებები, რომლებიც სექსუალური ძალადობის საქმეებზე აწესებენ ჩვენების გამყარების მოთხოვნას".

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენში პირდაპირ იყო აღნიშნული: *„სასამართლო განმარტავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას გულისხმობს, რომლებიც ნეიტრალურ და გონივრულად მოაზროვნე პირს დაარწმუნებენ ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენაში".* ამ საქმეში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სასამართლომ გამოკითხვის ოქმებით, ამოცნობის ოქმით, მიმოწერის ამსახველი მასალით, საკომუნიკაციო ქსელებიდან მიღებული ინფორმაციითა და სოციალური გვერდის დათვალიერების ოქმით იხელმძღვანელა.[78]

[75] M.C. v. Bulgaria, no. 39272/98, ECHR, 03.12. 2003, §176-178.
[76] იქვე, §181.
[77] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13(2);
[78] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/492-19.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანახმად, გაუპატიურება „თავისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის საჯარო და არ გამოირჩევა თვითმხილველ მოწმეთა სიმრავლით".[79] თუმცა, პრაქტიკაში, პირის ბრალეულობა არ დგინდება მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, როდესაც კონკრეტული ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვება ვერ მოხერხდა და ექსპერტიზის დასკვნა არ მიუთითებს ძალადობის კვალის არსებობაზე.

მოსამართლეებთან და პროკურორებთან გასაუბრების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაზარალებულის ჩვენებას, თუმცა, იგი არ არის საკმარისი და გამყარებული უნდა იყოს მთელი რიგი სხვა მტკიცებულებებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირებული საქმის გამამართლებელ განაჩენში აღინიშნა: *„სასამართლოს მიაჩნია, რომ* [ბრალდებულის] *დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების (დაზარალებულის ჩვენება) არსებობა (დანარჩენი ყველა მტკიცებულება ირიბია) არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა დამკვიდრებულ სტანდარტს, ამიტომ ის საფუძვლად ვერ დაედება* [ბრალდებულის] *გამამტყუნებელ განაჩენს".*[80] ამ საქმეში მოიპოვებოდა ირიბი ჩვენებები და სხვა არასრულწლოვნების ჩვენებები, რომლებიც თანხვედრაში იყო დაზარალებულის ჩვენებასთან, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უშუალოდ გარყვნილ ქმედებას ეხებოდა, რომლის შემსწრეც არავინ ყოფილა, რის გამოც სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. ასეთი მიდგომა, ზემოხსენებული სტანდარტების გათვალისწინებით, უკიდურესად პრობლემურია.

აღსანიშნავია, რომ მსგავს საქმეში, სადაც დაზარალებული მცირეწლოვნის მიმართ განხორციელდა გარყვნილი ქმედება, თუმცა უშუალოდ გარყვნილი ქმედების ფაქტი არავის შეუნიშნავს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ამ საქმეშიც, დაზარალებულთან მყოფმა ორმა მცირეწლოვანმა მხოლოდ ის შენიშნა, რომ ბავშვს გვერდით უცნობი მამაკაცი მიუჯდა. თუმცა, სასამართლომ განმარტა:

> *„პალატა პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს არასრულწლოვანი დაზარალებულის* [ბავშვის] *ჩვენებაზე, მის თანამიმდევრულობასა და შესაბამისობაზე საქმეზე დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან. ... ჩვენების გულწრფელობას და რეალურობას კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ფსიქოლოგის და ექსპერტების ჩვენებები, ასევე მათ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა".*[81]

განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი ცვლის თავის ჩვენებას. ერთ-ერთ საქმეში[82], რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა, 12 წლის გოგომ სხეულზე არსებული დაზიანებებით, დასახმარებლად მეზობლებს მიმართა და მათთან ერთად საპატ-

[79] საქართველოს უზენაესი სასამართლო, 19 ნოემბერი, 2015 წ. საქმე №253-15, აბზაცი 3.
[80] ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/173-2018.
[81] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3465-19.
[82] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1536/18.

რულო პოლიციის თანამშრომლებს უამბო მამინაცვლის მიერ ძალადობისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების შესახებ. თუმცა, არასრულწლოვანმა, მას შემდეგ, რაც დედას ესაუბრა, უარყო საკუთარი პირვანდელი განცხადება. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა 4 პირის ერთმანეთთან სრულად თანხვედრაში მყოფი ჩვენება და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც არასრულწლოვნის სხეულზე ისეთ დაზიანებებს ადასტურებდა, რომლებიც ემთხვეოდა არასრულწლოვნის თავდაპირველ ჩვენებას და დანაშაულის ჩადენის დროით მონაკვეთს, სასამართლომ ეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საკმარისად არ მიიჩნია. სამედიცინო დასკვნაში ამ დაზიანებებთან და მათ გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ *„დაზიანებები არ არის განვითარებული ისეთ მიდამოებში, რომლებიც მეტწილად დამახასიათებელია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის (მაგალითად, შორისის მიდამოებში ან ეროგენულ ზონებში)“*. განაჩენში ასევე აღინიშნა: *„რაც შეეხება სხვა მტკიცებულებებს, ეს მტკიცებულებები არის ირიბი ჩვენებები და მარტო ეს მტკიცებულებები არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის“*.

ამ საქმეში ბავშვის მიერ ჩვენების შეცვლა გამამართლებელი განაჩენის საფუძველი გახდა:

> *„...თუკი დაზარალებული სასამართლო პროცესზე მისცემდა ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენებას და ეს ჩვენება შესაბამისობაში იქნებოდა მის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან, ასეთი მოცემულობისას სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა ბრალდებულის საწინააღმდეგოდ სხვა ძალას შეიძენდა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა კატეგორიულად უარყო დანაშაულის ჩადენის ფაქტი და საერთოდ გამორიცხა რაიმე სახის ძალადობაც კი ბრალდებულის მხრიდან და იმავდროულად სახეზეა მხოლოდ ამგვარი ლოკალიზაციის მსუბუქი ხარისხის დაზიანებანი, ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა ვერ ჩაითვლება დანაშაულებრივი ქმედების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად. ამგვარი ექსპერტიზის დასკვნა არაფერს არც უარყოფს და არც ადასტურებს“*.

სასამართლოს ბავშვის მიერ პირველადი ჩვენების შეცვლის საფუძვლებზე და მასზე სავარაუდო ზეწოლის შესაძლებლობაზე არ უმსჯელია, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომაზე ამის შესახებ მიუთითებს სოციალური მუშაკიც. ხოლო პროკურორის კითხვაზე, *ოჯახი ვისზეა დამოკიდებული?* დაზარალებულის დედამ თავისი მეუღლის, ბრალდებულის სახელი და გვარი დაასახელა. სასამართლო სხდომაზე სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ პირველი ჩვენების შემდგომ, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი სექსუალურ ძალადობაზე მიუთითებდა, არც მას და არც ფსიქოლოგს არ მიეცათ ბავშვთან მუშაობის შესაძლებლობა.

საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი სააპელაციომ უცვლელად დატოვა. თუმცა უზენაესმა სასმართლომ განაჩენი შეცვალა და აღნიშნა:

> *„ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეებს, როგორც წესი, მოწმეთა სიმრავლე არ ახასიათებს. ბავშვი არის დედის მეურვეობის ქვეშ, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი და მატერიალურად დამოკიდებულია მოძალადეზე. ბავშვის დედას არ დაუმალავს, რომ სურს მოძალადე იყოს თავისუფალი და*

განაგრძოს მასზე და მის ოჯახზე ზრუნვა. ... არასრულწლოვანი დარჩენილია ყველანაირი დამცავი ფაქტორის გარეშე, არის უკიდურესად შეშინებული და იმყოფება დედის გავლენის ქვეშ, რომელიც მოქმედებს მისი ინტერესების საზიანოდ და ყველაფერს აკეთებს, რათა საკუთარი მატერიალური მიზნების გამო, პასუხისმგებლობა აარიდოს ბავშვზე მოძალადეს".[83]

ამ საქმეში პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უკიდურესად პრობლემურია. გარდა ზემოთ განხილული *„სექსუალური ხასიათის ქმედებისთვის დამახასიათებელი ფიზიკური დაზიანების"* მოთხოვნის შეუსაბამობისა საერთაშორისო სტანდარტებთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას.[84] ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემაზე. როცა საქმეში სხვა მტკიცებულებები არსებობს, დევნა საჯარო ინტერესის ტესტზე დაყრდნობით (რომელსაც ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები ავტომატურად აკმაყოფილებს) უნდა განხორციელდეს და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას არ უნდა შეუშალოს ხელი მსხვერპლის ჩვენების საქმეში არარსებობამ. ამასვე მოითხოვს სტამბოლის კონვენცია და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტები. კონვენციის თანახმად, „გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე" (მუხლი 55.1. იხ. ასევე ევროპული სასამართლოს საქმე Opuz v Turkey, no. 33401/02, 2009).

პროკურორებთან და გამომძიებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოკითხული პირები მიუთითებდნენ, რომ საქალწულე აპკის მდგომარეობას და სხეულზე არსებულ დაზიანებებს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა შემთხვევის ძალადობით ჩადენილად კვალიფიკაციისა და საქმის შედეგისთვის, თუმცა, შესწავლილი პრაქტიკა საპირისპიროზე მეტყველებს და, ასეთი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ეტაპზე მხოლოდ მსხვერპლის ჩვენება არ მიიჩნევა სანდოდ და საკმარისად. ამ საკითხებზე ექსპერტიზის დასკვნას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს სისხლის სამართლის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული ზუსტად მიუთითებდა გაუპატიურების ფაქტზე და აღნიშნავდა, რომ დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული პერიოდი სხეულზე დაზიანებებიც ჰქონდა, შემთხვევიდან რამდენიმე თვე იყო გასული, სამედიცინო ექსპერტიზით ვერ მოხერხდა დაზარალებულის ჩვენების გამყარება. განაჩენში აღინიშნა, რომ *„ძალადობის ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მტკიცებულება დაზარალებულის ჩვენების სახით, რაც უტყუარად ვერ დაადასტურებს, რომ ბრალდებულმა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი დაამყარა ძალადობით".*[85] ამ საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა სსკ-ს 140-ე მუხლით (ანუ, პირის თანხმობით ჩადენილ ქმედებად) და ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ისეთ საქმეებში, სადაც დანაშაულებრივი ქმედების ერთადერთი შემსწრე თავად დაზარალებული არასრულწლოვანია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ასევე, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას, როგორც მტკიცებულებას. ექსპერტიზას, როგორც წესი, ესმება

[83] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი №828ა3-19.
[84] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები: 100, 101.
[85] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/1876-19.

კითხვა – განიცადა თუ არა არასრულწლოვანმა ფსიქოლოგიური ტანჯვა ან ფსიქოლოგიური სტრესი მომხდარი დანაშაულის საფუძველზე და რამდენად შეუძლია არასრულწლოვანს, სწორად აღიქვას და გადმოსცეს მოვლენები. ერთ-ერთ განაჩენში, სადაც არასრულწლოვანი საკუთარი აღმზრდელის მხრიდან გარყვნილ ქმედებაზე მიუთითებდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისას (გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე, თექვსმეტ წელს მიუღწეველ პირთან), ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არასრულწლოვნის მიერ განცდილი „სტრესი" არ იყო საკმარისი და ბავშვს უნდა მიეღო *„ფსიქოლოგიური ტრავმა, უფრო მძიმე ფსიქოლოგიური გამოვლინებებით".*[86] ეს მოსაზრება გაიზიარა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომაც, და განაჩენში მიუთითა, რომ:

> *„პალატა, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული განმარტებები თანხვედრაშია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ფსიქოლოგიური დასკვნის შედეგებთან, ვინაიდან ფსიქოლოგიური სტრესი შესაძლოა ადამიანმა მიიღოს ხშირად, დღეში რამდენჯერმე. ეს პროცესი კონკრეტული ქმედების განუხორციელებლობის ვერშეძლება ან არასათანადოდ განხორციელებასაც შეიძლება სდევდეს. რაც შეეხება ტრავმას, ნებისმიერი სახის ძალადობის შემთხვევაში ადამიანი განიცდის ფსიქოლოგიურ ტრავმას, რომელიც ბევრად უფრო მძიმე ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას გულისხმობს. ამიტომ რვა წლის ბავშვზე იმ სახის ძალადობის ფაქტები, რაც მის ჩვენებებშია აღწერილი, გამოიწვევდა ბევრად უფრო ღრმა ფსიქოემოციურ მდგომარეობას, ვიდრე ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ფსიქოლოგიური სტრესია."*[87]

აღსანიშნავია ისიც, რომ მსჯელობისას ორივე ინსტანციის სასამართლო ეყრდნობა დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას, რომელსაც დაზარალებულ არასრულწლოვანთან არ უმუშავია და დასკვნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე მოამზადა.

ამასთანავე, საქმეში, სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ საკითხის განხილვას, რომ არასრულწლოვანს *„ტყუილის თქმა ახასიათებდა"*, კერძოდ, ზოგჯერ სკოლის მასწავლებელს ატყუებდა, შესაბამისად, მისი ჩვენება არ შეიძლებოდა სარწმუნოდ მიეჩნიათ. ყველა სხვა ჩვენება, რომელიც საქმეში მოიპოვებოდა, იყო ირიბი და სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.[88]

სქესობრივი ხასიათის დანაშაულებში დაზარალებულის ჩვენება ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა, თუმცა, პრაქტიკაში, მას სათანადო ძალა არ აქვს, თუ იგი გამყარებული არ არის სხვა მტკიცებულებებით – რაც ეწინააღმდეგება ზემოთ განხილულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. განსაკუთრებით პრობლემურია ის საქმეები, სადაც აპელირება ხდება იმაზე, რომ დაზარალებულის მცირეწლოვნების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძველზე, ბავშვს არ შეუძლია სწორად აღიქვას და გადმოსცეს მომხდარი.

[86] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/229-19.
[87] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი №1/ბ-16-2020წ.
[88] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/229-19.

დაზარალებულის ჩვენებისთვის მინიჭებულ მნიშვნელობასთან მიმართებით, საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენი, სადაც აღინიშნა:

> *„სასამართლო თვლის, რომ სხდომაზე არასრულწლოვანი დაზარალებულების გამოკითხვებმა ცხადყო, რომ მათი ასაკი არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს, რათა მათ სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ; ამასთან, მათი ჩვენებები იყო დამაჯერებელი და არ ქმნიდა დასწავლილი ტექსტის თხრობის შთაბეჭდილებას; მეტიც, გამოკითხვისას დაზარალებულებმა გამოიყენეს ბრალდებულის ქმედებათა ამსახველი ჟესტები, რაც ასევე არწმუნებს სასამართლოს, რომ ისინი მათ თავს გადამხდარ რეალურ შემთხვევებზე საუბრობდნენ“.* მტკიცებულებებთან დაკავშირებით *„... სასამართლო განმარტავს, რომ ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად მიჩნევისას იხელმძღვანელა კანონმდებლობის მიერ დადგენილი მაღალი, „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სამართლებრივი სტანდარტით, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში მოითხოვს არა მტკიცებულებათა სიუხვეს, არამედ, – წონადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომელთა ურთიერთ შეჯერებისა (და არა მათი განყენებულად შეფასების) და ანალიზის შედეგად, ნებისმიერი გონიერი და ობიექტური ადამიანი დარწმუნდება პირის ბრალეულობაში“.*[89]

ზემოხსენებულ საქმეში გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა სამი დაზარალებული მცირეწლოვნის ჩვენებას. ბავშვების გამოკითხვას ესწრებოდა ფსიქოლოგი, რომელიც სასამართლო სხდომაზე ასევე დაიკითხა. საქმეში ასევე იყო არასრულწლოვნების მშობლების ირიბი ჩვენებები.

არასრულწლოვნის მიერ ჩვენების შეცვლისას, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, გარკვეულწილად იკვეთება ბრალეულობის დასადასტურებლად დამატებითი მტკიცებულების არსებობის საჭიროება, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულების მოპოვება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მეორეული ვიქტიმიზაციის დიდ რისკთან და, როცა, ამასთანავე, ამგვარი მტკიცებულების მოპოვების საჭიროება არ არსებობს. ერთ-ერთ საქმეში დაზარალებულმა არასრულწლოვანმა თავდაპირველად სრულად უარყო გაუპატიურების ფაქტი და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას განაცხადა, რომ სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით დაამყარა. თუმცა მეორე დღეს ჩვენება შეცვალა და სამართალდამცავებს მომხდარის შესახებ მოუთხრო. მიუხედავად იმისა, რომ გოგოს ჩატარებული ჰქონდა სამედიცინო ექსპერტიზა და არსებობდა ნაცხის ანალიზიც, სამართალდამცავებმა ბრალეულობის დასამტკიცებლად არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს დაზარალებულის მონაწილეობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვანს კვლავ მოუწევდა მოძალადესთან შეხვედრა იმავე ტყეში, სადაც ის თავდაპირველად გააუპატიურეს. დადგენილებაში აღინიშნა, რომ

> *„საქმეზე შეკრებილი მასალების მიხედვით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ* [დაზარალებული არასრულწლოვნისა] *და* [სავარაუდო მოძალადის] [განმეორებითი] *შეხვედრის შემთხვევაში საუბარი იქნება ...* [პირველი შეხვედრის დროს] *მომხდარ გაუპატიურების ფაქტზე და თავად სავარაუდო მოძალადე სავარაუდოდ დაუდასტურებს დანაშაულის ჩადენას. ასევე მოპოვებული იქნება საქმისთვის*

[89] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3551-18.

მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. ... ფარული საგამოძიებო მოქმედების – ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიო ჩაწერა, ფოტო გადაღების განხორციელების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია, ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს".[90]

საქმის მასალების მიხედვით, საქმეში არ ჩანს ფსიქოლოგის ჩართულობა. არ ჩატარებულა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე არ შეფასებულა არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და საგამოძიებო მოქმედებაში ბავშვის მონაწილეობის მართებულობა. მოსამართლე აღნიშნავს, რომ *„წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, დანაშაულთან შესაძლო კავშირში მყოფი ან დანაშაულის შესახებ შესაძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირია, ხოლო არასრულწლოვანი ფარული საგამოძიებო მოქმედებაში ნებაყოფლობით მონაწილე პირია".*

ის განცდა, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მტკიცებულებითი სტანდარტი შეუსაბამოდ მაღალია და მსხვერპლის მიმართ ხშირად ჩნდება უნდობლობა, თავად არასრულწლოვნებისთვისაც კი აქვთ. განაჩენების საფუძველზე ასევე გამოიკვეთა ორი შემთხვევა,[91] როდესაც არასრულწლოვნებმა იმისათვის, რათა მათი მონათხრობი დაეჯერებინათ, საჭიროდ მიიჩნიეს სექსუალური ძალადობის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ განცხადეს ძალადობის ფაქტის შესახებ.

სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია არასრულწლოვნის მიერ ჩვენების შეცვლის და დაზარალებულზე სავარაუდო ზეწოლის განხილვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ დადებითად უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი საქმე[92], სადაც სასამართლომ იმსჯელა არასრულწლოვანზე საქმის გამოძიების დროს ოჯახის წევრის მხრიდან ზეწოლის შესაძლებლობაზე და ეჭვქვეშ არ დაუყენებია დაზარალებულის შეცვლილი ჩვენება. ამ საქმეში არასრულწლოვანმა პირველი გამოკითხვისას უარყო მამის მხრიდან გაუპატიურების ფაქტი, ხოლო მოგვიანებით სამართალდამცავებს სრული ინფორმაცია მიაწოდა. ბრალდებულის დაცვის მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულის ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, სასამართლომ განმარტა: *„აღნიშნული იმით აიხსნება, რომ იგი იმყოფებოდა მამის გავლენის ქვეშ და განიცდიდა შიშს მისი მხრიდან გამოძიებისათვის სიმართლის თქმის შემთხვევაში. მამა სულ თან ახლდა დაზარალებულს, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას".* ამავე საქმეში დაზარალებულს უჭირდა თარიღებისა და დროის ზუსტი თანამიმდევრულობით დასახელება, რის გამოც მოსამართლე ფსიქოლოგის დასკვნას დაეყრდნო და განმარტა, რომ *„ტრავმის შედეგად უჭირთ თარიღების, დღეების, საათების ზუსტად განსაზღვრა, რაც ბუნებრივია, ერთი მხრივ, მათი ასაკიდან და, მეორე მხრივ, გადატანილი ტრავმის სიმძიმის გამო".* მოსამართლე ცრუ დასმენასთან დაკავშირებითაც იშველიებს ფსიქოლოგის დასკვნას და არასრულწლოვნის რეაბილიტაციას და განმარტავს, რომ *„... იმ პერიოდში, როდესაც დაზარალებული*

[90] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი N1/4093-19

[91] თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/41-19; ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/173-2018.

[92] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/63-19.

იმყოფება შესაბამის კრიზისულ ცენტრში, სარგებლობს ფსიქოლოგების მომსახურებით, გადის ფსიქიკური რეაბილიტაციის პროცესს, არ არის დამოკიდებული მამაზე, არ აქვს შეხება მასთან, მუშაობს და ფსიქოლოგების განმარტებით, ახალ გარემოში უსაფრთხოდ გრძნობს თავს, ლოგიკას მოკლებულია ვარაუდი [ბავშვის] *მხრიდან ცრუ დასმენის თაობაზე".* მოსამართლე განმარტავს, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ჩვენებას.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას და საქმეზე განაჩენის გამოტანისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის ჩვენებას. თუმცა, საქმის მასალებმა ასევე ცხადყო, რომ სათანადოდ ვერ ხდება უშუალოდ ბავშვის მიერ ჩვენების შეცვლის შეფასება, არ მიმდინარეობს ამ ქცევის მიზეზების სათანადოდ მოკვლევა და არასრულწლოვანზე ზეგავლენის ფაქტორების გამოვლენა, რაც, შესაძლებელია, საქმეზე გამამართლებელი განაჩენის საფუძველი გახდეს. ამასთანავე, მიუხედავად ერთეული განაჩენებისა, სადაც მოსამართლეები მიუთითებენ განაჩენის გამოსატანად არა მტკიცებულებების სიმრავლის, არამედ მათი დამაჯერებლობის აუცილებლობაზე[93] და აღნიშნავენ, რომ ამ სპეციფიკის დანაშაულებს, ზოგადად, არ ახასიათებს მტკიცებულებათა სიმრავლე,[94] საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, „მტკიცებულებათა ერთობლიობის"[95] შესახებ, განიმარტება, როგორც მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობა,[96] რაც ვერ ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკას და არსებითად აფერხებს ბავშვზე სექსუალური ძალადობის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში იკვეთება ფსიქოლოგის დასკვნისა და ფსიქოლოგიური ექსპერტიზისთვის ფაქტის კონსტატაციის ტოლფასი მნიშვნელობის მინიჭება. კერძოდ, ფსიქოლოგიური ექსპერტიზისთვის დასმული კითხვა, მიადგა თუ არა ბავშვს ტრავმა ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედებით, შესაძლოა აღიქმებოდეს როგორც იმის დადგენის მექანიზმი,[97] ზოგადად გადახდა თუ არა არასრულწლოვანს ეს ფაქტი, რაც, როგორც დოკუმენტშიცაა აღნიშნული, გაუმართლებელია და არსებითად შეუსაბამო ბავშვის ინტერესებთან. მსგავსი მიდგომა გამოიკვეთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შემთხვევებთან მიმართებითაც, როდესაც ბავშვზე სექსუალური ძალადობის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა სხეულზე არსებულ დაზიანებებს არსებობას ენიჭება და იმის განხილვა ხდება დაზიანებების ლოკალიზაცია რამდენად შეიძლება მეტყველებდეს ბავშვზე სექსუალური ხასიათის ძალადობაზე.[98]

საგულისხმოა სასამართლო ეტაპზე, ჩვენების დამაჯერებლობის შეფასებისას, დაცვის მხარის მიერ სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მცირეწლოვანებაზე, სხვა მოწმეების მხრიდან არასრულწლოვნის პიროვნების დახასიათებაზე (მაგ., იტყუება ხოლმე)

[93] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3551-18.
[94] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი №N828ა3-19.
[95] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13(2).
[96] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/492-19; ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/173-2018.
[97] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/229-19.
[98] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1536/18.

ან შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მითითება. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს რამდენიმე მოსამართლის მსჯელობა, რომლებმაც პირდაპირ მიუთითეს განაჩენში, რომ არასრულწლოვნის მცირეწლოვანებამ ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსმა პირდაპირ არ უნდა მოახდინოს გავლენა მისი ჩვენების დასაშვებობაზე.[99] თუმცა, არსებული პრაქტიკა და დაცვის მხარის მიერ, მათ შორის, სასამართლო სხდომებზე დაკითხვისას გაკეთებული აქცენტები ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე მეტყველებს.[100]

3. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ არსებული პრაქტიკა

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ ეტაპზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია იმის შესაძლებლობასაც კი არ იძლევა, ზუსტად დადგინდეს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის რამდენ შემთხვევაზე მოხდა შეტყობინება და სისხლის სამართლის რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება.[101] ამით ფერხდება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის კუთხით არსებული რეალობის ზუსტი ანალიზის და გამოკვეთილი გამოწვევების საფუძველზე, შესაბამისი, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება.

პროკურორების და გამომძიებლების ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის ყველა ფაქტზე, რომლის შესახებაც ცნობილი გახდება სამართალდამცავი ორგანოებისთვის, იწყება გამოძიება და ამ კუთხით რაიმე სტანდარტი ან კრიტერიუმები არ არსებობს. შესაბამისად, გამოძიების დასაწყებად აუცილებელი არ არის, თავად დაზარალებულმა გააკეთოს განაცხადი სამართალდამცავ ორგანოში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები ინფორმატიულობით არ ხასიათდება. მაგალითად, 119 დადგენილებიდან 18 დადგენილებაში არ არის მითითებული, რა გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი.

არაერთგვაროვანია მიდგომა ადრეული ქორწინების შემთხვევების სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლთან ერთად კვალიფიკაციის კუთხით. კერძოდ, სსკ-ს 140(1) მუხლით დაკვალიფიცირებული 73 საქმიდან 28 დადგენილებაში, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების შინაარსის მიხედვით, სახეზე იყო ადრეული ქორწინების ნიშნები, შემთხვევის სსკ-ს 140(1) მუხლით დაკვალიფიცირებისას არ მოხდა მე-11[1] მუხლის გამოყენება, მაშინ როდესაც იდენტურ საქმეებში, სხვა შემთხვევაში, გამოიყენება ეს კვალიფიკაცია. აღნიშნული ხელს უშლის ოჯახში ჩადენილი დანაშაულების ზუსტი სტატისტიკის წარმოებას და ამ კუთხით ქვეყანაში არსებული ტენდენციის გამოკვეთას.

[99] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/3551-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/2215-19.
[100] კვლევის შემდგომ თავებში ამ საკითხს უფრო ვრცლად განვიხილავთ.
[101] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02699713, თარიღი: 18/11/2020.

დადგენილებათა ნაწილში ასევე არ არის სრულყოფილად მოცემული ინფორმაცია საგამოძიებო მოქმედებებისა და გამოძიების შეწყვეტის[102] საფუძვლების შესახებ. ამასთანავე, რეგიონების მიხედვით განსხვავდება დადგენილების წერის ფორმა და არ არის ერთიანი სტანდარტი იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაციას შეიძლება მოიცავდეს გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება.

იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი არასრულწლოვან პირებს ეხება, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეში ჩართული სპეციალისტების და ექსპერტების იდენტიფიცირებას. თუმცა ამ კუთხით, დადგენილებებში მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შენიშვნა გვხვდება და არცერთ დადგენილებაში არ არის მითითებული ფსიქოლოგის ჩართულობას შესახებ.

ამასთანავე, დადგენილებებიდან შეუძლებელია იმის გაგება, გადაამისამართეს თუ არა არასრულწლოვანი შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან სათანადო სარეაბილიტაციო მომსახურების მისაღებად. ისეთ დადგენილებებში[103], სადაც იკვეთება გარყვნილი ქმედება, თუმცა გამოძიება წყდება, რადგან ორივე პირი არასრულწლოვანია, არც იმაზე მიეთითება, არასრულწლოვნების რეაბილიტაციის მიზნით მოხდა თუ არა შემთხვევის რეფერირება შესაბამის უწყებასთან.

გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებებში არსებული ტენდენციები განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით. კერძოდ, სსკ-ს 137-ე მუხლთან დაკავშირებით გამოძიების შეწყვეტის საფუძველი, უმეტეს შემთხვევაში (15 შემთხვევიდან 8 შემთხვევა), ხდება თავად სავარაუდო დაზარალებულის მიერ ძალადობის უარყოფა, რომელიც უარს ამბობს სამედიცინო ექსპერტიზაზე, სხეულზე დაზიანებებისა და „საქალწულე" აპკის მთლიანობის დადგენის მიზნით (ამ პრაქტიკის პრობლემურობაზე იხ. ქვემოთ), ხოლო არასრულწლოვნისა და სხვა მოწმეები, გამოკითხვისას უარყოფენ გაუპატიურების ფაქტს, რის საფუძველზეც წყდება გამოძიება. სსკ-ის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმეებიდან, გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ორ შემთხვევაში ჩანს ფსიქოლოგის ჩართულობა და ფსიქიატრიული ექსპერტიზა. აქედან ერთ შემთხვევაში ბავშვი სახელმწიფო მზრუნველობაში იმყოფებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ეჭვქვეშ იდგა მისი შერაცხადობა. გამოძიების შეწყვეტის დადგენილებების მიხედვით, მთავარ მტკიცებულებებს სავარაუდო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმეთა გამოკითხვის ოქმები და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს, რომელიც ადგენს, რომ სხეულზე არ არსებობს რაიმე სახის დაზიანება და „საქალწულე" აპკის მთლიანობა დარღვეული არ არის (ამ პრაქტიკის პრობლემურობაზე იხ. ქვემოთ). ფსიქოლოგის ჩართულობა არც ისეთ საქმეებში ჩანს, სადაც არასრულწლოვანი აღნიშნავს, რომ იცრუა სექსუალური ძალადობის შესახებ.[104]

[102] საქმე №058100618001 – 137-ე მუხლი, მესტიის რაიონული პროკურატურა; საქმე №004100518013 – 140-ე მუხლი, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა; საქმე №071080818003 – 141-ე მუხლი, ზუგდიდის რაიონული პროკურატურა; საქმე №031241119004 – 137-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა.

[103] საქმე №001260818015 – 141-ე მუხლი, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა; საქმე №064161018003 – 141-ე მუხლი, ქ. ფოთის რაიონული პროკურატურა; საქმე №004070518003 – 138-ე მუხლი, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა; საქმე №012200519009 – 141-ე მუხლი, ქ. რუსთავის რაიონული პროკურატურა; საქმე №061051019001- 141-ე მუხლი, სამტრედიის რაიონული პროკურატურა.

[104] საქმე №041020518002 – 139-ე მუხლი, ქუთაისის რაიონული პროკურატურა.

არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ს 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (გაუპატიურება) საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის ხშირი საფუძველია არასრულწლოვნის მიერ სექსუალური ძალადობის უარყოფა. ამ დროს საგამოძიებო ორგანო გამოკითხავს არასრულწლოვანს, სავარაუდო მოძალადეს და სხვა მოწმეებს, რომლებიც უარყოფენ გაუპატიურების ფაქტს, მოიპოვებს საქმესთან არსებულ სხვა მტკიცებულებებს, რაც ამ საქმეებში დადგენილებების მიხედვით, ძირითადად, სატელეფონო მიმოწერებია. ასევე ინიშნება სამედიცინო ექსპერტიზა სხეულზე არსებული დაზიანებისა და საქალწულე აპკის მთლიანობის შესამოწმებლად.[105] თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, არასრულწლოვნები უარს აცხადებენ სამედიცინო ექსპერტიზაზე.[106]

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ ერთ-ერთი დადგენილების მიხედვით,[107] არასრულწლოვანს შუბლის არეში აღენიშნებოდა დაზიანება, რის გამოც რაიონული საავადმყოფოდან გადაიყვანეს რეფერალურ საავადმყოფოში. კლინიკაში მიყვანისას მისი დედა აცხადებდა, რომ შვილმა დაზიანება ძალადობის შედეგად მიიღო და ბავშვის „საქალწულე" აპკის მთლიანობის შესამოწმებლად, გინეკოლოგიურ ექსპერტიზას ითხოვდა. არასრულწლოვანმა კატეგორიული უარი განაცხადა სამედიცინო ექსპერტიზაზე და მომხდარი ველოსიპედიდან ჩამოვარდნით ახსნა. საბოლოოდ, ბავშვის დედამაც შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ პრეტენზია არავის მიმართ ჰქონდა. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში ჩანს, რომ მტკიცებულებად გამოიყენეს თავად არასრულწლოვნის, მისი მშობლის, ოჯახის სხვა წევრების და რაიონული საავადმყოფოს ექიმის ჩვენება, რომელიც აღნიშნავდა, რომ არასრულწლოვნის თქმით, მან დაზიანება ველოსიპედიდან გადმოვარდნით მიიღო. დადგენილებაში მტკიცებულებად აღნიშნულია ტელეფონის ამოღების ოქმი, თუმცა მისი მნიშვნელობის ან სხვა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ არაფერია მითითებული. საქმეში გამოძიების არცერთ ეტაპზე არ ჩანს ფსიქოლოგის მონაწილეობა. აღნიშნული საქმე სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოეწოდა, როგორც არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილება. თუმცა, უწყებასთან დამატებითი კომუნიკაციით, ცნობილი გახდა, რომ ამ საქმეში სავარაუდო მსხვერპლი სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტის ჩადენისას უკვე იყო 18 წლის (ერთი თვის წინ გახდა 18 წლის). აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც არასრულწოვანის დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის, მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვაზე ორიენტირებული დამატებითი ღონისძიებების განხორციელების გამომრიცხველი გარემოება. ამასთან, სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ ფაქტის უარყოფა და სამედიცინო ექსპერტიზაზე უარის თქმა, პირდაპირ არ მიუთითებს დანაშაულებრივი ფაქტის არარ-

[105] დადგენილება №004010618023 – 137-ე მუხლი, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №068030518001 – 137-ე მუხლი, სენაკის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №175300718002 – 137-ე მუხლი, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №031080219006-137-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №031241119004-137-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა.

[106] დადგენილება №058100618001 – 137-ე მუხლი, მესტიის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №172280118001 – 137-ე მუხლი, ბათუმის რაიონული პროკურატურა; დადგენილება №051070319004-137-ე მუხლი, სენაკის რაიონული სასამართლო; დადგენილება №052170919002-137-ე მუხლი, ზესტაფონის რაიონული პროკურატურა.

[107] საქმე №058100618001 – 137-ე მუხლი, მესტიის რაიონული პროკურატურა.

სებობას და არ შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმეზე გამოძიების შეწყვეტის გარემოება. სექსუალური ძალადობის საქმეებზე აუცილებელია, მოხდეს ყველა რესურსის გამოყენება სავარაუდო მსხვერპლთან ეფექტური, ნდობაზე დამყარებული კომუნიკაციის დასამყარებლად, მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების გამოსავლენად და მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ზეწოლის გამორიცხვის მიზნით. სწორდ აღნიშნულს ემსახურება, მათ შორის, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში ფსიქოლოგის პროაქტიური ჩართვა.

გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმე[108], სადაც 5 წლის ბავშვს აღენიშნებოდა სასქესო ორგანოდან სისხლდენა და შეშუპება. კლინიკაში მისვლისას, დედა ვარაუდობდა, რომ ბავშვზე სექსუალურად იძალადეს. ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, კლინიკის ექიმმა საჭიროდ მიიჩნია, შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სამართალდამცავებისთვის მიემართა. თუმცა, მოგვიანებით თავად ბავშვის დედამ უარყო ბავშვის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობის ფაქტი და განაცხადა, რომ, როგორც ბავშვმა თქვა, მას ეზოში ყოფნის დროს შეერჭო ჯოხი და ამით დაიზიანა სასქესო ორგანო. გამოძიება სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე შეწყდა, რომლის თანახმადაც, აპკის მთლიანობა არ იყო დარღვეული და არასრულწლოვანს არც უკანა ტანზე აღენიშნებოდა დაზიანებები. გამოძიებამ დედის შეცვლილი ჩვენება და ოჯახის სხვა წევრების გამოკითხვის ოქმები სარწმუნოდ მიიჩნია. საქმის გამოძიების არცერთ ეტაპზე არ ჩანს ფსიქოლოგის მონაწილეობა. არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის საქმეების განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია შემთხვევასთან დაკავშირებით, მათ შორის ჩვენების ცვლილების საკითხის სრულყოფილი მოკვლევა. ამასთან, აუცილებელია დადგენილებაში ჩანდეს, რა ქმედითი ღონისძიებები გატარდა და რომელი სპეციალისტების ჩართვა მოხდა არასრულწლოვანთან ეფექტური და ნდობაზე დამყარებული კომუნიკაციის დასამყარებლად.

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ ერთ-ერთი დადგენილება[109] სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ოთხი ექიმის დასკვნით, 5 წლის ბავშვის ნაცხის ანალიზში სპერმა აღმოჩნდა. ნაცხის ნიმუში გადაიგზავნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, სადაც ბავშვს უკანა ტანიდან და საშოდან დამატებით აუღეს ნაცხის ნიმუშები. 4 დღის შემდეგ, ექსპერტიზის დასკვნით, ბავშვის ნაცხის არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა მამრობითი სქესის დნმ. ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას უარყოფდნენ მისი მშობლებიც, რის საფუძველზეც შეწყდა გამოძიება. დადგენილებაში ჩანს, რომ ბავშვი გამოკითხეს, თუმცა მითითებული არ არის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ან ფსიქოლოგის ჩართულობის შესახებ. დადგენილებაში ასევე არ არის მითითებული, რის საფუძველზე განაცხადა კლინიკის 4 სპეციალისტმა ბავშვის ნაცხის ანალიზში სპერმატოზოიდის არსებობის შესახებ.

მიღებული დადგენილებების[110] თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 140(1) მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეებზე, რაც გულისხმობს სრულწლოვნის სექსუალური

[108] საქმე №031241119004 – 137-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა.
[109] საქმე №031080219006 – 137-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა.
[110] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/58282. 08/10/2020.

ხასიათის შეღწევას წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები, ძირითადად, ორივე პირის არასრულწლოვანებაა (24 შემთხვევა). ასევე, ხშირია სსკ-ს 140(1) მუხლით დაწყებული გამოძიების შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ დაზარალებული სქესობრივი აქტის დროს უკვე იყო 16 წლის (28 შემთხვევა). ასეთ შემთხვევებში, დადგენილებებში ასევე მიუთითებენ, რომ სქესობრივი აქტი მოხდა ნებაყოფლობით. თუმცა, გამოვლინდა შემთხვევებიც, როდესაც სავარაუდო დაზარალებული უარს აცხადებდა ექსპერტიზის ჩატარებაზე და უარყოფდა მის მიმართ სექსუალურ ძალადობას ან სექსუალური ხასიათის შეღწევის ფაქტს, შესაბამისად, გამოძიების ეტაპზე დანაშაულებრივი ქმედების დადასტურება ვერ მოხერხდა და საქმეზე შეწყდა გამოძიება.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეებში გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების მიხედვით, ძირითადი მტკიცებულებებია გამოკითხვის ოქმები, სამედიცინო ექსპერტიზა, სამედიცინო ისტორია, დაბადების მოწმობები და ჩვილის დაბადების აქტები. დე ფაქტო ქორწინების შემთხვევებში, ზუსტად ვერ ხერხდება დანაშაულის ჩადენის დროის დასადგენად სათანადო მტკიცებულებების მოპოვება და მისი ათვლა იწყება მხოლოდ დაზარალებულის ფეხმძიმობის თარიღით, რაც ხშირად, არ იძლევა სსკ-ს 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან დაზარალებული იმ დროისთვის უკვე იყო 16 წელს მიღწეული. ამასთანავე, გამოიკვეთა მიდგომა იმ ადრეულ ქორწინებებთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო მაშინ, როდესაც ორივე პირი არასრულწლოვანი იყო, ხოლო როდესაც ერთ-ერთი მათგანი უკვე სრულწლოვანი გახდა, ისინი ერთმანეთთან მხოლოდ თანაცხოვრობდნენ. მტკიცებულებების არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევებში წყდება საქმის გამოძება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე.[111] აღნიშნულ საქმეებში, რთულია მტკიცებულებების მოპოვება. მათ შორის, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი უარყოფს მის მიმართ ძალადობას ან არ თანამშრომლობს სამართალდამცავებთან. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის ნების დამრთრგუნველი გარემოებების და მის მიმართ სავარაუდო ზეწოლისა და იძულების ფაქტების გამორიცხვას და ამ მიზნით საქმეში ყველა საჭირო სპეციალისტის, მათ შორის ფსიქოლოგის ჩართულობას.

გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებებით გამოიკვეთა ადრეული ქორწინების რამდენიმე შემთხვევა, სადაც უკვე არსებობდა სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლოს მიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, თუმცა ეს ეფექტიანი არ აღმოჩნდა. ერთ-ერთი დადგენილების თანახმად, ინდივიდს შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი და გამოძიება იმის საფუძველზე დაიწყო, რომ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ 16 წლამდე არასრულწლოვანს მეორე შვილი შეეძინა. გამოძიების შეწყვეტის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ დაზარალებულისთვის *„.. ასეთი სექსუალური კონტაქტი უკვე ხელს ვერ შეუშლის 16 წელს მიუღწევლის ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. .... მისი სქესობრივი ხელშეუხებლობა აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებ-*

[111] საქმე №040010418001 – 140-ე მუხლი, სიღნაღის რაიონული პროკურატურა; საქმე №031071119001-140-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა; საქმე №064120919001-140-ე მუხლი, სამტრედიის რაიონული პროკურატურა; საქმე №171180119004-140-ე მუხლი, ბათუმის რაიონული პროკურატურა; საქმე №173260719004-140-ე მუხლი, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა; საქმე №001151119012 – 140-ე მუხლი, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა.

რივი დაცვის ობიექტს".[112] ეს არის დისკრიმინაციული პრაქტიკა, რაც გამყარებულია საქართველოში არსებული სამართლის სახელმძღვანელოთი.[113] იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა (იხ. ზემოთ გვ....) და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც მსგავს საფუძველს არ იცნობს გამოძიების/დევნის შესაწყვეტად.

გამოძიება არც ასეთ საქმეებში გრძელდება იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანი უარყოფს სქესობრივ კავშირს, უარს აცხადებს სამედიცინო ექსპერტიზაზე და სხვა მოწმეებიც უარყოფენ ადრეული ქორწინების ფაქტს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადრეული ქორწინების საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებებში ყოველთვის არის მითითება 16 წლამდე არასრულწლოვნის „ნებასურვილით" დაოჯახებაზე. ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება კანონს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,[114] ქორწინების ასაკი არის 18 წელი და 18 წლამდე პირის მიერ ქორწინების თაობაზე გამოხატული ნება არავალიდურია. აღნიშნულ საქმეებშიც, აუცილებელია, მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების მოკვლევა, მის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამორიცხვა. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწოვანის ფორმალური თანხმობა არ იქნეს აღქმული, როგორც მის მიერ ქორწინების თაობაზე ნების გამოხატვა.

ფსიქოლოგის ჩართულობაზე არც სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილებებშია მითითებული, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, სადაც არ იკვეთება ადრეული ქორწინება. კერძოდ, ერთ დადგენილებაში[115] აღნიშნული იყო, რომ 13 წლის გოგონა იღებდა კონტრაცეპტივებს, რომლებიც რეცეპტით გაიცემა, გინეკოლოგის თანახმად კი, მისი საქალწულე აპკი დარღვეული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ პირდაპირ იყო მითითებული საქალწულე აპკის დარღვევის ხანდაზმულობა, 4 თვე, მიუხედავად იმისა, რომ სამხარაულის სამედიცინო ექსპერტიზის ყველა სხვა დასკვნაში, სადაც ხანდაზმულობაზეა საუბარი, აღნიშნულია, რომ 2 კვირაზე მეტი ხნის შემდეგ შეუძლებელია საქალწულე აპკის დარღვევის ხანდაზმულობის დადგენა. ამასთანავე, დადგენილების მიხედვით, არასრულწლოვანმა თვითდაზიანება მიიყენა პასტით და არ მომხდარა სქესობრივი ხასიათის შეღწევა. საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანს, აპკის მთლიანობის დასადგენად, ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც საქალწულე აპკის სიმრთელე დაადასტურა. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება არასრულწლოვნის მიერ სქესობრივი კავშირის უარყოფის და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე მიიღეს. საქმეში ასევე, ჩანს, რომ არასრულწოვანი იღებდა კონტრაცეპტივს, რომელიც მხოლოდ რეცეპტით გაიცემა. არასრულწლოვანის მითითებით, პრეპარატს მხოლოდ მენსტრუალური ტკივილის დასარეგულირებლად იყენებდა. დადგენილებაში არ იყო აღნიშნული როდის ან რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული წამალის გაცემა არასრულწლოვანზე ან რატომ არ მოხდა აღნიშნულის შეტყობინება მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის.

[112] საქმე №033010218003 – 140-ე მუხლი, სიღნაღის რაიონული პროკურატურა.
[113] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, მზია ლეკვიაშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011, გვ. 190.
[114] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108.
[115] საქმე №004100518013 – 140-ე მუხლი, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა.

გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებებით, ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავებისთვის დაგვიანებით გახდა ცნობილი ადრეული ქორწინების შესახებ და აღინიშნა, რომ დანაშაულის ჩადენიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველზე შეწყდა გამოძიება.[116] ასევე, სავარაუდო მოძალადე აღნიშნავდა, რომ თანაცხოვრების დაწყებისას, არ იყო ინფორმირებული, რომ არასრულწოვანი 14 წლის იყო. აღნიშნულის შესახებ მისთვის ცნობილი მხოლოდ არასრულწლოვნის მშობიარობის შემდგომ გახდა. დადგენილებაში აღინიშნა, სავარაუდო მოძალადემ, მას შემდეგ, რაც შეიტყო არასრულწლოვანის ასაკის შესახებ, შეწყვიტა მასთან თანაცხოვრება, მანამ სანამ ის 16 წლის არ გახდა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო ანონიმური შეყობინების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ადგილი ქოდა ადრეულ ქორწინებას, სავარაუდო მსხვერპლზე ხდებოდა ძალადობა, მას ეკრძალებოდა სახლის დატოვება. დადგენილების თანახმად, აღნიშნულ პირზე სავარაუდო ძალადობის შესახებ შეტყობინება აქამდეც იყო გაკეთებული. პირველი შეტყობინების საფუძველზე, სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვა მოხდა საცხოვრებელ ადგილას, სადაც სავარაუდო მსხვერპლი მეუღლესთან ერთად ცხოვობდა. გამოკითხვისას სავარაუდო მოძალადე სახლში, მეორე ოთახში იმყოფებოდა. სავარაუდო მსხვერპლმა უარყო მეუღლის მხრიდან ძალადობა, განაცხადა, რომ თავად დაუმალა ასაკი და აღნიშნა, რომ სახლში საკუთარი ნებით რჩება. აღნიშნული საქმე მეტყველებს სექსუალური დანაშაულის საქმეებზე დაგვიანებული შეტყობინების შედეგებზე და გამოძიების პროცესში წარმოშობილ დაბრკოლებებზე, მათ შორის სავარაუდო მსხვერპლთან კომუნიკაციის კუთხით.

გამოწვევას წარმოადგენს ასევე, იმის განსაზღვრა, თუ რა არის გარყვნილი ქმედება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქმედების სსკ-ს 141-ე მუხლით დასაკვალიფიცირებლად არსებობს საკმაოდ მაღალი სტანდარტი. დადგენილებების მიხედვით, არასრულწლოვნისთვის ფეხზე ხელის დადება და კოცნის შეთავაზება, ნიკაპზე მოფერება, შარვლის ჩახდის მცდელობა, არ არის საკმარისი მოქმედება იმისთვის, რომ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. ერთ-ერთი დადგენილების მიხედვით, სამართალდამცავ ორგანოებს თავად სავარაუდო მსხვერპლმა მიმართა და აცნობა გაუპატიურების ფაქტის შესახებ. გამოძიებით დადგინდა, რომ სავარაუდო დამნაშავემ მას „გართობა" შესთავაზა. დადგენილებაში არ ჩანს არასრულწლოვნის ასაკი.[117] ერთ საქმეში, დაზარალებულის სრულწლოვანების საფუძველზე მოხდა საქმის სექსუალური შევიწროების მუხლზე გადაკვალიფიცირება.[118]

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ მამაკაცი *„გარდა ნიკაპისა, სხეულის სხვა ნაწილებზე არ შეხებია ბავშვებს"*, რის საფუძველზეც შეწყდა გამოძიება.[119]

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის დადგენილების მიხედვით[120], ტაქსის მძღოლმა ბავშვს უთხრა, რომ თავადაც იმავე მიმართულებით მიდიოდა და უსასყიდლოდ შესთავაზა ტრანსპორტირება. შემდეგ გზიდან გადაუხვია და მანქანა გააჩერა, გოგოს ხელი დაადო და ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა ეკოცნა.

[116] საქმე №031220119003 -140-ე მუხლი, მარნეულის რაიონული პროკურატურა.
[117] საქმე №004230218002 – 137-ე მუხლი, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა.
[118] საქმე №176081119001 – 141-ე მუხლი, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა.
[119] საქმე №004210818013 – 141-ე მუხლი, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა.
[120] საქმე №004300617007 – 141-ე მუხლი, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა.

გამოძიება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ *„ტაქსის მძღოლის მხრიდან რაიმე სახით სქესობრივი კავშირის დამყარების შეთავაზებას ადგილი არ ქონია, ... გარყვნილ ქმედებას და შესაბამისად, დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ქონია“.*

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის დადგენილების[121] თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, კერძოდ, ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვის მშობელმა ივარაუდა, რომ გოგოს მიმართ გარყვნილი ქმედების განხორციელებას ქონდა ადგილი. თავად არასრულწლოვანი აღნიშნავდა, რომ მეზობელმა მას წინ, მხარზე მოკიდა ხელი. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების თანახმად, გოგოს მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და იმ საფუძვლით, რომ მის სხეულზე გარეგნულად რაიმე სახის დაზიანება არ აღმოჩნდა, ხოლო გამოკითხული 3 პირი, უარყოფდა სექსუალური ძალადობის ფაქტს, შეწყდა გამოძიება. საქმეში არ იკვეთება ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის ჩართულობა. აუცილებელია გამოძიების პროცესში ყველა არსებული რესურსი იქნეს ამოწურული არასრულწლოვანთან, მისი საჭიროებების გათვალისწინებით, ეფექტური კომუნიკაციის დამყარების, ინფორმაციის მიღების მიზნით. მათ შორის ფსიქოლოგის და საჭიროებისამებრ, ფსიქიატრის ჩართვის კუთხით. ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნების დამთრგუნველი გარემოებებისა და სავარაუდო ზეწოლის, იძულების ფაქტების გამორიცხვას.

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის დადგენილების[122] თანახმად, 7 წლის ბიჭს მამაკაცმა მკლავზე და შარვალზე მოკიდა ხელი და სავარაუდოდ, ცდილობდა მისთვის შარვალი ჩაეხადა. საქმეზე გამოძიება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ *„მხოლოდ შარვლის ჩახდის სავარაუდო მცდელობა არ არის არც ფიზიკური და არც ინტელექტუალური გარყვნილი ქმედება“.* თუმცა, გამოძიება 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2019 წლის 3 ივნისამდე პერიოდში მიმდინარეობდა.

პროკურატურიდან მიღებული დადგენილებებით[123] ირკვევა, რომ ავტობუსში ხალხმრავლობისას არასრულწლოვანს რამდენჯერმე შეეხო მამაკაცი, რის გამოც ბავშვმა პოლიცია გამოიძახა. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში აღინიშნა, რომ არასრულწლოვანს *„პრეტენზია არ გააჩნია ... მიმართ, რადგანაც მან მოუბოდიშა შეწუხებისთვის და არანაირი ფიზიოლოგიური სტრესი არ განუცდია“.* დადგენილების მიხედვით, *„ადგილი არ ქონია არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების განხორციელების ფაქტს და რამდენჯერმე შეეხო მხოლოდ იმის გამო, რომ ავტობუსში იყო ხალხმრავლობა“.* აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე გამოძიება 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რომ გოგოს სავარაუდო მოძალადემ ფაქტიდან დროის მცირე მონაკვეთში მოუბოდიშა.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლების შემთხვევაში, გამოძიების შეწყვეტის საფუძველი, უმეტესად, დაზარალებულის და სავარაუდო მოძალადის არასრულწლოვანებაა, ან ის ფაქტი, რომ სქესობრივი კავშირისას დაზარალებული უკვე იყო 16 წლის. აღსანიშნავია, რომ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის საქმეებზე მთავარი მტკიცებულებებია დაზარალებულის, სავარაუდო მოძალადის და სხვა პირთა გამოკითხვის

[121] საქმე №071080818003-141-ე მუხლი.
[122] საქმე №012100917003-141-ე მუხლი.
[123] საქმე №008240419022 – 141-ე მუხლი.

ოქმები, რომლებიც უარყოფენ სექსუალურ ძალადობას, ასევე, მსხვერპლის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ფეხმძიმედ არის, სამედიცინო ისტორია მისი ორსულობის მიმდინარეობის შესახებ, სავარაუდო მოძალადისა და დაზარალებულის დაბადების მოწმობები და ჩანაწერი ჩვილის დაბადების აქტის შესახებ, რომლის მიხედვითაც ითვლიან პირველი სავარაუდო სქესობრივი კავშირის თარიღს და იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული უკვე იყო 16 წელს მიღწეული, წყვეტენ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას. მსგავსი საქმეები მიუთითებს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში მტკიცებულებების მოპოვებასთან, სავარაუდო მსხვერპლთან და მის ოჯახთან კომუნიკაციის გამოწვევებზე.

2018 და 2019 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით კვალიფიცირებულ სულ ერთ საქმეზე[124] შეწყდა გამოძიება, რასაც საფუძვლად ედო არასრულწლოვნის განცხადება, რომ მან გამოიგონა ძალადობის ფაქტი, მოძალადის სახელად თავისი მეზობლის სახელი გამოიყენა, ხოლო დაზარალებულის სახელი გამოიგონა. საქმეზე გამოიკითხნენ როგორც არასრულწლოვანი, ისე მისი ოჯახის წევრები და მეზობელი, რომლებმაც უარყვეს ძალადობის ფაქტი, რაც საკმარისი გახდა გამოძიების შესაწყვეტად. საქმეში არ ჩანს ფსიქოლოგის მონაწილეობა.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული დადგენილებების თანახმად, 2018 და 2019 წლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლით კვალიფიცირებულ სულ 2 საქმეზე მიიღეს დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ჩხრეკისა და ამოღების შედეგად, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება.

[124] საქმე №041020518002 – 139-ე მუხლი, ქუთაისის რაიონული პროკურატურა.

III. მეორეული ვიქტიმიზაციისგან მსხვერპლის დაცვა

1. საერთაშორისო სტანდარტები

ბავშვები მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები არიან, და მათ შორის გოგოებს განსაკუთრებული მოწყვლადობა ახასიათებთ და, შესაძლოა, დისკრიმინაციის მსხვერპლები გახდნენ სამართლებრივი სისტემის ნებისმიერ სტადიაზე.[125] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სპეციალური სერვისებისა და დაცვის ზომების გამოყენებისას, გაითვალისწინონ გენდერისა და ჩადენილი დანაშაულის, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, სპეციფიკა.[126] თუ მსხვერპლის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მსხვერპლი ბავშვია, მასზე უნდა გავრცელდეს ბავშვებისთვის გათვალისწინებული დაცვისა და დახმარების ზომები ასაკის დადგენამდე.[127]

სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ეფექტიანი სოციალური პროგრამები და მულტიდისციპლინური სტრუქტურები, რათა მსხვერპლები, მათი ახლო ნათესავები და მათ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირები, უზრუნველყოფილები იყვნენ სათანადო დახმარებით.[128] სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის მსხვერპლ ბავშვს უნდა მიეწოდებოდეს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დახმარება, რაც ითვალისწინებს ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის სერვისებს. ამ სერვისებთან მიმართებით, გასათვალისწინებელია ბავშვის შეხედულებები და საჭიროებები.[129] სასამართლო პროცესის შემდეგ ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის და შესაბამისი სოციალური და თერაპიული კურსების უზრუნველყოფა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის.[130]

ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის შეტყობინების ვალდებულება, როგორც მინიმუმ, უნდა ჰქონდეთ იმ პროფესიონალებს, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ. ამ პროფესიონალებისთვის უნდა არსებობდეს დაცვის გარანტიები.[131] კონფიდენციალობის დაცვის წესებმა, რომლებიც არსებობს გარკვეულ პროფესიონალებთან მიმართებით, არ უნდა შეაფერხოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის თაობაზე სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულების შესრულება.[132]

[125] United Nations Economic and Social Council, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Resolution 2005/20, 2005, § 7(c); CEDAW, General Recommendation No. 33, § 24.

[126] United Nations Economic and Social Council, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Resolution 2005/20, 2005, §17.

[127] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 11.2.

[128] იქვე, მუხლი 11.1.

[129] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13 (2011): ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან, 18.04.2011, CRC/C/GC/13, § 52. ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 14.

[130] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010, §75-83.

[131] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13 (2011): ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან, 18.04.2011, CRC/C/GC/13, §49.

[132] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 12.

თუ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ან ექსპლოატაციის სავარაუდო ჩამდენები არიან მშობლები ან ის პირები, რომლებსაც ევალებოდათ ბავშვზე ზრუნვა, ამ პირებს უნდა ჩამოაშორონ ბავშვები. ჩამოშორების პირობები და ხანგრძლივობაც უნდა განისაზღვროს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.[133]

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კოორდინაცია განათლების, ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს შორის და აღჭურვოს ისინი სათანადო ცოდნითა და რესურსებით. სახელმწიფომ ასევე უნდა შეუწყოს ხელი კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას და შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვების მექანიზმები.[134]

2. საქართველოს კანონმდებლობა

ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან მიმართებით, საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა გარანტიას ითვალისწინებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (შემდგომში: კოდექსი) თანახმად, მათი მიზანია „არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება." (მუხლი 1.2).

კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი და ყველა საპროცესო მოქმედება მხოლოდ სპეციალიზებულმა პირებმა უნდა აწარმოონ (მუხლი 16.1). დაზარალებულ ბავშვს უფლება აქვს მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება, ხოლო სქესობრივი დანაშაულების როგორც დაზარალებულებს, ისე მოწმეებს, აქვთ უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლება საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე (მუხლი 15.1).

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვის გარანტიებს ადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსიც. კერძოდ, 43-ე მუხლი განსაზღვრავს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მოწმე არასრულწლოვნების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, ხოლო 62-ე მუხლი სახელმწიფოს უწესებს ვალდებულებას, შექმნას ძალადობის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მოწმე ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის პროგრამები. ამავე მუხლით არის დარეგულირებული ზიანის ანაზღაურების, ბავშვის მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის და არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის შესაბამისი სპეციალიზაციის ქონის ვალდებულებას.

I. კანონიერი წარმომადგენელი

საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება (მუხლი 23.1). საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი

[133] იქვე, მუხლი 14.
[134] იქვე, მუხლი 10.

უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს (მუხლი 23.3). საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის გამოკითხვას/დაკითხვას არ დაასწროს არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის ის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც იმავე საქმეში გამოსაკითხ პირად/მოწმედ მონაწილეობს (მუხლი 23.8).

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებითაც, არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე, მისთვის/მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა და გადაცემა (მუხლი 50.2).

II. ფსიქოლოგის როლი

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლის, ხოლო გამოძიების სტადიაზე – ბრალდების მხარის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაც. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას (მუხლი 23.1 და მუხლი 29.2[2]).

III. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლი

პროკურორს შეუძლია საქმეში ჩართოს **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი** არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, რაზეც უარის თქმის უფლება აქვთ მოწმეს/დაზარალებულს და მის წარმომადგენელს (მუხლი 23.4, 23.5 და 23.6). მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მოვალეობაში შედის არასრულწლოვნისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება სისხლის სამართლის პროცესის თაობაზე, მისი უფლებების განმარტება და სათანადო სერვისების (იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო) შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება მათ მიღებაში, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე, ასევე, სასამართლო დაკითხვაზე დასწრება არასრულწლოვნის ემოციური მხარდაჭერის მიზნით (მუხლი 23.7). კოორდინატორი, არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ასევე ესწრება დახურულ სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს (მუხლი 29.1[1]), ასევე, საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული მონაწილებს (მუხლი 29.2.[1]).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, კოლეგიის/პალატის შემადგენლობაში უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე, როდესაც საქმეში დაზარალებული არასრულწლოვანია (მუხლი 17.3).

IV. ბავშვის მიმართ სექსუალური ექსპლოატაციის გამოვლენა და რეფერირების პროცედურა

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მიზნად ისახავს ოჯახში და მის გარეთ ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვის დაცვის ხელშეწყობას რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით და განსაზღვრავს შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს შორის კოორდინირებულად მუშაობის წესსა და ფუნქციებს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მიზნით (მუხლი 1).

კერძოდ, ბავშვის რეფერირების სისტემა მოიცავს ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას; ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასებას; გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას; დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/ მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას; ე) ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას (მუხლი 4).

რეფერირების პროცესში 10-ზე მეტი სხვადასხვა ორგანოა ჩართული და მათ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს დადგენილება დეტალურად განსაზღვრავს. დადგენილების თანახმად, მათი ფუნქციების ფარგლებში, რეფერირების ფარგლებში შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დაწესებულებებს, საქართველოს პროკურატურას, სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრს, საბავშვო ბაღებს, სსიპ – მანდატურის სამსახურს, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებსა და თავშესაფრებს, სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს (მათ შორის, სოფლის ექიმებს), მუნიციპალიტეტების გამგეობას/მერიას (მუხლი 5). გაწერილია თითოეული ორგანოს როლი და ბავშვზე ძალადობის გამოვლენის მეთოდოლოგიის პრინციპები.

3. ცალკეული პროცედურული საკითხები გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე

3.1. საერთაშორისო სტანდარტი

ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის საქმეები უნდა გამოიძიონ პირებმა, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალიზაცია ან ტრენინგი ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.[135] გამოძიების პროცესში, როგორც აღინიშნა, უნდა მოხდეს ბავშვის ხელახალი

[135] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 34; გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13 (2011): ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან, 18.04.2011, CRC/C/GC/13, §51.

ტრავმირების თავიდან აცილება.[136] გამოძიების დროს, გამომძიებელმა და პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ბავშვი იშვიათად აცხადებს სექსუალური ძალადობის თაობაზე ფაქტის მოხდენისთანავე[137] და გამოძიება შესაბამისად დაგეგმონ.

ბავშვთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ მიზნით ადაპტირებულ შენობაში. იგი უნდა წარიმართოს სათანადოდ მომზადებული პროფესიონალებისა და, თუ ეს შესაძლებელია, ერთი და იმავე პირების მიერ.[138] ბავშვთან გასაუბრების და ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების სათანადოდ სპეციალიზებული, მსგავს საკითხებზე გადამზადებული სპეციალისტების მიერ ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე, გაეროს გაიდლაინები მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საკითხებზე.[139] არასრულწლოვანთან გასაუბრებათა რაოდენობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად შეზღუდული და მკაცრად განპირობებული სისხლის სამართლის პროცესის აუცილებლობით. ამ დროს ბავშვს შეიძლება თან ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი, ან მის მიერ დასახელებული სხვა სრულწლოვანი პირი.[140] ამასთანავე, აუცილებელია, ძალადობის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელების ყველა პროცედურის, ბავშვისა და მისი ოჯახისთვის არსებული დამხმარე, მხარდამჭერი და სარეაბილიტაციო სერვისების შესახებ.[141]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინები მიუთითებს, რომ პირები, რომლებიც გასაუბრებას ატარებენ ბავშვებთან, განსაკუთრებულ სენსიტიურობას უნდა იჩენდნენ და ითვალისწინებდნენ ბავშვის მოწყვლადობას. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან კონტაქტი ინტერვიუმდე შედგეს და მასთან კომუნიკაცია მისი განვითარების დონის მხედველობაში მიღებით წარიმართოს. ინტერვიუს წარმმართველი ბავშვს უნდა წარუდგეს როგორც პირი, ვისაც მისი დახმარება უნდა. ინტერვიუს დროს მან არ უნდა გამოიყენოს რთული წინადადებები და მნიშვნელოვანია, ბავშვმა მომხდარი ფაქტები თავისი ენით გადმოსცეს.[142] მინიმუმამდე უნდა შემცირდეს არასრულწლოვნის გამოკითხვის რაოდენობა, ბავშვი არ უნდა გამოიკითხოს სხვადასხვა პირის მიერ, გამოკითხვის პროცესს კი, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები უნდა აკვირდებოდნენ დისტანციურად, გამიჯნული ოთახიდან.[143] ბავშვთან ჩატარებული ყველა სახის გასაუბრება უნდა იწერებოდეს ვიდეოფირზე და სასამართლოზე ეს ვიდეოფირები უნდა მიიღებოდეს მტკიცებულებად.[144]

---

[136] იქვე.
[137] WHO, Guidelines for Medico-Legal Care for Victims of Sexual Violence (2003), p. 75.
[138] იხ. ასევე Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010.
[139] United Nations Economic and Social Council, Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, 2005.
[140] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 35.1.
[141] United Nations Economic and Social Council, Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, 2005.
[142] WHO, Guidelines for Medico-Legal Care for Victims of Sexual Violence (2003), p. 83.
[143] Barnahus Quality Standards, Guidance for Multidisciplinary and Interagency Response to Child Victims and Witnesses of Violence, 2017
[144] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 35.2.

ამასთანავე, ბავშვს უნდა ჰქონდეს უფასო იურიდიული დახმარების მიღების და საკუთარი სახელით წარმომადგენლობის უფლება. ბავშვთან მომუშავე ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებულნი ბავშვთა საკითხებზე და პროცესში წარმოადგენდნენ უშუალოდ ბავშვის მოსაზრებას, ასევე, აწოდებდნენ მას ყველა საჭირო ინფორმაციასა და განმარტებას. ბავშვის წარმომადგენელი არ უნდა იყოს მშობელი, როდესაც იგი დანაშაულის სავარაუდო ჩამდენია.[145]

3.2. საქართველოს კანონმდებლობა

სისხლის სამართალწარმოების პროცესში კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის დაკითხვისა და გამოკითხვის სპეციალურ წესებს. კერძოდ, კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (მუხლი 52.2). ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვაში მისი კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი მონაწილეებენ. რიგ საქმეებზე, მათ შორის სექსუალური ძალადობის, არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე გამოკითხვის/დაკითხვის დროს სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. ამ პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობა საპროცესო მოქმედების წარმმართველმა პირმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. არასრულწლოვნის დაკითხვის/გამოკითხვის დროს ფსიქოლოგის ფუნქციაა შეაფასოს არასრულწლოვნის საჭიროებები და გამოკითხვის/დაკითხვის დროს აღმოუჩინოს მას ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე ან მსხვერპლია, მისი გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) (მუხლი 52.3).

თუ არასრულწლოვანი 14 წელს მიუღწეველია, მის მიმართ განსხვავებული წესები მოქმედებს. კერძოდ, ამ შემთხვევაში, ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. ბავშვს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე (მუხლი 52.4).

თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით იყოს განპირობებული (მუხლი 52.5). ამასთანავე, არასრულწლოვანი არ შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე (მუხლი 52.6) და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ

[145] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010, §37-43.

4 საათში ერთხელ, აგრეთვე, საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით (მუხლი 52.7).

საპროცესო მოქმედებებს რაც შეეხება – არასრულწლოვანი დაზარალებულის შემთხვევაში, მათ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი სავალდებულოდ ესწრებიან (არასრულწლოვანი მოწმის შემთხვევაში, ადვოკატი სავალდებულო არ არის), ხოლო ფსიქოლოგის ჩართვა, რომელმაც უნდა შეაფასოს არასრულწლოვნის საჭიროებები და აღმოუჩინოს მას ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ხდება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვანი დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ასევე ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი (მუხლი 52.8 და 52.9).

კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება აეკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს. ამის თაობაზე გადაწყვეტილებას საქმის სასამართლოში განხილვისას იღებს მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი (მუხლი 52.10).

ამასთანავე, მოძალადე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა (მუხლი 52.11).

3.3. არსებული პრაქტიკა

რადგან პოლიციის განყოფილება ის ადგილია, სადაც მომხდარი ინციდენტის შემდეგ, პირველად ხვდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, გადამწყვეტი როლი აკისრია ამ სამსახურში არსებულ პრაქტიკას, კერძოდ, როგორია სისტემაში მოხვედრილი მსხვერპლი ბავშვის მომსახურების ტრაექტორია, რამდენადაა წინასწარ გაწერილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვის საჭიროებებზე მორგებული პროცედურები, ბავშვზე ორიენტირებული ფიზიკური გარემო, ხდება თუ არა მასთან გასაუბრება წინასწარი შემზადების, მისი ემოციური მდგომარეობის, მისი ასაკობრივი თავისებურებებისა და სხვა სახის მოწყვლადობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, უწევს თუ არა მას განცდილი ტრავმის შესახებ რამდენჯერმე მოყოლა, აქვს თუ არა გავლილი სპეციალიზაცია იმ პირს, ვინც უძღვება ბავშვის გამოკითხვას, ჰყავს თუ არა ბავშვს მისთვის საკმაოდ სტრესულ სიტუაციაში, მხარდამჭერი პირები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც სრულად უწევს მონიტორინგს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, განსაკუთრებული პროორიტეტულობით კი ბავშვთა მიმართ ჩადენილ სქესობრივი ხასიათის დანაშაულებს. დეპარტამენტის არსებობა მნიშვნელოვანი მექანიზმია არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მასთლმსაჯულების განხორციელების პროცესის არასრულწლოვნის ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომით წარმართვის კუთხით. ამ მხრივ, საგულისხმოა თბილისის პოლიციის დეპარტამენტში არასრულწლოვნების საქმეთა მთა-

ვარი სამმართველოს არსებობა, თუმცა საჭროა აღნიშნული რესურსის გაზრდა, მათ შორის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ასევე, რომ ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ 6 სტრუქტურულ ერთეულში არსებობს სპეციალურად არასრულწლოვანთა გამოსაკითხად მოწყობილი ოთახი,[146] სადაც გამოკითხული პროკურორებისა და გამომძიებლების ინფორმაციით, შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო ამ პროცესში მისი ემოციური უსაფრთხოების დასაცავად და ბავშვებთან უცხო პირების ინტეგრაციის მაქსიმალურად თავიდან ასარიდებლად. მსგავსი გარემო შექმნილია თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარ სამმართველოში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, ქ. ქუთაისის საქალაქო სამმართველოში, პანკისის პოლიციის განყოფილებაში, ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. შესაბამისად, დანარჩენ უწყებებში არსებული ფიზიკური გარემო ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქოლოგების მიერ გამოსაკითხი გარემოს, როგორც ბავშვებში დამატებითი სტრესის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, გამოყოფა.[147]

სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ზოგ შემთხვევაში სპეციალიზებული გამომძიებლის ჩართვა დაზარალებული არასრულწლოვნის საქმის წარმოებაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, მათი თქმით – „გვქონია შემთხვევები, როდესაც დაზარალებულ ბავშვს მოყვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სერტიფიცირებული გამომძიებელი, რომელიც საერთოდ არ არის ინფორმირებული, რა საქმესთან დაკავშირებით მოყვება ბავშვს და მხოლოდ იმიტომ არის ჩართული, რომ აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სერტიფიცირება. აღნიშნული გამომძიებელი ბავშვის მიყვანის შემდგომ, ფსიქოლოგისგან ცდილობს საქმის არსის გაგებას. საქმე სხვა გამომძიებელს მიყავს. ასეთი შემთხვევა არის ბევრი". ასევე, აღინიშნა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, გამომძიებლებმა არ იციან თავიანთი ფუნქცია ბავშვის NICHD პროტოკოლით გამოსაკითხად მიყვანისას. ფიქრობენ, რომ მხოლოდ ბავშვის მიყვანასა და წაყვანაში გამოიხატება მათი როლი და არ არიან ინფორმირებულები, რომ მონაწილეობა უნდა მიიღონ, დაესწრონ გამოკითხვას. სხვა პროფესიონალებთან კომუნიკაციის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ხშირად შეუძლებელია ბავშვთან წინასწარი გასაუბრება, მისი მომზადება. სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური გარემო.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან ნებისმიერი სახის საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების, მათ შორის, გამოკითხვის დაწყებამდე მას ენიშნება კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი,[148] რომელიც საქმის მასალების მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში, არის სოციალური მუშაკი. შედარებით მცირეა შემთხვევები, როცა საგამოძიებო მოქმედებებში ბავშვის ინტერესების დასაცავად უშუალოდ მისი მშობელი ან სანდო პირია ჩართული, რომელიც არასრულწლოვანთან ერთად მონაწილეობს ყველა სახის პროცედურაში. დაზარალებულად ცნობის შემდეგ არასრულ-

[146] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.
[147] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია №5002080021, თარიღი: 05/04/2021.
[148] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.

წლოვანს გამოეყოფა ადვოკატი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში (41 საქმიდან 27 შემთხვევაში) არის მდედრობითი სქესის და მონაწილეობს როგორც გამოკითხვის პროცესში, ისე სასამართლო სხდომაზე. თუმცა გამოკითხვის დაწყებამდე არასრულწლოვანთან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა, განპირობებულია მხოლოდ კონკრეტულ საქმეში არსებული საჭიროებით, რომელიც არ არის განსაზღვრული რაიმე სტანდარტით ან სახელმძღვანელო პრინციპით და საქმეზე არსებული გამომძიებელი ერთპიროვნულად აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას პროცესში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის შესახებ, რაც შეიცავს გარკვეულ რისკს იმისა, რომ მსხვერპლი ბავშვის ემოციური საჭიროებები ყურადღების მიღმა დარჩეს. ამას გარდა, არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტი და რაიმე მეთოდოლოგია, რომელიც გაზომავდა ემოციური მდგომარეობის გართულების რისკებს და გამოკითხვის პროცესში გამოიყენებდა ინდივიდუალურ მიდგომას. გამომძიებელი ან პროკურორი არასრულწლოვანთან ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით იღებს, რომელიც აწესრიგებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის საკითხს და ადგენს ფსიქოლოგის ვალდებულებას, შეაფასოს არასრულწლოვნის საჭიროებები და უზრუნველყოს მისი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა საპროცესო მოქმედებების დროს.[149] თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით[150], გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეების ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ ეს პრიორიტეტულად ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებით.

დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტები, მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს, მიუხედავად სისტემაში არსებული ბევრი ხარვეზისა, მიანიშნებენ დადებით ცვლილებებზეც და გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის როლის გაფართოებაზე –

> *„ეს ბოლო წლებია გამოსწორდა, უკეთესობისკენ წავიდა ეს პროცესები. როდესაც ხდება ბავშვის გამოკითხვა. გამოკითხვის პროცესში, წინა წლებში ბევრად ხარვეზებით მიმდინარეობდა. ისმებოდა კითხვები გამომძიებლებისგან, გამოკითხვის ბოლოს, „განიცადეთ თუ არა სიამოვნება?" მაგრამ ბოლო წლებს ხაზს ვუსვამ, ძალიან დაიხვეწა სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე ბავშვის გამოკითხვის პროცესი. ძალიან დიდი როლი დაგვაკისრეს ფსიქოლოგებს. ჩვენ გვაძლევენ არასრულწლოვანთან განცალკევების, ბავშვის მომზადების საშუალებას, რომ ბავშვმა ემოციურად უმტკივნეულოდ ისაუბროს და ცუდი განცდები არ ქონდეს, როდესაც ილაპარაკებს. ბოლო წლებში უფრო დავალაგეთ ეს ყველაფერი".*[151]

საქმის მასალებიდან გამოიკვეთა, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებზე არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესს უმეტეს შემთხვევაში ესწრებიან ფსიქოლოგები. ფსიქოლოგს იწვევენ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ან პოლიციის აკადემიიდან. თუმცა, როგორც სპეციალისტთა ინტერვიუებიდან ირკვევა, არის უცხო ფსიქოლოგების

[149] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 23;
[150] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.
[151] ერთ-ერთი რესპონდენტი ფსიქოლოგი.

მოწვევის შემთხვევებიც, და ამ დროს არ არსებობს მისი კომპეტენციის შეფასების რაიმე ბერკეტი – *„ვინაიდან ჩვენ შსს-ს სპეციალურ სამსახურს მივმართავთ და ისინი უზრუნველყოფენ, ჩვენ დამატებით არ ვითხოვთ მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. თუ უცხო პირია მოწვეული ფსიქოლოგი, არ დამეხმარა ან ხელი შემიშალა საგამოძიებო მოქმედებაში, შეიძლება უბრალოდ, კითხვა გამიჩნდეს მისი გამომგზავნისადმი“.*[152] ის ფაქტი, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის აკადემიაში არასაკმარისია კადრების რაოდენობა და ბავშვის გამოკითხვის პროცესს შეიძლება დაესწროს შემთხვევითი სპეციალისტი (ფსიქოლოგი), რომელსაც არ აქვს გავლილი სპეციალიზაცია მოწმე/დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის, დაკითხვა/გამოკითხვის სპეციფიკის შესახებ, სერიოზული ხარვეზია, რადგან ტრავმირებულ ბავშვებთან მუშაობას შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სჭირდება, რაც შეუძლებელია ჰქონდეს ნებისმიერ სპეციალისტს, რომელსაც აქვს ფსიქოლოგის დიპლომი. ამგვარი მიდგომა ბადებს ეჭვს, რომ, რიგ შემთხვევებში, ფსიქოლოგის პროცესში ჩართვა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ამ მიდგომიდან გამომდინარე, არ არის გათვალისწინებული ის ფაქტორი, რომ ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა ან გარყვნილი ქმედება სერიოზულ მატრავმირებელ გარემოებას წარმოადგენს და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებისას არასრულწლოვანთან ფსიქოლოგის ჩართულობა უნდა იყოს საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული ვალდებულება, რომელიც თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს ამ ტიპის ტრავმული გამოცდილების მქონე ყველა ბავშვს. ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული და არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო პრინციპი, თუ როგორი უნდა იყოს ფსიქოლოგის როლი ბავშვის გამოკითხვის პროცესში, რა არის მისი უფლება-მოვალეობები და კომპეტენციის საზღვრები, სავალდებულოდ არ მიიჩნევა, რომ მოწვეულ ფსიქოლოგს გავლილი ჰქონდეს სპეციალიზაცია, ისევე, როგორც პროცესის მონაწილე სხვა სპეციალისტებს, ყველა ეს გარემოება კი შეიცავს რისკს, რომ ფსიქოლოგის ჩართულობა იყოს დამოკიდებული კონკრეტული გამომძიებლის ნებაზე ან ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ამის დასტურია ერთ-ერთი სპეციალისტის მოსაზრებაც, რომელიც მან ინტერვიუს დროს გაგვიზიარა – *„გვქონია შემთხვევა, რომ საგამოძიებო მოქმედებაში ფსიქოლოგი დაგვისწრია სუფთა პროცესუალური, ფორმალური სახით. ის ბავშვი, რომლისგანაც ინფორმაცია მიმიღია, არ საჭიროებდა ფსიქოლოგის ჩართულობას და დახმარებას. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგს შეუთავსებია გამომძიებლის როლი“.*[153] გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა თუ სასამართლო ეტაპზე ფსიქოლოგის უფრო აქტიური ჩართულობის აუცილებლობაზე მიუთითებენ ასევე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქოლოგები და აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგი თითოეულ პროცესში უნდა იყოს მიმართულების მიმცემი, რათა პროცესი ბავშვის ინტერესების სრული დაცვით წარიმართოს.[154]

სპეციალისტებთან კომუნიკაციისას ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანს გამოკითხვაზე ახლდა სოციალური მუშაკი, რომელმაც არ იცოდა საქმის მოცემულობა და გამომძიებელი, რომელიც არასრულწლოვანს მხოლოდ იმიტომ ახ-

[152] ერთ-ერთი რესპონდენტი გამომძიებელი.
[153] ერთ-ერთი რესპოდენტი გამომძიებელი.
[154] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია N5002080021, თარიღი: 05/04/2021.

ლდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე გადამზადება ჰქონდა გავლილი, თუმცა სხვა პირი იყო საქმის გამომძიებელი. შესაბამისად, ფსიქოლოგთან ვერ მოხერხდა ეფექტიანი კომუნიკაცია და არასრულწლოვნის გამოკითხვამდე საქმის შესახებ მისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

ინტერვიუების დროს, მოსამართლეთა, ადვოკატთა, პროკურორთა დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობა, თუნდაც კითხვების ფორმულირების კუთხით, ნაკლებად მიმდინარეობს. გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის მთავარი მიზანია, არასრულწლოვანს აღმოუჩინოს ემოციური მხარდაჭერა, თუმცა არ არის გაწერილი, კონკრეტულად რას შეიძლება მოიცავდეს ემოციური მხარდაჭერა და უშუალოდ რაში გამოიხატება გამოკითხვაში მონაწილე ფსიქოლოგის როლი. გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი პირველად სწორედ გამოკითხვაზე ხვდებოდნენ არასრულწლოვანს, რაც ხელს უშლის ბავშვს, ისინი საკუთარი ინტერესების დამცველად აღიქვას.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლიდან ამოქმედებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხოლო 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სექსუალური ძალადობის საქმეებზე არასრულწლოვანთა გამოკითხვის სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინსტრუქცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ ეტაპზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს სექსუალური ძალადობის საქმეებზე არასრულწლოვანთა გამოკითხვის შესაბამის პროტოკოლზე მუშაობა, რომლის შემუშავების შემდეგაც, ის პრაქტიკაში დაინერგება.[155]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვნის გამოკითხვას უძღვება სპეციალიზებული გამომძიებელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვნის სქესის გამომძიებელი.[156] თუმცა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე გაწერილი მიდგომა და არც ის, თუ ვინ და რა გარემოებების საფუძველზე განსაზღვრავს ამგვარ საჭიროებას. ინტერვიუს დროს, ფსიქოლოგები, გამომძიებლები და პროკურორები, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების გამოკითხვის პროცესს, აღნიშნავდნენ, რომ თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და ბავშვის საჭიროებების მიხედვით განისაზღვროს, თუ რომელი სქესის უნდა იყოს მასთან მომუშავე პროფესიონალი. მათი განცხადებით, შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ გამომძიებლის ან რომელიმე სპეციალისტის საპირისპირო სქესი ბავშვისთვის აუცილებლად დამაბრკოლებელი გარემოება იქნება.

ამ მხრივ არაერთგვაროვანი პრაქტიკაა შესწავლილი საქმის მასალების მიხედვითაც და რაიმე ტენდენციის გამოყოფა შეუძლებელია. თუმცა, ერთ-ერთ საქმეში ფსიქოლოგმა სასამართლო სხდომაზე პირდაპირ განმარტა, რომ არასრულწლოვანს გაუჭირდა ძალადობის ფაქტზე საუბარი მამრობითი სქესის გამომძიებელთან.[157]

[155] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 0 20 01462848, თარიღი: 30/06/2020.
[156] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.
[157] მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/062-18;

პროკურორები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ცდილობენ, შეზღუდონ არასრულწლოვნის გამოკითხვების რაოდენობა. კერძოდ, დეტალურად გეგმავენ პირველი გამოკითხვის პროცესს და ცდილობენ ყველა საჭირო ინფორმაცია პირველივე გამოკითხვისას მიიღონ. თუმცა, საქმის მასალები ცხადყოფს, რომ დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვა, როგორც წესი, ორჯერ ხდება. ამასთანავე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნის მეორე გამოკითხვას სხვა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ესწრებოდა. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნის მეორე გამოკითხვას ან სხვა საგამოძიებო მოქმედებას წარმართავს სხვა გამომძიებელი. ფსიქოლოგებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხშირად არასრულწლოვანი რამდენჯერმე გამოიკითხება გამომძიებლის მიერ და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება NICHD პროტოკოლით[158] მისი გამოკითხვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა ჩართვა, რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, პრიორიტეტულად ხორციელდება იმ დანაშაულთა საქმეებზე, სადაც დაზარალებული/მოწმე ობიექტურად საჭიროებს ემოციურ მხარდაჭერას.[159] კერძოდ, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,[160] მათივე უწყების მიერ არის შემუშავებული და განსაზღვრავს კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართვას ოჯახური დანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისა და ისეთ საქმეებში, რომლებშიც დაზარალებული ან/და მოწმე არასრულწლოვანი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. განსაკუთრებით პრიორიტეტულია სისხლის სამართლის ის საქმეები, სადაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვი ფიგურირებს. დოკუმენტი ასევე გაწერს მოწმე/დაზარალებულის სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად მომზადების რეკომენდაციებს. მიუხედავად ამისა, საქმის მასალების მიხედვით, შესწავლილი საქმეებიდან სულ 2 საქმეში იყო ჩართული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

სპეციალისტთა ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ მოწმე/დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვას ძირითადად პროკურორი განსაზღვრავს. საინტერესოა მოსაზრება, რომელიც ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაგვიზიარა – „საქმეში კოორდინატორის ჩართვა ხდება პროკურორის ინიციატივით, თუმცა როდესაც პროკურორის მიზანია საქმის გახსნა და შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, რამდენად გგონიათ, რომ კოორდინატორი მისი თანამშრომლის და გარკვეულწილად მასზე მაღალი პოზიციის მქონე პირის მოთხოვნის წინააღმდეგ წავიდეს ბავშვის ინტერესების დასაცავად. ამ პრაქტიკას მე ეფექტურად ვერ მივიჩნევ“.

ამასთანავე, ამ ეტაპზე, უშუალოდ არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დამყარების კუთხით, რაიმე სპეციალური პროტოკოლი არ არსებობს. საქმის მასალებში გამოკითხვის ოქმების მიხედვით იკვეთება, რომ გაუპატიურების საქმეებში, გამომძიებელი,

[158] ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სტრუქტურირებული ინსტრუმენტი.
[159] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/70869, თარიღი: 23/12/2020.
[160] იქვე.

დაზარალებულს, შესაძლოა, ეკითხებოდეს სქესობრივი ხასიათის შეღწევის პროცესის თანმხლები განცდების შესახებ, რომელთა დეტალური აღწერა, მსხვერპლისთვის, შესაძლოა, მატრავმირებელი იყოს და არც გამოძიებას აწვდიდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას. კერძოდ, გამოკითხვისას დაზარალებული მიუთითებს, რომ

> *„... მისი სასქესო ორგანო ჩემს სასქესო ორგანოში მოათავსა, რა დროსაც ვიგრძენი ტკივილი და გავხდი ძალიან ცუდად. ... და აგრძელებდა სექსუალურ აქტს რამდენიმე წუთის განმავლობაში. მე აღნიშნული აქტის დროს ვგრძნობდი ძლიერ ტკივილს და ვიყავი ძალიან ცუდად ... დამიწყო გაუპატიურება, რა დროსაც მე გადავაგდე ლოგინიდან, მაგრამ ის მაინც ამოვიდა და ძალის გამოყენებით გამაუპატიურა. ძალით გამხადა ტანსაცმელი და სექსუალური აქტი განახორციელა. რა დროსაც განვიცდიდი ძლიერ ტკივილს".* [161]
>
> *„თავისი სასქესო ორგანო მოათავსა ჩემს უკანალში, რა დროსაც განვიცდიდი ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. ... მინდა მოგახსენოთ, ბრალდებულის მიერ ჩემთან მიმდინარე იძულებითი სექსუალური აქტის დროს მე ვტიროდი".* [162]
>
> *„მე ხელი ჩამიყო სასქესო ორგანოზე და დამიწყო ფერება, თუმცა მე არ მსიამოვნებდა, რადგან უხეშად მექცეოდა".* [163]

3.4. საგამოძიებო ექსპერიმენტი

საგამოძიებო ექსპერიმენტი[164] თავისი არსით ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის ძალიან დიდ რისკს შეიცავს, შესაბამისად, ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, მსგავსი მოქმედებები არ ჩატარდეს, თუ იგი საქმისთვის უკიდურესად აუცილებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნის სათანადოდ მომზადება და საგამოძიებო ექსპერიმენტისას მისი ემოციური მხარდაჭერა. როგორც საქმის მასალების საფუძველზე, ისე გამომძიებლებთან და პროკურორებთან კომუნიკაციის შედეგად ირკვევა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობამდე, არასრულწლოვანს მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების თაობაზე. ამ პროცესში ფსიქოლოგის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამომძიებელი საჭიროების შესაბამისად. თუმცა, პირდაპირ არ არის გაწერილი, რა გარემოებების საფუძველზე შეიძლება დადგეს ამგვარი საჭიროება ან რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ეს საჭიროება. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებამდე მსხვერლს უკითხავენ მის ჩვენებას, ათვალიერებინებენ ადგილს, არასრულწლოვანი დგება კონკრეტულ ადგილას და ხელის გაშვერით მიუთითებს იმ ადგილებზე, სადაც მის მიმართ განორციელდა ძალადობრივი ფაქტი/ფაქტები, ხოლო სამართალდამცავი უწყების მეირ ხდება არასრულწლოვანის ამ მდგომაროებაში დაფოტოსურათება. აღნიშნული წარმოშობს მეორეული ვიქტიმისაციის რისკს და არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

---

[161] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/4039-18.
[162] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/4714-18.
[163] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/1880-19.
[164] გამოკვლეული 51 საქმიდან 11 შემთხვევაში არასრულწლოვანმა მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში.

საგამოძიებო ექსპერიმენტისას არასრულწლოვანს ყოველთვის ახლავს თან საპროცესო წარმომადგენელი ან კანონიერი წარმომადგენელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს საქმე, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვნის დედა მიუთითებდა მამის მხრიდან ბავშვზე ძალადობაზე. არასრულწლოვანი განყოფილებაში მამამ მიიყვანა, ბავშვმა უარყო მამის მხრიდან ძალადობა და საგამოძიებო ექსპერიმენტისას, რომელსაც ასევე ესწრებოდა მისი მამა, მცდარ ფაქტებზე მიუთითა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა: *„აღნიშნული იმით აიხსნება, რომ იგი იმყოფებოდა მამის გავლენის ქვეშ და განიცდიდა შიშს მისი მხრიდან გამოძიებისათვის სიმართლის თქმის შემთხვევაში. მამა სულ თან ახლდა დაზარალებულს, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას".*[165]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებით რაიმე სახის ემოციური კრიზისის დადგომის შემთხვევაში, ერთვებიან კოორდინატორი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი და ბავშვს აწვდიან ინფორმაციას სახელმწიფოში არსებული სერვისების შესახებ.[166] თუმცა, არ არსებობს სპეციალური პროტოკოლი და მეთოდოლოგია ემოციური კრიზისის დადგომისას დაუყოვნებელი მოქმედების შესახებ. ასევე არ არსებობს რაიმე გაწერილი მიდგომა არასრულწლოვნისთვის ემოციური კრიზისის თავიდან არიდების ან მართვის შესახებ.

3.5. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა

სამედიცინო ექსპერტიზის დაზარალებული ბავშვისთვის ისედაც მძიმე პროცესს[167] კიდევ უფრო ართულებს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კადრების სიმცირე და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობა. კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ინფორმაციით,[168] სქესობრივი ხასიათის ქმედების შემთხვევაში, საექსპერტო კვლევას ატარებს არანაკლებ 2 დაზარალებულის სქესის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რისი რესურსიც მხოლოდ ცენტრალურ ოფისს აქვს. შესაბამისად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს რეგიონებიდან უხდებათ რამდენიმესაათიანი მგზავრობა სამართალდამცავების მანქანით, რათა ჩაუტარდეთ სამედიცინო ექსპერტიზა. ერთ-ერთი ადვოკატის განცხადებით, ის ფაქტი, რომ ბიურო არასამუშაო დღეებში არ მუშაობს, კიდევ უფრო აფერხებს ექსპერტიზის ჩატარების დროულობას, რაც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვნებზე და გარდა ამისა, განადგურების საფრთხის ქვეშ აყენებს ექსპერტიზის შედეგად მისაღებ მტკიცებულებებს. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული კორესპონდენციით[169]

[165] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/63-19.

[166] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.

[167] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ფსიქოლოგებიც მიუთითებენ, რომ სამედიცინო ექსპერტიზა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პროცესია. კორესპონდენცია: №5002080021, თარიღი: 05/04/2021.

[168] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია №5003601620, 02/07/2020.

[169] იქვე.

გვეცნობა, რომ ამ ეტაპზე, ბიუროში სულ დასაქმებულია 32 სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რომელთაგან მხოლოდ 7 არის მდედრობითი სქესის. დღეის მდგომარეობით, თბილისში მუშაობს 12 ექსპერტი, რომელთაგან 6 არის მდედრობითი სქესის, კახეთის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში სულ 3 პირია, ქვემო ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში – 4 პირი, შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში – 3 პირი, სამცხე-ჯავახეთის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში – 1 პირი. დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში დღეის მდგომარეობით სულ 4 პირია დასაქმებული და აქედან მხოლოდ ერთია მდედრობითი სქესის. აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში კი დასაქმებულია 5 პირი, რომელთაგან ყველა მამრობითი სქესისაა. სექსუალური ძალადობის საქმეებზე სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩაატაროს დაზარალებულის სქესის არანაკლებ ორმა ექსპერტმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსპერტიზის ბიუროს თბილისის ერთეულში მხოლოდ 6 მდედრობითი სქესის სამედიცინო ექსპერტია, ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის მაღალ რისკს შეიცავს. აქედან გამომდინარე, სექსუალური ძალადობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების ინფორმაციის თანახმად, მსგავსი ექსპერტიზა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში ინიშნება, როდესაც დაზარალებული ფიზიკურ ძალადობაზე ან სქესობრივი ხასიათის შეღწევაზე მიუთითებს. თუმცა იკვეთება შემთხვევები, როდესაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, მათ შორის, საქალწულე აპკის მდგომარეობის დასადგენად, ტარდება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ბავშვი მის მიმართ სქესობრივი ხასიათის შეღწევაზე ან ფიზიკურ ძალადობაზე არ მიუთითებს.[170]

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექპერტიზის ეროვნული ბიუროდან მოწოდებული ინფორმაციით,[171] არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას არ არსებობს რაიმე სპეციალური მოთხოვნა/დაშვება არასრულწლოვანი პირის სასამართლო-სამედიცინო მიმართულებით კვლევასთან დაკავშირებით და გამოიყენება ის წესები, რაც დადგენილია სასამართლო მედიცინის თეორიაში. სამედიცინო ექსპერტიზას ესწრება საპროცესო წარმომადგენელი და ადვოკატი (არა ყველა შემთხვევაში).

3.6. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა საქალწულე აპკის მდგომარეობის დასადგენად

არ არსებობს ფაქტობრივი, სამეცნიერო ან სამედიცინო საფუძველი, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნებოდა საქალწულე აპკის ზომის, მორფოლოგიის ან მთლიანობის, ასევე, იმის ზუსტად დადგენა, განხორციელდა თუ არა ქალის სხეულში ვაგინა-

[170] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-229-2019; ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-1044/18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-492/19; ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/236-19; გორის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/94-20; გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-3668-18.
[171] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია №5003601620, 02/07/2020.

ლური შეღწევა.[172] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ე.წ. „ქალწულობის ტესტებს" აფასებს როგორც „დამამცირებელს, დისკრიმინაციულს და სამეცნიერო საფუძველს მოკლებულს".[173]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით ან სასამართლოს დადგენილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტორივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა.[174]

საქალწულე აპკის მდგომარეობის დასადგენად დანიშნულმა სამედიცინო ექსპერტიზამ, შესაძლოა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაცია გამოიწვიოს და, ამასთანავე, არ მიაწოდოს გამოძიებას არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, ჩადენილია თუ არა გაუპატიურება. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმის მასალები ცხადყოფს, რომ ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც არასრულწლოვნები მათ მიმართ მხოლოდ გარყვნილი ქმედების ჩადენაზე მიუთითებენ, გამომძიებელი იღებს დადგენილებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, სადაც ექსპერტისთვის დასმული კითხვები შეეხება საქალწულე აპკის მთლიანობას და უკანა ტანში დაზიანებების არსებობას.[175] ამასთანავე, ამ საქმეებში, საქალწულე აპკის შესახებ ექსპერტისთვის დასმული კითხვა ერთადერთია, რომელზე დაყრდნობითაც გამომძიებელი/პროკურორი მიზნად ისახავს დაადგინოს, შეაღწიეს თუ არა მსხვერპლის სხეულში ვაგინალური გზით. როგორც აღინიშნა, არსებული პრაქტიკა დისკრიმინაციულია და სამეცნიერო საფუძვლებს მოკლებული.

ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მხრიდან გარყვნილ ქმედებაზე საუბრობდა, კერძოდ, სასქესო ორგანოზე შეხებაზე და მის სასქესო ორგანოზე შეხების იძულებაზე. გამომძიებელმა, თავდაპირველად, არასრულწლოვნის სხეულზე გარეგნულად ფიზიკური დაზიანებების არსებობის დასადგენად, სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა. მას შემდეგ, რაც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში მიეთითა, რომ ბავშვს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნებოდა, გამომძიებელმა იმავე დღეს მეორე დადგენილება მიიღო კიდევ ერთი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ამჯერად ექსპერტს დაზარალებული არასრულწლოვნის საქალწულე აპკის მთლიანობა

[172] იხ. ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, კვლევებზე დაყრდნობით ცვლილება შესაძლებელია, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://s3.amazonaws.com/PHR_other/virginity-and-hymen-testing.pdf [ბოლოს ნანახია: 02/04/2021].

[173] იხ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ჯანმრთელობის დაცვა, კლინიკური სახელმძღვანელო, 2014, გვ. 46, ხელმისაწვდომია: https://www.who.int/reproductivehealth/publications/violence/vaw-clinical-handbook/en/ [ბოლოს ნანახია: 02/04/2021].
დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ჯგუფი (2015), „განცხადება ქალწულობის ტესტირების შესახებ", სასამართლო ექსპერტიზის მედიცინის ჟურნალი, 33, 121-124; -- შესამოწმებელია; CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №35, პარ. 29 (c) (ii), იხ. ბმულზე: https://undocs.org/CEDAW/C/GC/35,

[174] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 144.

[175] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-229-2019; ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-1044/18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-492/19; ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/236-19; გორის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/94-20; გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-3668-18.

და უკანა ტანში დაზიანებების არსებობა და მათი ხანდაზმულობა უნდა დაედგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორი დადგენილების გამოცემას შორის არსებულ დროის ინტერვალში საქმის მასალებიდან არ გამოკვეთილა ახალი მტკიცებულება, რომელიც არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური შეღწევის სავარაუდო ფაქტზე მიუთითებდა.[176]

აღსანიშნავია ასევე საქმე, სადაც არასრულწლოვანს ბრალდებული ძალადობის მუქარით აიძულებდა სხეულზე ფოტოების გადაღებას და მისთვის გაგზავნას. გამომძიებელმა ამ საქმეშიც გამოსცა დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომლისთვისაც დასმული კითხვა შეეხებოდა არასრულწლოვნის საქალწულე აპკის მთლიანობას და უკანა ტანში დაზიანების არსებობას.[177]

საგულისხმოა ასევე საქმე, სადაც 15 წლის არასრულწლოვანი მიუთითებდა მის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებაზე, ზუსტად აღწერდა მომხდარ ფაქტს, რომელიც არ მოიცავდა სექსუალური ხასიათის შეღწევას. მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა მიიღო დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რომელსაც უნდა დაედგინა არასრულწლოვნის სხეულზე და უკანა ტანში დაზიანებების არსებობა და საქალწულე აპკის მთლიანობა.[178]

ერთ-ერთ საქმეში 10 წლის ბავშვი ხანდაზმული მამაკაცის მხრიდან მის მიმართ მხოლოდ გარყვნილ ფაქტზე მიუთითებდა. არასრულწლოვანი გამოიკითხა ფსიქოლოგის თანდასწრებით, რის შემდეგაც გამომძიებელმა მაინც მიიჩნია საჭიროდ ბავშვისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა საქალწულე აპკის მთლიანობის და უკანა ტანში დაზიანებების არსებობის შესამოწმებლად.[179]

მსგავსი დადგენილება გამომძიებელმა მიიღო 5 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილი ქმედების ფაქტზე, როდესაც არასრულწლოვანს ბრალდებული სასქესო ორგანოზე შეხებას აიძულებდა. დადგენილებაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დასმული კითხვები ამ შემთხვევაშიც საქალწულე აპკის მთლიანობითა და უკანა ტანში დაზიანებებით შემოიფარგლებოდა.[180]

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც სსკ-ს 138-ე მუხლით სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებად იყო დაკვალიფიცირებული, 13 წლის არასრულწლოვანი მიუთითებდა ორ ფაქტზე – ბრალდებულის მხრიდან ძალადობის მუქარის და ძალის გამოყენებით ზურგიდან ხელის მოხვევის, მოფერების, სასქესო ორგანოზე შეხების შესახებ. გამომძიებელმა ამ საქმეშიც მიიღო დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, არასრულწლოვნის საქალწულე აპკის მთლიანობის და უკანა ტანში დაზიანებების არსებობის შესამოწმებლად.[181]

საგულისხმოა ასევე, გარყვნილი ქმედების ჩადენის შესახებ საქმე, რომელიც დაკვალიფიცირდა სსკ-ს 138-ე მუხლით და NICHD პროტოკოლის მიხედვით, გამოკითხული არასრულწლოვანი მიუთითებდა, რომ ბრალდებული შეეხო შარვლის „ზემოდან". მიუხედა-

[176] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-229-2019.
[177] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-492/19.
[178] ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/236-19.
[179] გორის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/94-20.
[180] გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/444-19.
[181] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-3668-18.

ვად ამისა, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე მაინც დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაავ უკანა ტანში დაზიანებების არსებობის დასადგენად.[182]

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულ სპეციალისტთა ნაწილი საქალწულე აპკის მდგომარეობას, მათ შორის, მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევს. თუმცა, მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებელთა ნაწილი მიუთითებს, რომ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, საქალწულე აპკის მდგომარეობა ვერ იქნება გადამწყვეტი შემთხვევის დაკვალიფიცირებისას. მათ შორის, სექსუალური ხასიათის შეღწევის დასადგენად, არ არის აუცილებელი, საქალწულე აპკის მთლიანობა იყოს დარღვეული ან დაზიანებული. ამის თაობაზე იმსჯელა სასამართლომ 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების საქმეზე, სადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ იყო, თუმცა ექსპერტთა განცხადებით, სექსუალური ხასიათის შეღწევა არ იყო გამორიცხული და საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.[183]

საინტერესოა შემთხვევა გარყვნილ ქმედებაზე 16 წელს მიუღწეველ პირთან.[184] ქმედება არასრულწლოვნის მამამ ისე ჩაიდინა, რომ არ დაზიანებულა საქალწულე აპკი, არც სხეულზე შეინიშნებოდა დაზიანების რაიმე კვალი. თუმცა, მსხვერპლი ბავშვისათვის სამედიცინო ექსპერტიზის დასანიშნად, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა მის სატელეფონო ზარს პოლიციაში, როდესაც მათ თქვა: „აღარ ვარ ქალიშვილი". მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის დროს ის თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და დამარწმუნებლად ყვებოდა გარყვნილი ქმედების ამსახველ ფაქტებზე, და საქმეში ჩართული ფსიქოლოგიც, ბავშვის ემოციური მდგომარეობისა და მისი ნარატივის მიხედვით მიიჩნევდა, რომ ბავშვმა, მის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებით განიცადა ტრავმული სტრესი, გადამწყვეტი აღმოჩნდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ საქალწულე აპკის მთლიანობა არ იყო დარღვეული – სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვი იტყუებოდა და არც გარყვნილი ქმედების გარემოებები მიიჩნია სარწმუნოდ.

თუმცა, ჩვენს მიერ კვლევის ფარგლებში გამოკითხული მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სპეციალისტები, კითხვაზე – რა მნიშვნელობას ანიჭებთ საქალწულე აპკის მდგომარეობას სექსუალური ძალადობის დასადგენად? ამგვარად პასუხობენ – *„არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება დაზიანებული არც იყოს და შეღწევა განხორციელდეს, ან ელასტიური იყოს. გაუპატიურებად კვალიფიკაციის კუთხით მნიშვნელობა არ აქვს".*

3.7. სასამართლო ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[185] სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-ფსიქოლოგიური და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესს განსაზღვრავს „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესი", რომელიც

[182] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/2215-19.
[183] ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/7-2020.
[184] მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი №1/062-18.
[185] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენციები: №5003601620, თარიღი: 02/07/2020; №5007417220, თარიღი: 14/12/2020.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის №124/ნ ბრძანებით.

ბიუროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[186] სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების შეფასება ხდება იმავე ფორმითა და პროცედურებით, რომლითაც სხვა ნებისმიერი გამოსაკვლევი პირის და რაიმე სპეციფიური მიდგომა, რომელიც მხოლოდ ბავშვებზე იქნებოდა მორგებული, არ არსებობს. ეს ფაქტობრივად მიანიშნებს, რომ ბიურო არ ცნობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს და ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ განხილულ საერთაშორისო სტანდარტებთანაც, რომელიც სავალდებულოდ მიიჩნევს, ყველა შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ბავშვებს, იხელმძღვანელონ მათზე ორიენტირებული მიდგომით, განსაკუთრებით, თუ არსებობს მატრავმირებელი გამოცდილება და ბავშვი მოწმის ან დაზარალებულის როლში გვევლინება.

ბიუროში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებში ფსიქოემოციური ზიანი და ტრავმა არსებული მასალების შესწავლის, გამოსაკვლევ პირთან კლინიკური საუბრის და ჩატარებული ფსიქოლოგიური ტესტებისა და კითხვარების შედეგების შეჯამებით ფასდება. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი, ბიუროში, ექიმ-თერაპევტთან და ექიმ ნევროლოგთან გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას სომატურ-ნევროლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად, ხდება გასაუბრება ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან, იმის მიხედვით, თუ რა სახის ექსპერტიზა ინიშნება. ფსიქოლოგიური გამოკვლევის დროს არასრულწლოვნის ასაკისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამოიყენებოდეს სხვადასხვა ტესტი და კითხვარი.[187] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ფსიქოლოგები არასრულწლოვნის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებისას განიხილავენ შეფასების მიზანს, სხვადასხვა ტესტის ფაქტორს, ტესტის ჩატარების შესაძლებლობას, შესაფასებელი პირის მახასიათებლებს, სიტუაციურ, პირად, კულტურულ, ენობრივ თავისებურებებს, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს შეფასების პროცესსა და შედეგებზე ან შეამციროს ინტერპრეტაციის შესაძლებლობა/სიზუსტე.[188]

მოწოდებული ინფორმაციით, ფსიქიატრთან კლინიკური საუბარი გულისხმობს, როგორც წარსული ანამნეზის შეგროვებას (თავად გამოსაკვლევი პირის და თანმხლები პირებისგან), ასევე, მისი ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას. კომუნიკაციის სტილი არის მაქსიმალურად დამზოგველი და ფრთხილი. რეტრავმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია, გამოკვლევის პროცესში შევიდეს ცვლილება, მაგალითად, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი ერთდროულად გაესაუბრონ არასრულწლოვანს.

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტები რიგითობის პრინციპით შეირჩევიან, თუმცა, გათვალისწინებულია ასევე, გამოსაკითხი პირის სქესი. მთლიანი კვლევის ხა-

[186] იქვე.
[187] იქვე.
[188] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია №5002080021, თარიღი: 05/04/2021.

ნგრძლივობა, უმეტესად, შეადგენს 1-1,5 საათს. პროცედურას აუცილებლად ესწრება არასრულწლოვნის საპროცესო/კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი. კვლევის პროცესში ემოციური მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში, ექსპერტებმა შესაძლებელია მიმართონ სპეციალურ მეთოდებს (საუბარი გახდეს კიდევ უფრო დამზოგავი ფორმის, შეიცვალოს სასაუბრო თემა, დაინიშნოს მცირე შესვენება).[189] ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ, რიგ შემთხვევებში, არასრულწლოვანს ექსპერტიზის ბიუროში მისვლისას უწევს ლოდინი, ვიდრე გამომძიებელი გამოკვლევის ფორმალურ საკითხებს მოაგვარებდეს.[190]

მცირეწლოვანი ბავშვების ექსპერტიზის თაობაზე, ბიუროდან გვეცნობა, რომ ათ წლამდე ასაკის ბავშვების სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და შეფასების პროცესში არსებითად არის გათვალისწინებული ბავშვების საუკეთესო ინტერესები და საჭიროებები. ეს ბევრ კითხვას ბადებს, რადგან მათივე ინფორმაციით, ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი სპეციალიზაციის ტრენინგები ბავშვთა საკითხებზე. ისინი მოწმე/დაზარალებული ბავშვების გამოკითხვისას არ იყენებენ ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD)[191] დაკითხვა/გამოკითხვის სტრუქტურირებულ პროტოკოლს, რომელიც შექმნილია მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე, რომლებიც მიმდინარეობდა როგორც პრაქტიკაში, ისე ლაბორატორიულ პირობებში, მეცნიერი ფსიქოლოგების და მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პრაქტიკოსი დეტექტივებისა და იურისტების აქტიური მონაწილეობით. ეს კიდევ უფრო შეამცირებდა არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკს და ხელს შეუწყობდა ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას. აქვე ჩნდება კითხვა, რამდენად არსებითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ან თანამედროვეა ბიუროს მიერ ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ძალადობის) გამოცდილების მქონე არასრულწლოვნებთან გამოყენებული საკვლევი მეთოდები – აზროვნების საკვლევი ტესტები: „საგანთა კლასიფიკაციის მეთოდი" და „მეოთხე ზედმეტია". ყურადღების საკვლევი ტესტები: ბურდონის ტესტი და შულტეს ცხრილი. მეხსიერების საკვლევი ტესტი: „ათი სიტყვა", ლუშერის პროექციული ტესტი.

საქმის მასალების თანახმად, არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური-ფსიქიატრიული ექსპერტიზისას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებისა, გამოიყენება შემდეგი მეთოდები: შიხანის თვითშეფასების განგაშის შკალა, ბეკის დეპრესიის საკვლევი შკალა, თავისუფალი ასოციაციის მეთოდი და კლინიკური საუბრის მეთოდი. ასევე იკვლევენ სოციალურ განწყობებს.

შესაბამისი ოთახების არარსებობის გამო, არასრულწლოვანთა გამოკვლევა მიმდინარეობს სპეციალისტების კაბინეტებში, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ არის მოწყობილი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

---

[189] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენციები: №5003601620, თარიღი: 02/07/2020; №5007417220, თარიღი: 14/12/2020.

[190] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია №5002080021, თარიღი: 05/04/2021.

[191] National Institute of Childhealth and Human Development (NICHD) protocol (La Rooy et al. 2015; Sternberg et al. 2001),

ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნების გაცნობისას გამოიკვეთა რამდენიმე საგულისხმო გარემოება:

შეკითხვები, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმართავს ბიუროს, ძირითადად, დაზარალებული პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენისკენაა მიმართული: „არასრულწლოვანი არის თუ არა დაავადებული ფსიქიკურად? დადებით შემთხვევაში, რა ფსიქიკური აშლილობა აღენიშნება მას?"[192] „აღენიშნება თუ არა არასრულწლოვანს ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ფსიქიკის დროებითი აშლილობა, ჭკუასუსტობა, ფსიქიკის სხვა ავადმყოფური მდგომარეობა?" „შეეძლო თუ არა არასრულწლოვანს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა? „გთხოვთ, განსაზღვროთ, რამდენად აღიქვამს რეალურ ფაქტებს?"[193]

ექსპერტიზის ბიუროსათვის დასმული შეკითხვების შინაარსი მიანიშნებს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, კერძოდ, შეკითხვის ავტორები ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მითითებით, ეჭვქვეშ აყენებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებისგან მიღებული ინფორმაციის სანდოობას, ამავე დროს, იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა – „ავადმყოფობა", ჭკუასუსტობა", „ფსიქიკის ავადმყოფური მდგომარეობა".

ზოგადად, მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შეფასების საჭიროებას საგამოძიებო სტრუქტურები მეტწილად იმის დასადგენად მოიაზრებენ, ტყუის თუ არა ბავშვი, რამდენად სარწმუნოა ბავშვის მონათხრობი და ა. შ. რაც ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შეფასების არასწორი გაგებაა და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია ექსპერტიზის ჩატარება მოწმის/მსხვერპლის სანდოობის დასადგენად.[194]

როგორც სამეცნიერო კვლევები აჩვენებს, სწორი გამოკითხვისა და კომუნიკაციის პირობებში, ძალიან პატარა ბავშვებსაც კი შეუძლიათ დალაგებული და სანდო ინფორმაციის მოპოვება, ამასთანავე, კვლევებით დასტურდება, რომ მსუბუქი და საშუალო გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს შეუძლიათ გაიხსენონ გამოძიებისათვის გამოსადეგი ინფორმაცია.[195] ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მენტალური ასაკი ოპტიმალური სახელმძღვანელო ორიენტირია. სპეციალისტმა, რომელიც წარმართავს დაკითხვის პროცესს, ზუსტად უნდა შეარჩიოს ბავშვთან სასაუბრო ენა, მისი ასაკის, ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. გაითვალისწინოს ბავშვის შესაძლებლობები და შეზღუდვები იმისათვის, რათა, ერთი მხრივ, მოიპოვოს ინფორმაცია მომხდარის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან აირიდოს მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი. ასევე, გაეროს გაიდლაინები მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საკითხებზე,[196] მიუთითებს, რომ ასაკი არ უნდა იყოს ბარიერი, რათა ბავშვმა სრული მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების პროცესში და ყველა ბავშვი უნდა იყოს სრულუფლებიანი მოწმე. ბავშვის ჩვენების ვალიდურობა

[192] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის რაიონული სამმართველოს მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს.
[193] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაბნის რაიონული სამმართველოს მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს.
[194] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 51.3.
[195] „დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა – გზამკვლევი, The Public Health Foundation of Georgia, 2017;
[196] Iving Child Victims and Witnesses of Crime, 2005.

და სანდოობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ მხოლოდ და მხოლოდ მის ასაკზე დაყრდნობით, მაშინ როდესაც ბავშვის ასაკი და განვითარების დონე იძლევა გასაგები და სანდო ჩვენების მიცემის შესაძლებლობას, კომუნიკაციისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით, ან მათ გარეშე.[197]

ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამენ კვლევაში ჩართული სპეციალისტები, რომლებიც იზიარებენ ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომებს დაზარალებული ბავშვის გამოკითხვისა და შეფასების პროცესში. ისინი მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგიური შეფასების გამოყენება იმის დასადგენად, ბავშვი იტყუება თუ არა – „ეთიკურ ნორმებს ცდება და ამ დროს ჩვენ მათ ვთავაზობთ, რომ შეგვიძლია შევაფასოთ ბავშვის განვითარება, აღქმა-დახსომება-გადმოცემის უნარები არა ის, ტყუილს ამბობს თუ მართალს. თუ ბავშვს ეს უნარები აქვს შესაბამისად განვითარებული და გამოკითხვა პროტოკოლის მიხედით არის ჩატარებული, რომელსაც სანდოობის მაღალი ხარისხი აქვს, მე ვაპროტესტებ ამ კითხვას ყოველთვის და ვამბობ, რომ ჩვენ გვაქვს ყველა მტკიცებულება, რომ ამ ბავშვს შეუძლია ზოგადად ინფორმაციის დამახსოვრება, აღქმა და გადმოცემა და შესაბამისად, აქ უკვე კითხვის ნიშნები აღარ არის".[198] სპეციალისტები ასევე მიუთითებენ ბავშვის ჰოლისტური შეფასების აუცილებლობაზე, მთელი კონტექსტის, ოჯახის, სოციალური გარემოს ფაქტორების და ძალადობის ისტორიის გათვალისწინებით – *„რა თქმა უნდა თვითონ ისტორია მნიშვნელოვანია, თუმცა, ჩემი აზრით, მთლიანობაში უნდა იყოს აღქმული ბავშვი და არა მარტო ეს ისტორია, არამედ მისი პრეისტორიაც და მომავალიც. ზუსტად ამ მთლიანობაზე უნდა იყოს მიმართული".*[199] სექსუალური ძალადობის დანაშაულების შემთხვევაში ძალადობის წინარეისტორიაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზე მიუთითებს სახალხო დამცველი „სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში" 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში, სადაც გამომძიებლებისა და პროკურორების მიმართ გასცემს რეკომენდაციას, დეტალურად გამოიკვლიონ მსხვერპლის წინარეისტორია, მიუხედავად იმისა, იკვეთება თუ არა მის მიმართ წარსულში დანაშაულის შესახებ შეტყობინება და არის თუ არა გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.[200]

სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო, ძირითადად 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე გასცემს შემდეგი შინაარსის დასკვნებს, რომ ბავშვს თავისი ასაკიდან გამომდინარე არ შეუძლია ფაქტების ზუსტად აღქმა და გადმოცემა, მაგრამ *„როცა სასამართლოში ეს ექსპერტი დაგვიკითხავს, უთქვამს, რომ ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს არ შეუძლია ფაქტების აღქმა და გადმოცემა, მაგრამ რაღაც სტანდარტით ხელმძღვანელობენ. თუმცა, პრაქტიკა სხვას აჩვენებს, მქონია შემთხვევა, როცა 3 წლის ბავშვი დაგვიკითხავს და მოგვცა ჩვენება".*

ექსპერტიზის ბიუროსადმი დასმული შეკითხვების და დასკვნების ანალიზით, ასევე იკვეთება ის გარემოებაც, რომ თუ ბავშვს არ აღენიშნება ძლიერი ტრავმული სტრესი

[197] იქვე, §18.
[198] არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, წყარო – ჩაღრმავებული ინტერვიუ.
[199] ერთ-ერთი პროკურორი.
[200] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სპეციალური ანგარიში „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [ბოლოს ნანახია:14/04/2021].

მის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შედეგად, ეს, შესაძლოა, მის საწინააღმდეგოდ იყოს გამოყენებული და დამატებით სტრეს-ფაქტორად გადაიქცეს, მაგალითად, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არასრულწლოვნის მიერ განცდილი „სტრესი" არ იყო საკმარისი და ბავშვს უნდა მიეღო *„ფსიქოლოგიური ტრავმა, უფრო მძიმე ფსიქოლოგიური გამოვლინებებით"*. ამასთანავე, სასამართლო სხდომაზე ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იმ საკითხის განხილვას, რომ არასრულწლოვანს *„ტყუილის თქმა ახასიათებდა"*, კერძოდ, სკოლის მასწავლებელს ატყუებდა ხოლმე, შესაბამისად, მისი ჩვენება არ შეიძლებოდა, სარწმუნოდ მიეჩნიათ (გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე, თექვსმეტ წელს მიუღწეველ პირთან). აქვე აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ ფსიქოლოგის შეფასებას ხშირად აქვს მტკიცების ტვირთი, მაშინ როდესაც ბავშვის ინტერესის დასაცავად, მნიშვნელოვანია გამოძიება ორიენტირებული იყოს ფაქტობრივი გარემოებების მოპოვებაზე, ბავშვის სწორ გამოკითხვაზე, მაშინაც კი, როცა, შესაძლოა, ბავშვის ზიანის ხარისხი არ არის მაღალი, ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მის მიმართ ნამდვილად ჩაიდინეს გარკვეული დამაზიანებელი ქმედება, რადგან არსებობს გარკვეული სახის დამცავი ფაქტორები[201], მაგალითად, სტრეს მედეგობა, ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლები, გამკლავების უნარი, ბავშვის მხარდამჭერი გარემოს ზემოქმედება და სხვა, რომლებმაც, შესაძლოა, დამცავი ფაქტორის როლი შეასრულონ.

გამოკითხულ სპეციალისტთა (ფსიქოლოგთა) მოსაზრებებიდან იკვეთება იგივე მოსაზრებებიც, რაც, თავისთავად ცხადია, მათ კვალიფიციურ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება –

> *„ტრავმის შემთხვევაში, შეიძლება ორმა ადამიანმა ერთი და იგივე ტრავმა გამოიაროს მაგრამ ერთი ყოჩაღად იყოს და მეორეს დასჭირდეს ძალიან სერიოზული ჩარევა. მნიშვნელოვანია ასევე, რამდენი დრო არის გასული მომხდარიდან. მეორე, გამკლავების მექანიზმებზე და ადამიანის სტრუქტურაზე და ადამიანის გამოცდილებაზე არის დამოკიდებული ეს ყველაფერი. ვფიქრობ, თვითონ დასკვნაში შეიძლება ეს პუნქტი ჩაიწეროს, რომ ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ ახლა ტრავმის მაღალ ხარისხს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ან არ მომხდარა"*.[202]

მზრუნველის მხრიდან 8 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილი ქმედების საქმეში[203], კარგად ჩანს დაზარალებული ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასების კუთხით არსებული ხარვეზები. საქმეში ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეაფასეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგმა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ და დაცვის მხარის ინიციატივით ჩართულმა ექსპერტმა, თუმცა, არ ჩანდა, ჰქონდათ თუ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსა და ალტერნატიული ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტ-ფსიქოლოგებს გავლილი სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქო-

[201] Resilience Following Child Maltreatment: A Review of Protective Factors, Tracie O Afifi, Harriet L MacMillan, MD2, 2011, ხელმისაწვდომია: https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0706743711056005 05 [ბოლოს ნანახია:17/05/2021].
[202] არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრი, ფსიქოტრავმატოლოგი. წყარო – ჩაღრმავებული ინტერვიუ.
[203] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე №1-229/19.

ლოგი დასკვნაში[204] აღნიშნავდა, რომ *„ბავშვის ფსიქიკა გადატანილი ძალადობის შედეგად ტრავმული განცდებით არის ამჟამად დაკავებული, რის გამოც მსხვერპლის პოზიციაშია“*. ხოლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის[205] თანახმად, ბრალდებულის მხრიდან სავარაუდო გარყვნილი ქმედების საფუძველზე ბავშვმა მიიღო ფსიქოლოგიური სტრესი. თუმცა, დაცვის მხარის ინიციატივით დანიშნულმა ექსპერტიზამ სწორედ ბავშვის მიერ განცდილ ფსიქოლოგიურ სტრესსა და მის მიმართ ჩადენილ სავარაუდო გარყვნილ ქმედებას შორის კავშირი დააყენა ეჭვქვეშ და აღნიშნა, რომ მსგავსი ძალადობის საფუძველზე *„ბავშვს უნდა მიეღო არა ფსიქოლოგიური სტრესი, რაც შინაგანი შფოთვის და დაძაბულობის ბევრად უფრო მსუბუქი მდგომარეობაა, არამედ ფსიქოლოგიური ტრავმა“*. აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა სოციალური მომსახურების სააგენტოს და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უკვე არსებული დასკვნების და ბავშვის გამოკითხვის ოქმების (რომლებიც არ წარმოადგენს ბავშვის მონათხრობის და თხრობის პროცესში მისი მდგომარეობის ზუსტ ჩანაწერს (ტრანსკრიპტს)[206]) შეფასებაა, თეორიული მსჯელობაა და არ ასახავს სპეციალისტის მიერ უშუალოდ ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის, ტრავმის ხარისხის გაზომვას. ექსპერტმა ასევე არ გაითვალისწინა მთელი რიგი დამცავი ფაქტორები, თუნდაც ინდივიდუალურ დონეზე (სტრესმედეგობა), რომელმაც, შესაძლოა, იმოქმედოს ბავშვის ზიანის ხარისხზე. მიუხედავად ამისა, საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი და სასამართლო, ფაქტობრივად, დაეყრდნო დაცვის მხარის ინიციატივით ჩართული ექსპერტის მიერ უკვე არსებული დასკვნების ანალიზს და არა ემპირიულ ფაქტებს და მტკიცებულებებს.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციიდან, საქმეების ანალიზიდან, სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სასამართლო ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა მნიშვნელოვანი დარღვევებითა და სისტემური ხარვეზებით მიმდინარეობს, კერძოდ:

- არ არის განსაზღვრული მეთოდოლოგია, შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც რელევანტურია დაზარალებული ბავშვის ასაკთან, ტრავმული გამოცდი-

[204] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგის მიერ ბავშვთან ჩატარებული კვლევა ეფუძნებოდა იმ პროექციულ მეთოდიკებს, რომელიც როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ბავშვთა დაცვის სისტემაში უსაფრთხოების ნიშნების გამოსავლენად. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eP1BGr [ბოლოს ნანახია: 14/04/2021]
ფსიქოლოგის მიერ საქმეში გამოყენებული მეთოდოლოგია – დაზარალებული და მოწმე ბავშვის გამოკითხვის NICHD სტრუქტურირებული პროტოკოლი, ქცევაზე დაკვირვება გამოკვლევის პროცესში, პროექციული მეთოდიკები: დაუსრულებელი წინადადებები, ნახატი – „სამი სახლი“, „სიხარული და გულისტკივილი“, „უსაფრთხო გარემო“, „შავი და წითელი“ სახლი. თუმცა, სპეციალისტს არ დაუკონკრეტებია, რა პოსტტრავმული სიმპტომები იყო წამყვანი საქმეში, რაც უფრო დამაჯერებელს გახდიდა მის მსჯელობას.

[205] დასკვნაში არ იყო დაკონკრეტებული, რომელი ფსიქომეტრიული ინსტრუმენტებით შეფასდა ბავშვის კოგნიტური, ემოციური და სოციალური ფუნქციონირების მახასიათებლები ან რომელი გამოკვეთილი სიმპტომების მიხედვით დაადგინა სპეციალისტმა, რომ ბავშვმა მის მიმართ ჩადენილი ქმედების შედეგად განიცადა სტრესი. ამასთან, პრობლემურია ექსპერტის მიერ პიროვნების საკვლევი მრავალპროფილიანი ტესტის გამოყენება 8 წლის ბავშვის პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, იმის გათვალისწინებით, რომ ასაკიდან გამომდინარე, ბავშვი ჯერ კიდევ პიროვნების ფორმირების პროცესშია.

[206] ტრანსკრიპტში უნდა ჩანდეს, სად აკეთებს ბავშვი პაუზას, აუთენტური სამეტყველო ენა, რომელსაც ბავშვი იყენებს, უნდა ჩანდეს მისი სხეულის რეაქციებიც, მაგალითად, ხმა აუკანკალდა, გაწითლდა და ა. შ.

ლების მქონე ბავშვის თავისებურებებთან და, ამავე დროს, არ არის ჰოლისტური, არ ითვალისწინებს ბავშვის განვითარების, წინმსწრები ფაქტორების, ოჯახის გარემოს და ა. შ. გავლენას მომხდარზე და ორიენტირებულია მხოლოდ უშუალოდ ფაქტზე, რაც, თავისთავად ცხადია, შეიცავს მაღალ რისკს, სამართალწარმოებისა და ტრავმირებული ბავშვის რეაბილიტაციის დაგეგმვის პროცესში ავცდეთ ბავშვის საჭიროებებს, მის საუკეთესო ინტერესს;

- ხშირად ფსიქოლოგებს, რომლებიც ესწრებიან ბავშვთა გამოკითხვას და ამზადებენ დასკვნას სასამართლოსთვის, არ აქვთ გავლილი სპეციალიზაცია მოწმე/დაზარალებული ბავშვის სამართალწარმოების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, არ აღიარებენ ან არ იცნობენ ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვა/გამოკითხვის სტრუქტურირებულ პროტოკოლს, რაც არათანაბარ სიტუაციაში აყენებს დაზარალებულ ბავშვებს, რომელთა საქმეებიც ძიების ან სასამართლო განხილვის პროცესშია;
- არ არსებობს სისტემური ან პროფესიული შეთანხმება ტერმინზე, მაგალითად, რა იქნებოდა ყველაზე შესაფერისი სამეცნიერო ტერმინი – „ტანჯვა", „ტრავმული სტრესი" თუ „სტრესი", რაც მიკერძოებული მიდგომების შემთხვევაში ცალკეული სპეციალისტების მხრიდან ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა;
- არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო პრინციპები, ეთიკური ნორმები იმ ფსიქოლოგებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან დაზარალებულ ბავშვთა გამოკითხვისა თუ შეფასების პროცესში, რაც ასევე არაკვალიფიციური და მიკერძოებული მიდგომების რისკს შეიცავს.

3.8. დისკრიმინაციისგან დაცვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, პატივი სცენ და უზრუნველყონ კონვენციით აღიარებული უფლებები ყოველი ბავშვისთვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს,[207] რომ დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს იმ ბავშვებისა და ბავშვთა ჯგუფების აქტიურად გამოვლენას, რომელთა უფლებების აღიარებისა და რეალიზებისთვის განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო. კერძოდ, კომიტეტი საგანგებოდ მიუთითებს ჩაშლილი მონაცემების შეგროვების საჭიროებაზე დისკრიმინაციისა და დისკრიმინაციის რისკების გამოსავლენად.[208]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 2017 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოები და ახალგაზრდა ქალები, რომლებიც განიცდიან სექსუალურ და გენდერულ ძალადობას, მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. სექსუალური ძალადობის შეტყობინების მაჩვენებელი

[207] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment no. 5 (2003): General measures of implementation of the Convention on the Rights of the Child, 27.11.2003, CRC/GC/2003/5, 4.
[208] UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 18: Non-discrimination, 10.11.1989.

განსაკუთრებით დაბალია, როდესაც მსხვერპლი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ამასთანავე, განსაკუთრებით, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე გოგოების შემთხვევაში, ჩვენება, როგორც წესი, არ აღიქმება სარწმუნოდ, რაც დამნაშავეთა დაუსჯელობას იწვევს.[209]

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები საგანგებოდ აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ ბავშვებს: მიგრანტებს, ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს, თანმხლების გარეშე მყოფ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ქუჩაში მცხოვრებ და უსახლკარო ბავშვებს, ბოშა ბავშვებს, ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვებს.[210]

ამასთანავე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშში ბავშვთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თაობაზე, განმარტებულია, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივ პროცედურებში „ეფექტიანი და შინაარსიანი" მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც ასევე მოიცავს ბავშვების პირდაპირ მოსმენას სამართლებრივ პროცედურებში, დისკრიმინაციის გარეშე.[211]

2018 წელს გენდერის და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე ჩატარებულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა მიიღო 21-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა. 2018-2019 წლებში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის თემაზე, გადამზადდა სისტემის 140 წარმომადგენელი, მათ შორის: პროკურორები, სისტემის გამომძიებლები და მენეჯერები. ორდღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს.

3.9. პირადი ინფორმაციის დაცვა და ინფორმირების ვალდებულება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლი განამტკიცებს, რომ ბავშვი არ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში მიკერძოებულ ან უკანონო ჩარევას, ასევე, მის ღირსებასა და რეპუტაციაზე უკანონო თავდასხმას. ბავშვის უფლებაა კანონით დაიცვას თავი ამგვარი ჩარევისგან. სასამართლო და სხვა სახის პროცესებში მონაწილე ბავშვების პირადი ინფორმაცია დაცული უნდა იყოს.[212]

მსხვერპლი და მოწმე ბავშვები, მათი მშობლები, მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა კანონიერი წარმომადგენლები, მართლმსაჯულებასთან პირველივე კონტაქტისას უნდა იყვნენ დაუყოვნებლივ და სათანადოდ ინფორმირებული მათი უფლებების, სამართალწარმოების პროცესის, მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების

[209] Sexual and reproductive health and rights of girls and young women with disabilities Note by the Secretary-General, 14 July 2017, A/72/133, §36.
[210] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010, §78.
[211] United Nations High Commissioner for Human Rights, Access to Justice for Children, A/HRC/25/3, 16.12.2013, §46.
[212] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010, §57-62.

მექანიზმების შესახებ.[213] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ასევე განმარტავს,[214] რომ ეს ინფორმაცია ადაპტირებული უნდა იყოს გენდერული და კულტურული საკითხების გათვალისწინებით, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისთვის გასაგებ ენაზე.

სექსუალური ძალადობის საქმეებზე მომუშავე პროფესიონალებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინფორმირებულები არიან კონფიდენციალობის მნიშვნელობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლო სხდომები, სადაც არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმე განიხილება, დახურულია. ამასთანავე, საჯარო სივრცეში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას ცდილობენ დრო იმგვარად შეარჩიონ, რომ მაქსიმალურად აიცილონ თავიდან დაზარალებულის უცხო პირებთან შეხვედრა.

მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა საქმე,[215] სადაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი ითხოვდა, რომ შემთხვევისა და მისი სამართალდამცავებთან კომუნიკაციის შესახებ, მისი მეგობრებისა და ოჯახისთვის არ ეცნობებინათ. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შესახებ ბავშვის ოჯახის წევრებს ეცნობათ, არასრულწლოვანმა სრულად შეწყვიტა სამართალდამცავებთან, სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან კომუნიკაცია. ამავე პოზიციას იზიარებდა დაზარალებული არასრულწლოვნის ოჯახიც.

[213] United Nations Economic and Social Council, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Resolution 2005/20, 2005, § 19.
[214] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010.
[215] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-257/19.

IV. არასრულწლოვანი დაზარალებული სასამართლო განხილვის დროს

1. საერთაშორისო სტანდარტი სასამართლო განხილვის შესახებ არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებით

სასამართლო პროცესში მონაწილე ყველა პირს – მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს – გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი ბავშვთა უფლებების, ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ.[216] სასამართლო განხილვა დახურულ სხდომაზე უნდა ჩატარდეს. მსხვერპლის ჩვენების მოსმენა სასამართლო დარბაზში მსხვერპლის დაუსწრებლად, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, უნდა მოხდეს. [217]

პროცესის დაწყებამდე ბავშვს გასაგები ენით უნდა გააცნონ სასამართლოს ან სხვა შესაბამისი შენობის მოწყობის განლაგება, მონაწილე პირების როლი და ვინაობა. პროცესი უნდა წარიმართოს პერიოდული შესვენებებით. მოსაცდელი და ინტერვიუს ოთახები უნდა იყოს მოწყობილი ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპით.[218] მსგავსად გამოძიების პროცესისა, სასამართლო განხილვის დროს, ბავშვის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასდროს არ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულების ძალის არმქონედ ან არასარწმუნოდ მხოლოდ ბავშვის ასაკიდან გამომდინარე.[219]

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ბავშვს მისი შინაარსი უნდა განემარტოს გასაგებ ენაზე.[220]

2. საქართველოს კანონმდებლობა სასამართლო განხილვის დროს არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებით

კოდექსის თანახმად, მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით, ან არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით შეუძლია დაცვის შემდეგი ღონისძიებების გამოყენება (მუხლი 24):

- არასრულწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცვლელი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალე ეკრანის მიღმა, ან დისტანციურად დაკითხვა;

[216] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 12.07.2007, CETS No.: 201, მუხლი 36.
[217] იხ. ასევე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 13 (2011): ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან, 18.04.2011, CRC/C/GC/13, §54-56; Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010; United Nations Economic and Social Council, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Resolution 2005/20, 2005; Resolution adopted by the General Assembly 65/213 on Human rights in the administration of justice, 21.12.2010.
[218] Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 17.11.2010, § 54-62, 29-30.
[219] იქვე, §64-74, 30-31.
[220] იქვე, § 44-49, 28.

- სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა და დაკითხვის ვიდეოგადაღება;
- სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა;
- ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. კოდექსი ადგენს, რომ ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

3. არასრულწლოვანი დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის პრაქტიკა

საქმის მასალებიდან და შესაბამის სპეციალისტებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მსხვერპლი ბავშვის სასამართლო პროცესისათვის მომზადება და მისი საჭიროებების განსაზღვრა ცალსახად წყდება პროკურორის მიერ, რომელსაც მუშაობის პროცესში რამდენიმე პროფესიული როლის შესრულება უწევს – პროკურორის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის (აფასებს განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს); საინტერესოა შეფასების რომელ სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს იყენებს პროკურორი ბავშვთან შეხვედრისას და რამდენად შესაძლებელია სპეციალიზაციის ტრენინგ მოდულის ფარგლებში, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, სულ 5-დღიანია და ფსიქოლოგიურ ნაწილს ბოლო 2 დღე ეთმობა და ამავე დროში განიხილება ძალადობა განცდილ ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი რეკომენდაციებიც,[221] ასეთი სპეციფიკური ცოდნის მიღებას. როგორც კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციიდან ჩანს, საქართველოს პროკურატურაში პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის არსებობს გადამზადების 5-დღიანი ტრენინგ-კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა". ტრენინგ-კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვნის ასაკობრივი განვითარება და განვითარების დარღვევები, ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები, მოზარდი და მისი სოციალური გარემო, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები (მათ შორის, სექსუალური ძალადობა), ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან მათი შეფასების კომპონენტები და ძალადობა განცდილ ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი რეკომენდაციები, ძალადობის გამომწვევი მიზეზები/რისკ ფაქტორები, ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები, პენიტენციური სტრესი, მოწმე/დაზარალებული ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის შესაბამისი გარემო და დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლი.

საგულისხმოა, რომ ვერც სატრენინგო პროგრამის ხანგრძლივობა და ვერც სატრენინგო პროგრამაში შეტანილი საკითხების ჩამონათვალი, ვერ უზრუნველყოფს პროკურორს იმ უნარებითა და კომპეტენციებით, რომ მან შეძლოს ყველა ზემოთ მოყვანილი მიმა-

[221] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/70869, 23/12/2020.

რთულებით ბავშვის პროფესიული ბიოფსიქოსოციალური და კლინიკური შეფასება, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმის მიმდინარეობის ამ ეტაპზე მძიმე ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვის საჭიროებები, შესაძლოა, ყურადღების მიღმა დარჩეს, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, როგორიცაა სასამართლო პროცესისთვის ბავშვის მომზადება.

მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ბრალდების მხარე დანაშაულის გახსნაზე მეტად არის ორიენტირებული, ვიდრე ბავშვის ინტერესების დაცვაზე. ფიქრობენ, რომ დანაშაულის გახსნა უკავშირდება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. მაგრამ პროცესის წარმოების დროს არსებული ხარვეზები – ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაშვებული შეცდომები, ექსპერტიზის წარმოების წესი, ხშირად სცდება ბავშვის საუკეთესო ინტერესს და მის ტრავმირებას იწვევს.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვისათვის განსაკუთრებით სტრესული შეიძლება აღმოჩნდეს საქმის განხილვა სასამართლოში, სადაც მას დაზარალებულის სტატუსით უწევს გამოსვლა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბავშვზე მორგებული, განცალკევებით არსებული ოთახი, საიდანაც შესაძლებელია ბავშვის დაკითხვა უშუალოდ სასამართლო დარბაზში შეუსვლელად, ფუნქციონირებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.[222]

მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანი მომზადებული იყოს სასამართლო პროცესისათვის, ნებისმიერი რამ (სასამართლოს შენობაში შესვლისას გასავლელი ოფიციალური პროცედურები, სასამართლო დარბაზის განლაგება, სხდომის მსვლელობისას დასაცავი წესები, ჯვარედინი დაკითხვა და სხვ.) შეიძლება მისთვის დამატებითი სტრეს-ფაქტორი აღმოჩნდეს. ამისათვის კი, მნიშვნელოვანია, მან წინასწარ იცოდეს ყველა დეტალი, დაწყებული ინფრასტრუქტურული მოწყობიდან, დასრულებული სხდომის მონაწილე პირების ვინაობით, პროცედურებით და ა. შ. შესაძლოა, არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც ბავშვის ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა მისი დისტანციური დაკითხვა სპეციალური ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ყველა პირი, ვინც ჩართულია ამ პროცესში ფლობდეს სპეციფიკურ ცოდნას და უნარებს, რაც მას დაეხმარება არასრულწლოვანთან კომუნიკაციაში, დაკითხვის პროცედურის სწორად წარმართვაში. სასამართლო პროცესში ბავშვის მონაწილეობა უნდა უზრუნველყოფდეს მას ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების განცდით და არ უნდა შეიცავს რეტრავმატიზაციის რისკებს.

სასამართლო პროცესისთვის ბავშვის მომზადების პრაქტიკას აღწერს ერთ-ერთი რესპონდენტი:

> *„პროცესის წინა მომზადებისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პროკურორი ცდილობდა, დაეზეპირებინა ბავშვს ჩვენება. ის ამას დამნაშავის დასჯის საჭიროებით ხსნიდა, რომელსაც ბავშვის საუკეთესო ინტერესად მიიჩნევდა. ამ ბავშვს რამდენ-*

[222] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის კორესპონდენცია №06-8876, თარიღი: 23/12/2020.

ჯერმე მოუწია ამ ინფორმაციის გამეორება, ერთ-ერთ შემთხვევაზე ბავშვმა ისიც კი თქვა კიდევ რატომ არ მეკითხებით მომხდარის შესახებო. გამოკითხვისას ხშირად ხდებოდა მისი შექება და ამით წახალისებულმა იკითხა კიდევ მომაყოლეთ ამის შესახებო. მიმაჩნდა, რომ ბავშვი ამას ვერ ხვდებოდა, მაგრამ მეორეული ვიქტიმიზაციისკენ მიდიოდა პროცესი, მაგრამ პროკურორმა ეს საჭიროდ ჩათვალა დამნაშავის დასჯის მიზნით".

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ამ ხარვეზის თავიდან ასარიდებლად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბავშვი მხოლოდ ერთხელ გამოიკითხოს და ჩანაწერი მომზადდეს. მართლმსაჯულების სფეროში მონაწილე სპეციალისტის ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ამავე სფეროს წარმომადგენლის პოზიცია – *„გამოკითხვა უნდა მოხდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც არის საჭირო. პირველად როცა ვკითხავთ, შეიძლება ვერ მივიღოთ სრული ინფორმაცია, რაც გვჭირდება. პირველი გამოკითხვისას ზოგადი აზრი გვექმნება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. სხვა მოწმეების და ბრალდებულის გამოკითხვის შემდგომ რაღაც საკითხების დასაზუსტებლად საჭირო ხდება ბავშვის გამოკითხვა, რაღაც კონკრეტული საკითხების დასაზუსტებლად."* სპეციალისტთა მოსაზრებებს შორის ასეთი სხვაობა იმაზე მიანიშნებს, რომ სისტემა ჯერაც არაა ჩამოყალიბებული ერთიან ხედვაზე, რაც ზრდის კონკრეტული სპეციალისტების მიდგომებისა და ხედვების გამო ბავშვის დაზიანების რისკებს სამართალწარმოების პროცესში.

მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში მოკვლეული მასალების, სასამართლო სხდომის ჩანაწერების, დაკითხვის ოქმების, ბავშვის შეფასების დოკუმენტაციის, სპეციალისტებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლო პროცესზე ყოველთვის ვერ ხერხდება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და მისი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა.

სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვან დაზარალებულს თან ახლავს საპროცესო წარმომადგენელი ან კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი (ყოველთვის არა). კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ბუნდოვანია წარმოდგენა საპროცესო წარმომადგენლის როლზე ბავშვთან მიმართებით, მაგალითად, რამდენად ინტერესდებიან ისინი ბავშვის მდგომარეობით, ზოგადად, რაში გამოიხატება მათი, როგორც საპროცესო წარმომადგენლების როლი, გარდა იმისა, რომ ესწრებიან სასამართლო სხდომებს. თუმცა მიაჩნიათ, რომ „ეს კონკრეტული პირის პრობლემა არ არის და არის სისტემური პრობლემა. იმდენი საქმე აქვთ, საპროცესო წარმომადგენლად დანიშვნის შემდგომ, არ მაქვს ინფორმაცია, ინტერესდებიან თუ არა ბავშვის რაიმე მდგომარეობით. შემდგომი ყურადღების მიქცევა როგორ ხდება ბავშვისთვის, ეს საკითხი პრობლემურია". დაკითხვის პროცესზე ფსიქოლოგის დასწრების მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა. პროფესიონალებთან ინტერვიუების და სასამართლო სხდომის ჩანაწერების მიხედვით, ერთეული შემთხვევების გარდა, ფსიქოლოგი აქტიურად არ ერთვება არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესში. გამოიკვეთა შემთხვევები, რომელზეც გამოკითხული პროფესიონალებიც მიუთითებენ, რომ სასამართლო სხდომაზე ბავშვს ახლდა ფსიქოლოგი, რომელიც იქამდე საქმეში არ იყო ჩართული და პირველად სწორედ სასამართლო სხდომის დღეს ნახა ბავშვი. კიდევ უფრო მცირეა სოციალური მუშაკის ჩართულობა სასამართლო სხდომის პროცესში ბავშვის მხარდაჭერის მიზნით.

ამ პროფესიონალების როლი და ფუნქციები სასამართლო სხდომისას ბავშვის ინტერესების დაცვის კუთხით, გაწერილი არც არის.

სასამართლო სხდომის ჩანაწერების მიხედვით, არასრულწლოვნის დაკითხვა, ძირითადად, მიმდინარეობს ნახევარი საათის ან ერთი საათის განმავლობაში. არასრულწლოვნის სასამართლო დარბაზში შესვლამდე, ყოველთვის აკმაყოფილებენ ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანის შესახებ შუამდგომლობას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ჩანაწერების მიხედვით, მოსამართლეები სხდომაზე ეცნობიან არასრულწლოვნებს და იქამდე მათთან კომუნიკაცია არ ჰქონიათ. აღსანიშნავია, რომ დაკითხვის დაწყებამდე მოსამართლე ყოველთვის არაფორმალური სახით ეცნობა არასრულწლოვანს, ეკითხება, როგორ არის, ინტერესდება მისი ჰობითა და ყოველდღიური ცხოვრებით, რის შემდეგაც აცნობს მხარეებს და განუმარტავს მიმდინარე პროცესს. ამასთანავე, მოსამართლეები, გამოკითხვის პროცესში, ხშირად აქებენ არასრულწლოვანს. შესვენების მოთხოვნისა და კითხვის დაზუსტების შესახებ ინფორმაციაც არაფორმალური სახით მიეწოდება არასრულწლოვანს. ამავე სახის მიდგომა არსებობს პროკურორებისა და, რიგ შემთხვევაში, დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან. საქმის მასალების მიხედვით, ასევე გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის, აუტისტური სპექტრის მქონე და სასამართლო სხდომა მის საცხოვრებელ ადგილას გაიმართა.

პროკურორები არასრულწლოვნებს მისალმებისა და მცირე საუბრის შემდეგ უსვამენ პირდაპირ და არა მიმანიშნებელ კითხვებს, აძლევენ თავისუფლებას, ბავშვებმა თავად მოუთხრონ მომხდარის შესახებ და ეუბნებიან, რომ არ არის პრობლემა, თუ რაიმე საკითხი არ იციან.

მოსამართლე არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში შემოყვანამდე შეახსენებს მხარეებს დაზარალებულის ასაკისა და შემთხვევის სპეციფიკურობის შესახებ და მოუწოდებს იმ უნარების გამოყენებისკენ, რომელიც შესაბამისი სპეციალიზაციისას მიიღეს. მიუხედავად ამისა, ჯვარედინი დაკითხვისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე სვამდა კითხვებს, რომლებიც აშკარად მცირეწლოვნის შეცდომაში შეყვანის ან მისი დაბნევისკენ იყო მიმართული.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვისას ფსიქოლოგის დასწრებას არ აქვს სისტემატური ხასიათი და ამ ეტაპზე, იკვეთება, რომ ფსიქოლოგის ჩართულობას განაპირობებს დანაშაულის სიმძიმე და არასრულწლოვნის ასაკი.

არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო პრინციპები ან პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავს ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობებს სასამართლო პროცესზე. მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ ის, თუ რამდენად შეძლებს ფსიქოლოგი შეასრულოს თავისი პროფესიული როლი და დაიცვას არასრულწლოვანი რეტრავმატიზაციის რისკებისაგან, დამოკიდებულია მოსამართლის კეთილ ნებაზე. შესაბამისად, მოპოვებულ მასალაში გამოიკვეთა, როგორც კარგი, ასევე ცუდი პრაქტიკის მაგალითებიც. არის ერთეული შემთხვევა, როდესაც მოსამართლე სხდომის მონაწილე პირებს დეტალურად უხსნის ფსიქოლოგის როლს მიმდინარე პროცესში, კერძოდ კი, რომ მას შეუძლია დაეხმაროს მხარეებს ბავშვისადმი მიმართული შეკითხვის ფორმულირებაში, მისთვის გასაგებ ენაზე, ბავშვის მდგომარეობის შესაბამისად გასცეს რეკომენდაცია გამოკითხვის დროებით

შეწყვეტის, შესვენების გამოცხადების შესახებ, თუ შექმნილ ვითარებას მიიჩნევს ბავშვისთვის დამაზიანებლად, ასევე, გასცეს რეკომენდაციაც იმასთან დაკავშირებით, თუ მიიჩნევს, რომ შეკითხვა ისეა ფორმულირებული, რომ მან შეიძლება დამაზიანებლად იმოქმედოს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე.[223] ამავე სასამართლო პროცესზე კარგად ჩანს ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობაც, ბავშვისადმი მხარდაჭერა, რეკომენდაციები, რომელსაც ის აძლევს დაცვის მხარეს შეკითხვის ფორმულირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პროცესზე განიხილება მამის მხრიდან გოგონაზე საკმაოდ მძიმე ფორმის ძალადობა – გაუპატიურება, მოსამართლისა და ფსიქოლოგის პროფესიული მიდგომის შედეგად, დაზარალებული ახერხებს ჩვენების მიცემას დაცულ, მშვიდ გარემოში, ტრავმის გამწვავების რისკის გარეშე.

ფსიქოლოგის როლისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას გამოხატავს ერთ-ერთი რესპონდენტიც:

> *„ამ კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულის დაკითხვა ფსიქოლოგის გარეშე მე არ მახსენდება რომ ყოფილიყოს. წინასწარ ხდება, სხდომის დაწყებამდე ფსიქოლოგის გასაუბრება ბავშვთან, ხდება შემოწმება მისი მზაობის, რამდენად არის მზად სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით. თუ გვაქვს ინფორმაცია, რომ ბავშვი არის დაძაბული, ნერვიულობს ამ შემთხვევაში ფსიქოლოგის რეკომენდაცია არის გადამწყვეტი, იმასთან დაკავშირებით, ჩავატაროთ თუ არა იმ დღეს ბავშვის დაკითხვა. ამასთან, დაკითხვისას ძალიან დიდ დროს ვანიჭებ ფსიქოლოგს. თუ ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ რომელიმე მხარის მიერ დასმულმა კითხვამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს, მეორეული ვიქტიმიზაცია მოახდინოს, ვთხოვ ფსიქოლოგს აქტიურად იყოს ჩართული, მოგვაწოდოს რეკომენდაციები და მისი რეკომენდაციით გამირიდებია კითხვები“.*

კვლევის მასალების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზისას იკვეთება, რომ მართლმსაჯულების პროცესში ჩართული სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობები სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და ეს საკანონმდებლო დონეზეც დარეგულირდეს. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კი გვავალდებულებს, რომ მონაწილეობდეს ფსიქოლოგი, თუმცა რა დოზით უნდა მონაწილეობდეს, რა უფლებები აქვს, რა ვალდებულებები აქვს და რა კომუნიკაცია უნდა გვქონდეს ფსიქოლოგთან და რამდენად გადამწყვეტი შეიძლება იყოს მისი რეკომენდაცია, ეს გაწერილი, სამწუხაროდ, არ არის და ამის დარეგულირება გვიხდება პრაქტიკის მიხედვით“. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ცხადია, ფსიქოლოგის როლი სამართალწარმოების პროცესში სისტემურად არ არის გამართული და მისი ჩართულობა და მონაწილეობა უფრო გარკვეულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

არის შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგის სასამართლო პროცესზე მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, მოსამართლე მას უბრალოდ წარადგენს, თუმცა არ განმარტავს მის უფლება-მოვალეობებს სხდომის მსვლელობისას და, შესაბამისად, ფსიქოლოგის მონაწილეობაც მიმდინარე პროცესში ნომინალურია, ის არ ერევა იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაცვის მხარე სვამს ისეთი ტიპის შეკითხვებს, რომელმაც, შესაძლოა, არასრულწლოვან დაზარალებულში გამოიწვიოს სტრესული მდგომარეობა.

[223] რუსთავის საქალაქო სასამართლო №1/231-18.;

სასამართლო სხდომის ჩანაწერების მიხედვით, არასრულწლოვანის დაკითხვისას ძირითადად არ იკვეთება ფსიქოლოგის ჩართულობა ერთეული გამონაკლისის გარდა. ამ ეტაპზე არც სოციალური მუშაკისა და ადვოკატის რაიმე კონკრეტული ფორმით ჩართულობა ჩანს გამოკითხვის პროცესში, გარდა იმისა, რომ სასამართლო სხდომაზე არიან წარმოდგენილები, თუმცა არის ერთეული შემთხვევა, სადაც სასამართლო სხდომაზე ბავშვის გამოკითხვას აწარმოებს სოციალური მუშაკი (საპროცესო წარმომადგენელი), სხდომის დასაწყისში მოსამართლე აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკს აქვს სპეციალიზაცია ბავშვთა საკითხებზე, კარგად იცნობს ბავშვს და გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვი (7 წლის გოგონა) მასთან თავს უსაფრთხოდ გრძნობს, მას ანიჭებს უფლებამოსილებას გაუძღვეს დაკითხვის პროცესს. სასამართლო სხდომის ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ სოციალური მუშაკი იცავს დაზარალებული ბავშვისათვის დამახასითებელ ფსიქოემოციურ მდგომარეობას, ასაკს და თანმიმდევრულად, დამზოგავად მიჰყვება პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ სხდომას ესწრება ფსიქოლოგი, არ ჩანს გამოკითხვის პროცესში მისი ჩართულობა.[224]

სასამართლო სხდომის ოქმებიდან და აუდიოჩანაწერების ანალიზიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დაცვის მხარის დამოკიდებულება ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნებისადმი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, სადაც ცალსახად ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ გავლილი აქვთ სპეციალიზაცია მოწმე/დაზარალებულ ბავშვებთან კომუნიკაციის თავისებურებებზე, იცნობენ მათ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს და ასევე, იცნობენ არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასა და ექსპლოატაციასთან მიმართებით, სასამართლო პროცესზე მათი ქცევიდან, დაზარალებულისადმი დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ მათთვის არ არის პრიორიტეტული ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა, არ ითვალისწინებენ მსხვერპლისათვის დამახასიათებელ ემოციურ მდგომარეობას და რეტრავმატიზაციის რისკებს, პირიქით, ცდილობენ დააბნიონ არასრულწლოვნები, სვამენ შეკითხვებს, რომლებიც აქტივიზირებას უწევს თვითბრალდების განცდას, ამწვავებს მათ ემოციურ მდგომარეობას, დაცვის მხარე გამოკითხვისას ძირითადად იყენებს დახურულ და მიმანიშნებელ შეკითხვებს.

მასწავლებლის მხრიდან გარყვნილი ქმედების მსხვერპლის ჩვენებაში[225] ჩანს, თუ როგორ დაუპირისპირდა მას მთელი თემი, როგორ იყო ის ზეწოლის ქვეშ სკოლის დირექტორის, ნათესავების, მეზობლების მხრიდან – „ძალიან შემაშინეს, რომ ვერ დავამტკიცებდი სიმართლეს“, დაზარალებულის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან ორჯერ სცადა თვითმკვლელობა თავის გარემოსთან ასეთი დაპირისპირებისა და უსამართლობის განცდის გამო. *„მერე დავფიქრდი, ხალხი იტყოდა, რომ გოგომ თავი მოიკლა, ე.ი. თვითონ იყო დამნაშავეო, ამიტომ ვიფიქრე, რომ ამით უფრო დავაზარალებთ ჩემს ოჯახს“*. დაზარალებულის ასეთი ემოციური განცხადების მიუხედავად, დაცვის მხარის ადვოკატი ცდილობს მასზე ემოციური ზემოქმედება მოახდინოს, ჯვარედინი დაკითხვის დასაწყისშივე ცდილობს მის დაბნევას:

[224] სამტრედიის საქალაქო სასამართლო – ერთიანი სტილისთვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საქმის თარიღები მივუთითოთ.
[225] ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1/173-2018.

დაცვის მხარე: *– პირველი გამოკითხვის ოქმში ამბობ, რომ გაკვეთილის მერე დამტოვაო, ასეა?*

დაზარალებული: *– კი.*

დაცვის მხარე: *– მეორე გამოკითხვის ოქმში კი ამბობ, რომ დამიბარა და გაკვეთილის დაწყებამდეო, ასეა?*

დაზარალებული: *– ეს ერთი და იგივე არაა? სანამ ბოლო გაკვეთილი იქნებოდა, იქამდე მთხოვა ავსულიყავი მასთან გაკვეთილების შემდეგ.*

ამ დაზუსტებისა და განმარტების მიუხედავად, დაცვის მხარე იმავე შეკითხვას რამდენჯერმე იმეორებს და წყვეტს მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესახებ მოსამართლე მიუთითებს.

ასევე, ადვოკატის დასმულ შეკითხვაში არის მცდელობა დაზარალებული შეიყვანოს სამართლებრივ მსჯელობაში: *„დირექტორი ცდილობდა, რომ დაემალა ფაქტები, არა? ის მეზობლებთან მიდიოდა და მათ თხოვდა არ ელაპარაკათ, ასეა? ანუ, ის დანაშაულს ფარავდა?“*

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი ცდილობდა ესაუბრა ფაქტებზე და არ შეეფასებინა დირექტორის ქცევა, ადვოკატმა ეს შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორა.

სხდომის მსვლელობისას დაზარალებულს რამდენჯერმე გაუჩნდა განცდა, რომ დაცვის მხარის ადვოკატი მას დასცინოდა (*„ესე იგი ყველა დადუმდა სოფელში, ასეა? თქვენ ხართ სიმართლის მღაღადებელი და ყველა დადუმდა?“*). დაცვის მხარის ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ჩანაწერიდან ჩანს, მძაფრ რეაქციას იწვევს არასრულწლოვანში (ხმა უკანკალებს, ტირილს აპირებს, აკეთებს პაუზას, ვერ ახერხებს საუბრის გაგრძელებას).

ჩანაწერიდან ასევე ჩანს, რომ დაზარალებული უარს ამბობს მოსამართლის შეთავაზებაზე, რომ დაისვენოს, დამშვიდდეს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამას აკეთებს იმიტომ, რომ სასამართლომ ეჭვი არ შეიტანოს მის სიმართლეში და ამის გამო კიდევ უფრო ეტყობა აღელვება. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი გოგონას ისტორიაში ბევრი სარისკო გარემოება გამოჩნდა და დაკითხვის პროცესიც საკმაოდ სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობდა, პროცესში არცერთხელ არ მიუღია მონაწილეობა ფსიქოლოგს. ზოგადად, საქმეში არ ჩანს, რომ საკმაოდ მძიმე ტრავმული გამოცდილებისა და სუიციდის რისკის მქონე მოზარდმა მიიღო ფსიქოლოგიური მხარდაჭერის რაიმე სერვისი.

განსაკუთრებით რთულია შემთხვევა (ეს საქმე ასევე განხილულია ზემოთ), როდესაც არასრულწლოვანი ცვლის თავის ჩვენებას. ერთ-ერთ საქმეში[226] 12 წლის გოგომ სხეულზე არსებული დაზიანებებით დასახმარებლად მეზობლებს მიმართა და მათთან ერთად საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შეატყობინა მამინაცვლის მიერ ძალადობა და სექსუალური ხასიათის ქმედება. თუმცა, დედასთან საუბრის შემდეგ უარყო მისი განცხადება. აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებობდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სრულად ემთხვეოდა არასრულწლოვნის თავდაპირველ

[226] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1536/18.

განცხადებასა და მომხდარის ხანდაზმულობას. ასევე, არსებობდა არასრულწლოვნის მეზობლებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ჩვენება, რომლებიც თანხვედრაში იყო ერთმანეთთან და გოგონას პირველ ჩვენებასთან. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პირების ჩვენება იყო ირიბი, არ მიიჩნია საკმარისად. ხოლო, სამედიცინო დასკვნაში მითითებულ დაზიანებებთან და მათ გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ *„დაზიანებები არ არის განვითარებული ისეთ მიდამოებში, რომლებიც მეტწილად დამახასიათებელია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის (მაგალითად, შორისის მიდამოებში ან ეროგენულ ზონებში)“.* სასამართლომ არ იმსჯელა ბავშვის მიერ პირველადი ჩვენების შეცვლის საფუძვლებზე და მასზე სავარაუდო ზეწოლის შესაძლებლობაზე. სასამართლოს არ გაუჩნდა კითხვები შესაბამის სპეციალისტებთან იმასთან დაკავშირებით, თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია ცნობიერების ასეთი დაბინდვა (გოგონა პირველი ჩვენებიდან განსხვავებით, სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა მაღალი სიცხე და არ ახსოვს როგორ მიიღო დაზიანებები, არ ახსოვს ცდილობდა თუ არა მამინაცვალი მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, არ ახსოვს როგორ აღმოჩნდა მეზობლის სახლში ფეხშიშველი და ა. შ.). სასამართლოს, სოციალური სამსახურის წარმომადგენლებს არ გასჩენიათ შეკითხვა და არ მიუმართავთ სფეროს ექსპერტისადმი – რამდენად შეიძლება მაღალმა სიცხემ გამოიწვიოს მეხსიერების ასეთი პრობლემები, არ მიუმართავთ ექსპერტული მოსაზრების მოსასმენად ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტისათვის იმის განსამარტავად, თუ რა სახის ფსიქოლოგიურმა ტრავმამ ან სომატურმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს ცნობიერების ასეთი დაბინდვა და მეხსიერების პრობლემები და რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის შედეგად აღწერილი ამგვარი მდგომარეობა. სასამართლო პროცესის დროს დაცვის მხარის ადვოკატი გოგონას უსვამდა დახურულ და მიმანიშნებელ შეკითხვებს, რომელთა დახმარებითაც მისი პირველი ჩვენებიდან რადიკალურად განსხვავებული ისტორია მოვისმინეთ:

დაცვის მხარე: *– იმ დღეს სიცხე გქონდა?*

დაზარალებული: *– დიახ.*

დაცვის მხარე: *ა.-მ დაურეკა დედას და ა. და დედა ლაპარაკობდნენ?*

დაზარალებული: *– კი.*

დაცვის მხარე: *– მანამდე ხომ არ ყოფილა ა.-ს მხრიდან მსგავსი ქცევა?*

დაზარალებული: *– არა.*

დაცვის მხარე: *– ტუჩი ა.-მ ხომ არ გაგიხეთქათ?*

დაზარალებული: *– არა.*

დაცვის მხარე: *– ა. ხომ არ მოგეფერათ?*

დაზარალებული: *– არა.*

დაცვის მხარე: *– ამ სამი წლის მანძილზე ა.-ს არ დაურტყამს?*

დაზარალებული: *– არა.*

დაცვის მხარე: *– ა. პატივს გცემდა?*

დაზარალებული: *– დიახ.*

დაცვის მხარე: *– სწავლა-განათლების ფულს (ა) გიხდიდა?*

დაზარალებული: *– დიახ.*

სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ადვოკატმა არ დაიცვა ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სავალდებულო წესები, კერძოდ ინფორმაციის მოსაპოვებლად, დასაწყისში არ დაუსვამს ღია ტიპის შეკითხვა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოწმის თავისუფალ თხრობას, არ გამოუყენებია თავისუფალი თხრობით მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ ე.წ. დამაზუსტებელი კითხვები, რომლებიც ამომწურავი და შემავსებელი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მოგვცემდა. ადვოკატი ჯვარედინ დაკითხვას პირდაპირ იწყებს მიმანიშნებელი და დახურული შეკითხვებით. მაგალითად, „[ბრალდებულს] არ დაურტყამს?" „ტუჩი [ბრალდებულმა] ხომ არ გაგიხეთქათ? „სწავლა-განათლების ფულს ა. გიხდიდა?" „[ბრალდებული] ხომ არ მოგეფერათ?" და ა. შ. დასმული კითხვები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ბავშვმა უკვე იცის რა პასუხს ელოდებიან მისგან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ ამ სხდომაზე ბავშვმა რადიკალურად შეცვალა თავისი ჩვენება და არსებობდა ეჭვი, რომ ის შეიძლება გარკვეული წნეხის ქვეშ ყოფილიყო, ადვოკატის მიერ დასმული ამ ტიპის შეკითხვები არ გაუპროტესტებია არც საპროცესო წარმომადგენელს, არც მოსამართლეს. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ ჩანს ფსიქოლოგის ჩართულობა ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. ამავე საქმეში, სასამართლო სხდომაზე პროკურორის კითხვაზე: ოჯახი ვისზეა დამოკიდებული? დაზარალებულის დედამ თავისი მეუღლის, ბრალდებულის სახელი და გვარი დაასახელა. ასევე, სასამართლო სხდომაზე სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ პირველი ჩვენების შემდეგ, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი სექსუალურ ძალადობაზე მიუთითებდა, მას არ მიეცა ბავშვთან ურთიერთობის შესაძლებლობა, მანვე აღნიშნა, რომ ბავშვთან მუშაობა ვერ შეძლო ვერც ფსიქოლოგმა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბავშვზე სავარაუდო ზეწოლის, მშობლის მხრიდან ბავშვის ფსიქოლოგიურ სერვისში ჩართვის საჭიროების უგულებელყოფის გარემოებები, სოციალურმა სამსახურმა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლეს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა. პირველი ინსტანციის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა (ზემოთ ეს საქმე განვიხილეთ), ხოლო სააპელაციომ უცვლელად დატოვა. უზენაესმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო. განაჩენში აღინიშნა:

> *„ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეებს, როგორც წესი, მოწმეთა სიმრავლე არ ახასიათებს. ბავშვი არის დედის მეურვეობის ქვეშ, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი და მატერიალურად დამოკიდებულია მოძალადეზე. ბავშვის დედას არ დაუმალავს, რომ სურს მოძალადე იყოს თავისუფალი და განაგრძოს მასზე და მის ოჯახზე ზრუნვა. ... არასრულწლოვანი დარჩენილია ყველანაირი დამცავი ფაქტორის გარეშე, არის უკიდურესად შეშინებული და იმყოფება დედის გავლენის ქვეშ, რომელიც მოქმედებს მისი ინტერესების საზიანოდ დ ყველაფერს აკეთებს, რათა საკუთარი მატერიალური მიზნების გამო, პასუხისმგებლობა აარიდოს ბავშვზე მოძალადეს".*[227]

[227] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი №N828ა3-19.

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა მოსამართლეებთან ჩატარებული ინტერვიუები, სადაც აღინიშნა: *„ერთი საქმე მაქვს, 12 წლის დაზარალებულია გოგო და დაცვის მხარის ადვოკატი ამტკიცებს, რომ ბავშვს აქვს სრულწლოვნის შესახედაობა. როგორც წესი, ისევ ბავშვების დაკნინების ხარჯზე ხდება ბრალდებულის უფლებების დაცვა".*[228] *ასევე: „დაცვის ადვოკატებს არასრულწლოვნებზეც უჭირთ ხოლმე იმ გადამზადების გამოყენება და ცდილობენ მოახდინონ დისკრედიტაცია, განსაკუთრებით, იმ არგუმენტით, რომ ბავშვია და იტყუება, დედას რატომ არ უთხრა მომხდარის შესახებ".*[229]

არაპროფესიონალურია დაცვის მხარის ადვოკატის 9 წლის დაზარალებულ პირთან „მისალმების" ნაწილიც, სადაც კარგად ჩანს, რომ ადვოკატი არ ფლობს ამ ასაკის ბავშვთან კომუნიკაციის ელემენტარულ წესებს, მის მიერ დასმული კითხვები დახურულია, ტენდენციური და დამაბნეველი: [230]

„დაფიქრდი და სიმართლე ილაპარაკე (მიმართავს ბავშვს). თქვენს ჩვენებაზეა ბევრი რამე დამოკიდებული" –

დაცვის მხარის კითხვები 9 წლის დაზარალებულს:

– ხო ასეა, არ იცი, რა არის გამომეტყველება. ხო ასეა?

– გამომეტყველება არის, მაგალითად, საშიშ სახეს რომ მიიღებს ან მხიარულს. სხვადასხვა სახეს რომ მიიღებს.

– სხვადასხვანაირი სახე როგორ უნდა მიიღოს, ნინო?

– არ ვიცი.

– არ იცი, კარგი. სხვადასხვა სახე არ იცი.

– ....

– რამხელაზე გაიხა (მაისური), მთლიანად ხომ გაიხა ზედა? (საქმის მასალების მიხედვით, მაისური ორი თითის სიგრძეზე გაიხა). ... ორი პასტის სიგრძეზე, მონიტორის სიგრძეზე ხომ გაიხა?

– არა.

– არ ვიცი, მაგრამ პატარაზე გაიხა.

– აჰა, რამხელაზე გაიხა არ იცი. არ შეხედე?

– შევხედე და პატარაზე იყო.

– რამხელაზე იყო?

მხოლოდ ამ დროს ჩაერია მოსამართლე და შენიშვნა მისცა ადვოკატს.

სხდომის ოქმებში იკვეთება შემთხვევებიც, სადაც დაცვის მხარის ადვოკატი მორალური წნეხის ქვეშ აქცევს ბავშვს[231], სვამს შეკითხვას, რითაც ააქტიურებს მასში ბრალე-

[228] ამონარიდი მოსამართლის ინტერვიუდან.
[229] ამონარიდი სპეციალისტის ინტერვიუდან.
[230] თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომა, განაჩენი №1/1686-18.
[231] თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომა, განაჩენი №1/63-19.

ულობისა და სირცხვილის განცდას, რაც ზოგადად წარმოადგენს რეტრავმატიზაციისა და ბავშვის ემოციური მდგომარეობის გართულების მაღალ რისკს – ფაქტორს, რადგან მსხვერპლის ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ამ ტიპის ტრავმისათვის თავისთავად დამახასიათებელია ძლიერი ბრალეულობისა და სირცხვილის განცდა.[232]

თქვენდაუნებურად ტყუილებს ამბობთ?

არ გიცდია, რომ დაგეყვირა? – მამის მხრიდან გაუპატიურების ფაქტზე სასამართლო სხდომისას დაცვის მხარის კითხვა, რომელმაც ძალიან ააღელვა, აატირა დაზარალებული.

იმავე საქმის განხილვა – *„ზნეობრივი ცხოვრებისკენ თუ მოგიწოდებდათ მამათქვენი?"* – მამის მხრიდან გაუპატიურების ფაქტზე დაკითხვისას დაზარალებულის მიმართ ხშირად იყო მითითება *„ზნეობრივ ცხოვრებასთან"* და მასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვანს ჰყავდა სექსუალური პარტნიორები.

იმავე საქმის განხილვა – *„თქვენ არ ხართ მარტო ამ სტრესულ გარემოში, ჩვენც ეგეთ სიტუაციაში ვიმყოფებით და ამიტომ, აქ ვფიქრობ, რომ სიმორცხვე უკვე რაღაც მეორე პლანზეა გადასული"* – დაცვის მხარის ადვოკატის პასუხი არასრულწლოვანს, რომელსაც პასუხის გაცემა არ უნდოდა, რადგან საკითხი „ძალიან პირადული" იყო.

იმავე საქმის განხილვა – *„იცით თუ არა, რომ დედათქვენი ცხოვრობს გარყვნილი ცხოვრებით და არის, ასე ვთქვათ, მეძავი?"* დაცვის მხარის კითხვა დაზარალებულთან.[233]

არის შემთხვევები, როცა ბავშვის გამოკითხვისას აპელირება ხდება ბავშვის მხრიდან ტყუილების თქმის ტენდენციაზე, ამასთანავე, ერთი და იგივე შინაარსის კითხვა რამდენჯერმე მეორდება, რაც ბავშვისათვის დამაბნეველი და სტრესული შეიძლება იყოს:

სასამართლო სხდომისას პროკურორის მიერ დაზარალებული ბავშვის დაკითხვა:

– ტყუილი თუ გიყვარს? ან თუ მოგიტყუებია როდისმე?

– ტყუილი არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ ვიტყუები.

– მაინც რა შემთხვევაში იტყუები?

– როდესაც რამე მჭირს ან როდესაც ვტირი რამეზე. სკოლაში რომ მივდივარ, მეკითხებიან, რატომ ტირიო და ვეუბნები, არაფერი ისეთი, წავიქეცი-მეთქი.

– სხვა შემთხვევაში არ იტყუები? თუ მარტო სკოლაში იტყუები?

– მხოლოდ ამ შემთხვევაში.

– სხვა შემთხვევაში არ იტყუები? აი დედიკოსთან როგორა ხარ? დედისკოსთანაც იტყუები ამდაგვარად?

– არა.

[232] Friedrich, W. N. (1993). Sexual victimization and sexual behavior in children; http://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladobis-gamxela/
[233] თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომა, განაჩენი №1/63-19.

– აბა ვისთან იტყუები ამას? მხოლოდ კლასელებთან?

– ჰო.

– დედიკოსთან რას ამბობ, აბა?

– დედიკოსთან სიმართლეს ვეუბნები.

...

– შენ თქვი, რომ ხანდახან ვიტყუებიო და კი თქვი კონკრეტული მაგალითი. მაინტერესებს ვინმესთვის თუ დაგიბრალებია რამე?

– არა[234]

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან და საქმის მასალების გაცნობისას მიღებული ინფორმაციით ვლინდება, რომ დღესდღეობით არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო პრინციპი თუ როგორ უნდა იმოქმედოს სისტემამ სხვადასხვა ეტაპზე თუ ადგილი აქვს გამოკითხვის ან საგამოძიებო პროცედურების წარმოების დროს ბავშვის ემოციური მდგომარეობის გამწვავებას, რეტრავმატიზაციას, დისოციაციას ან სხვა სახის გამოვლინებებს, რომლის ალბათობაც ყოველთვის არსებობს, როცა საქმე მძიმე ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვებს შეეხებათ. ფაქტობრივად სისტემას არ აქვს ასეთი სახის კრიზისის მართვის რაიმე სქემა და გამწვავების შემთხვევაში სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება უხდებათ, რაც ასევე შეიძლება დამაზიანებელი აღმოჩნდეს ბავშვისთვის. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი სახელმძღვანელო პრინციპები „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ერთია სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და მეორეა ის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, მიდგომები და მეთოდები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ამ კატეგორიის საქმეებში. მე სიმწირეს განვიცდი. რასაც ვაკეთებთ, ვაკეთებთ ჩემი პირადი შეხედულებით, რეკომენდაციით იმ ტრენინგებით, მართალია ბევრი არ ყოფილა მაგრამ ყოფილა და ესენი მეხმარება, მაგრამა არ არის საკმარისი. ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები თუ იქნება, გავიზრდებით ძალიან“.

[234] ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-229/19.

V. დამატებითი დაბრკოლებები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის

განსაკუთრებით პრობლემურია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანის საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირება და მათი უზრუნველყოფა. ამ კუთხით სპეციალური ცოდნის და შესაბამისი გადამზადების საჭიროებაზე მიუთითებენ ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტები. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[235] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის მიზნით სამართალდამცავი უწყების თანამშრომლები ხელმძღვანელობენ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის დახმარებით, მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG Fund) მიერ მხარდაჭერილი ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის" ფარგლებში გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ შემუშავებული რეკომენდაციით. ეს რეკომენდაცია, მათ შორის, მოიცავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის პრინციპებსა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ამასთანავე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული კორესპონდენციის თანახმად,[236] პროკურატურაში ამ კუთხით ხელმძღვანელობენ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების თაობაზე" 2016 წელს შემუშავებული რეკომენდაციით. ამასთანავე, 2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, დასრულდა მუშაობა რეკომენდაციაზე, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ". რეკომენდაცია შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საპროცესო სტატუსი, უფლებების სტანდარტი და პროპორციულობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლობა, დანაშაულზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკითხვისა და დაკითხვის დაგეგმვა და პროცესის სწორად წარმართვა. რეკომენდაციაში ყურადღება ეთმობა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლს, პრიორიტეტულად და პროაქტიულად მათ ჩართულობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობით არსებულ საქმეთა გამოძიების პროცესში.

2018-2019 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის თაობაზე სასწავლო პროგრამით გადამზადება გაიარა სულ 83 პროკურორმა, პროკურატურის გამომძიებელმა, მენეჯერმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა.[237]

[235] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, თარიღი: 15/12/2020.
[236] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/70869, 23/12/2020.
[237] იქვე.

საქმის მასალების თანახმად, მხოლოდ ერთ საქმეში ჰქონდა დაზარალებულს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა ეს არ გამხდარა პრობლემა, როგორც ჩვენების სარწმუნოობის, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობის კუთხით. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში, სადაც დაზარალებულს აღენიშნებოდა აუტისტური სპექტრი, დაცვის მხარის მიერ სადავო გახდა მისი ჩვენების სარწმუნოობის საკითხი. საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანს ჩაუტარდა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა და გამოიკითხა კიდეც NICHD პროტოკოლის დაცვით. მოსამართლემ განმარტა, რომ *„სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას თ.ე.-ს ჩვენების შეფასებაში, რადგან თვლის, რომ დაზარალებულის გამოკითხვამ ცხადყო, რომ მისი ასაკი და აუტიზმი არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორებს, იმისთვის, რომ შესატყვისი კომუნიკაციის პირობებში, მან თავს გადამხდარი მოვლენების გადმოცემა ვერ შეძლოს".*[238] სასამართლო სხდომა გაიმართა არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილას.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში დაზარალებული იყო აუტისტური სპექტრის მქონე 13 წლის ბავშვი. ბრალის წარდგენილია სისხლის სამართლის კოდექსის 138 (3"გ") მუხლით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ). თუმცა, მოსამართლემ არასრულწლოვნის ასაკი და აუტისტური სპექტრის ქონა არ მიიჩნია საკმარის მტკიცებულებად, თუნდაც „უმწეობის გამოყენების" კუთხით 138-ე მუხლით დასაკვალიფიცირებლად და მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება. აღინიშნა, რომ ძალადობრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.[239] ამ მხრივ საინტერესოა, რამდენად გადამწყვეტი შეიძლება ყოფილიყო ფსიქოლოგის მსჯელობა ბავშვების, განსაკუთრებით კი ამ მდგომარეობის მქონე ბავშვის მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის შესახებ. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ.[240]

[238] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2215-19.
[239] საქმის მასალებში აღინიშნა, რომ დამნაშავე ბავშვს „ჩიფსის" ყიდვას დაჰპირდა და ამის სანაცვლოდ ჩაიდინა გარყვნილი ქმედება.
[240] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2215-19.

VI. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისას, სათანადო სარეაბილიტაციო, მხარდაჭერაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარების კუთხით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის ჩართულობას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[241] 2018 და 2019 წლებში, სააგენტომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის სულ 431 შემთხვევა გამოავლინა. ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანებიდან 48 ბიჭი იყო და 383 გოგო. საანგარიშო პერიოდში სააგენტოში არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის სულ 158 შემთხვევა გადამისამართდა. მათგან 119 – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტომ 39 შემთხვევა გადაამისამართა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მათგან სოციალური მუშაკი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის წარმომადგენელი იყო 91 საქმეში.

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისას რისკებისა და საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ამ მიმართულებით სპეციალისტების სათანადო გადამზადება. მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები ჯერაც არ გადამზადებულან არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტიკცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №668 დადგენილებაში ჯერაც არ არის მითითებული, რომელ უწყებას უნდა დაევალოს სოციალურ მუშაკთა გადამზადება. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი შემთხვევათა მართვას ახორციელებენ მხოლოდ სოციალური მუშაობისა და ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის შესახებ არსებული სახელმძღვანელო მითითებებით, რომლებიც არ არის უშუალოდ სექსუალური ძალადობის შემთხვევათა სპეციფიკასა და მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული.

სააგენტო სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან ინტერვენციას ახორციელებს სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობით. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან ხშირად დგება ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება, თუმცა არ არის განსაზღვრული, რა გარემოებების საფუძველზე შეიძლება ჩაერთოს ფსიქოლოგი და როგორ ხდება ამ საჭიროების შეფასება. აღსანიშნავია ისიც, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე სულ 13 ფსიქოლოგის კადრია, მათ შორის, თბილისისა და იმერეთის რეგიონებში ორ-ორი, ხოლო დანარჩენ 9 რეგიონში თითო-თითო ფსიქოლოგი ჰყავთ.[242] მაშინ, როდესაც 2018-2019 წლებში არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის 611 საქმეზე დაიწყო გა-

[241] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №07/4360, 30/06/2020, № 07/8673, 20/12/2020; №07/3713, 06/05/2021.
[242] იქვე.

მოძიება, ხოლო დაზარალებულის სტატუსი მიიღო 317 არასრულწლოვანმა. ფსიქოლოგიური მომსახურების და რეაბილიტაციის კუთხით სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა გადამისამართება ხდება ასევე, სააგენტოს ბაზაზე არსებულ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში, სადაც ჰყავთ ფსიქოლოგის კადრი, თუმცა დაწესებულება არ არის კონკრეტულად ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული.

2018 და 2019 წლებში სააგენტოს ბაზაზე არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში სულ განთავსდა 9 არასრულწლოვანი. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მზრუნველობაში სულ განთავსდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 8 არასრულწლოვანი. მათგან 4 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 2 მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში, 2 მათგანი მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამაში.[243]

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრიც. ცენტრში ამჟამად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დასაქმებულია 38 ფსიქოლოგი. თუმცა, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში 2018 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, გადამისამართდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი სულ 30 არასრულწლოვანი.[244] ამ შემთხვევებიდან მომსახურება გაეწია მხოლოდ 16 მოსწავლეს. 14 შემთხვევაში კი, თავად არასრულწლოვანმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა არ ითანამშრომლა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრთან, რაც ხშირად, სწორედ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემურობას უკავშირდება.

[243] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №07/4360, 30/06/2020.

[244] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის კორესპონდენცია MES 0 20 0000992625, 16/10/2020.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექპლოატაციის დანაშაულების შესახებ, მათ შორის, ბავშვთა მიმართ პროსტიტუციის საკითხზე, მიუხედავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავებისა, კვლავ არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სავალდებულო ინსტრუმენტებს, რომელთა მონაწილეც საქართველოა. ამასთანავე, ხსენებულ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება, მათ შორის, არსებული მტკიცებულებითი სტანდარტები ზედმეტად ხისტია, ფორმალისტური, შემზღუდველი (როგორიცაა მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების მოთხოვნა) და სათანადოდ არ ითვალისწინებს დანაშაულის სპეციფიკას და ბუნებას. დანაშაულის კვალიფიკაციის და მართლმსაჯულების განხორციელების დროს ძირითადი ყურადღება კვლავ ფიზიკური ძალადობის გამოვლენის საკითხს ეთმობა და არ ხდება ბავშვის ნების დამთრგუნველი რიგი გარემოებების ზუსტი იდენტიფიცირება, რაც, ხშირ შემთხვევაში, გაუპატიურების შემადგენლობას მოგვცემდა.

გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო ეტაპზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ბავშვზე ორიენტირებული და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვაზე მიმართული ღონისძიებების გატარება – კერძოდ, არასრულწლოვნების რამდენჯერმე გამოკითხვის პრევენცია, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა, ყველა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისას ბავშვთან ერთი და იმავე სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა და უცხო პირებთან კომუნიკაციის პრევენცია. კანონმდებლობით ზუსტად არ არის განსაზღვრული ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა შემთხვევაზე ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხი, რაც ერთგვარ რისკს ქმნის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კუთხით. სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების მხრიდან პრობლემურია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვების ეფექტიანი მხარდაჭერა და რიგ შემთხვევებში, მათი ჩართულობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს, როგორც კადრების საგანგაშოდ დაბალი რაოდენობით, ისე, მათი უფლებებისა და ვალდებულებების ზუსტად განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტის არარსებობით არის განპირობებული. პრობლემაა ასევე კოორდინაციის ნაკლებობა სხვადასხვა უწყებას შორის, რომელთაც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება ევალებათ.

ერთეული გამონაკლისების გარდა, სამართალდამცავ უწყებებსა და სასამართლო შენობებში ბავშვის საჭიროებებზე მორგებული, განცალკევებით არსებული გამოსაკითხი და დასაკითხი ოთახების არარსებობა ქმნის ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის მაღალ რისკს მისთვის ისედაც დამთრგუნველი პროცესის მიმდინარეობისას. მეორეული ვიქტიმიზაციის რისკის შემცველია ასევე საგამოძიებო ექსპერიმენტების ჩატარება და საქალწულე აპკის შემოწმების პრაქტიკა, რასაც არ აქვს სამეცნიერო საფუძველი სქესობრივი აქტის ან გაუპატიურების დასადგენად. საქმის მასალებიდან გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო სხდომაზე გამოკითხვისას, განსაკუთრებით, დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან, ბავშვის მიმართ გაჟღერდა მატრავმირებელი, დამადანაშაულებელი და შეცდომაში შემყვანი კითხვები თუ ფრაზები. ეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული სპეციალისტების კვალიფიკაციის ნაკლებობასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უგულებელყოფაზე მიუთითებს.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული კადრების ნაწილი, ფაქტობრივად, ყოველგვარი გადამზადების, მხარდაჭერის და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალების გარეშე საქმიანობს. მაშინაც კი, როდესაც ხდება კადრების გადამზადება, ეს მხოლოდ ნაწილობრივ ეხება სექსუალური ძალადობის დანაშაულთა სპეციფიკას, არ იძლევა ამგვარ შემთხვევებში რისკების გამოვლენის შესახებ საჭირო ინფორმაციას და ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალებში შესაბამისი უნარების გამომუშავებასა და დახვეწას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სპეციალისტებთან მიმართებით, ვისაც საქმის მიმდინარეობისას ეტაპობრივად ევალება ბავშვის საჭიროებების შეფასება სათანადო სპეციალისტების ჩართვის და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში ბავშვის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

სახელმწიფოს არ გააჩნია კონკრეტულად სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისები, რომლებიც შესაბამის სპეციალისტებს როგორც ბავშვებთან, ისე მათ ოჯახებთან გრძელვადიანი მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა. ამჟამად არსებული სახელმწიფო სერვისები მკვეთრად შეუსაბამოა ქვეყანაში არსებულ საჭიროებასთან. კადრების საგანგაშო სიმცირეს ემატება სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემაც, რაც ამ სერვისებით სარგებლობას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე აუცილებელია საზოგადოების, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების ცნობიერების ამაღლება. დანაშაულების შესახებ სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობის სიმცირე და დაგვიანებული მიმართვიანობა, მათ შორის, საზოგადოებაში არსებულ სტიგმას, სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს და კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების სისტემის არასათანადო რეაგირებას უკავშირდება, რაც ბავშვებსა და მათ მშობლებს აიძულებს, არ ისაუბრონ სექსუალური ძალადობის თაობაზე და ამყარებს გაუპატიურების დაუსჯელობის გარემოს.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, შეიცვალოს სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციები სისხლის სამართლის კოდექსში და ისინი დაემყაროს მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არსებობას, რაც უნდა შეფასდეს გარემომცველი გარემოებების გათვალისწინებით (ცვლილება ასევე მოახდენს გავლენას არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი დანაშაულების ფორმულირებაზე);
- არასრულწლოვნებთან მიმართებით, შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლებში, რათა არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად იძლეოდეს ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობას და ქმედების წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა;
- გაუქმდეს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი და მისი ინტეგრირება მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშულებში, რადგან 139-ე მუხლი წარმოადგენს გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ტოლფას დანაშაულს;
- სისხლის სამართლის კოდექსში მოხდეს არასრულწლოვნისგან „სექსის ყიდვის" კრიმინალიზება;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, პროსტიტუციაში ჩართული არასრულწლოვნის მიმართ, გაუქმდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (მუხლი 172[3]).

საქართველოს მთავრობას:

- განისაზღვროს უწყება, რომელსაც დაეკისრება სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის უწყვეტ ამაღლებასა და გადამზადებაზე პასუხისმგებლობა;
- დამტკიცდეს სოციალურ მუშაკთა გადამზადების სპეციალური მოდული, მათ შორის, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულებთან მიმართებით;
- სამართალდამცავი უწყების ყველა ტერიტორიულ ერთეულში გამოიყოს უშუალოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე განყოფილებები და მოხდეს მათი შესაბამისი სპეციალისტებით უზრუნველყოფა;
- შეიქმნას პროტოკოლი და სახელმძღვანელო პრინციპები, პროცედურები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტანდარტიზებული მეთოდოლოგია, რომლითაც მოხდება მოწმე-დაზარალებული არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური და ფსიქიატრი-

ული შეფასება. მოხდეს ექსპერტ-ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების ამ კუთხით სპეციალიზაცია, რომლის საფუძველზეც მიენიჭება უფლებამოსილება მსგავსი კვლევა ჩაატაროს არასრულწლოვან პირებთან;

- შეიქმნას არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პროტოკოლი, რომლითაც იხელმძღვანელებენ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის სპეციალისტები;
- სახელმწიფო უწყებებს შორის გაუმჯობესდეს კოორდინაცია არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის საქმეების დროული გამოვლენის, მათზე ეფექტიანი რეაგირებისა და ბავშვის შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფის კუთხით. მოხდეს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის (ე.წ. „ბარნაჰუსის მოდულის") დროული და ეფექტიანი იმპლემენტაცია და შეიქმნას ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე ორიენტირებული ცენტრი, რომელიც მულტიდისციპლინურ და უწყებათაშორის კოორდინირებულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პრინციპით უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საერთო სასამართლოებს:

- სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებული ძალადობა ვიწროდ არ უნდა აღიქმებოდეს და მისი დადასტურება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასქესო ორგანოებზე მიყენებული დაზიანებების მტკიცებულებითა და დამნაშავის ბიოლოგიური მასალის არსებობით. ძალადობა უნდა განიმარტებოდეს, როგორც ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობა და იძულება, რომლის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის ფიზიკური კვალის არსებობა;
- სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლში აღწერილი ხერხებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი) ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (სსკ-ის 138-ე მუხლი);
- როდესაც არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა ჩადენილია როგორც ფიზიკური ძალადობის, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის, ეკონომიკური ძალადობის, იძულების ან მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების კონტექსტში, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არასრულწლოვნის გაუპატიურებად და არა „თანხმობით" ჩადენილ სექსუალურ კავშირად (სსკ-ის 140-ე მუხლი);
- სავარაუდო დე ფაქტო ქორწინების შემთხვევებში ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების დროს, მოხდეს არასრულწლოვნის ნების დამთრგუნველი გარემოებების ზუსტი იდენტიფიცირება და აღნიშნულის საფუძველზე საქმის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირება;
- შეიცვალოს პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული სტანდარტი, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭიროა მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების ერთობლიობა;

- დაზარალებულის ჩვენების არარსებობა საქმეში არ უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემაფერხებელი გარემოება, როდესაც საქმეში არსებობს სხვა მტკიცებულებები.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექპლოატაციის დანაშაულების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ, შემუშავდეს გადამზადების მოდული;
- განისაზღვროს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექპლოატაციის დანაშაულებზე პროკურორების უწყვეტი გადამზადების სისტემა;
- შემუშავდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ერთიანი ფორმა, რომლითაც ზუსტად განისაზღვრება, რა ინფორმაცია უნდა შევიდეს დადგენილებაში;
- არასრულწლოვნის მიმართ სექსალური ძალადობის ყველა საქმეში მოხდეს ფსიქოლოგის სავალდებულო ჩართვა;
- ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შეფასება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და მსხვერპლის მიერ განცდილი ტრავმის შესაფასებლად. ამგვარი ექსპერტიზები პრაქტიკაში არ უნდა გამოიყენებოდეს, პირდაპირ თუ ირიბად, იმაზე დასკვნის გასაკეთებლად, თუ რამდენად სანდოა მსხვერპლი (სსსკ-ის 51.3-ის მოთხოვნების თანახმად);
- საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, მეორეული ვიქტიმიზაციის დიდი რისკის გამო, უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მსხვერპლის ტრავმირებისგან დაცვის გარანტიების უზრუნველყოფით;
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, მისი ტრავმული ეფექტის გამო, უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი აბსოლუტურად აუცილებელია საქმისთვის და როცა მსხვერპლი მის სხეულში შელწევაზე (და არა სხვა სახის ქმედებაზე) მიუთითებს;
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეშვეობით ვაგინალური გზით გაუპატიურების თაობაზე მტკიცებულების მოსაპოვებლად მხოლოდ საქალწულე აპკის შემოწმების პრაქტიკა (ე.წ. „ქალიშვილობის ტესტირება") უნდა შეწყდეს, ვინაიდან იგი არის დისკრიმინაციული პროცედურა და ვერ იძლევა სანდო ინფორმაციას იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა პირს სქესობრივი კავშირი და დაექვემდებარა თუ არა იგი გაუპატიურებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112" მიერ სავარაუდო ძალადობის შესახებ შეტყობინებათა სტატისტიკის წარმოებისას, მოხდეს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოყოფა და ცალკე დათვლა;

- გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკის წარმოებისას, შემთხვევები, სადაც მუხლის დისპოზიცია დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს არასრულწლოვანთან ერთად სხვა პირების მიმართაც, დაჯგუფდეს მსხვერპლის სტატუსის მიხედვით და არ მოექცეს ერთ კლასიფიკაციაში;
- საქმის გადაკვალიფიცირების შემთხვევაში, ცვლილება აისახოს გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკაში;
- მოხდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების) შემთხვევების სტატისტიკის წარმოება;
- შემუშავდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლოატაციის დანაშაულების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ გადამზადების მოდული;
- განისაზღვროს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლოატაციის დანაშაულებზე გამომძიებლების უწყვეტი გადამზადების სისტემა;
- არასრულწლოვნის მიმართ სექსალური ძალადობის ყველა საქმეში მოხდეს ფსიქოლოგის სავალდებულო ჩართვა;
- ყველა ტერიტორიულ ერთეულში მოეწყოს ბავშვზე მორგებული ოთახი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეფასდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოს საჭიროებები სოციალური მუშაკების კუთხით და, არსებული მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს მათი რაოდენობა;
- ფსიქოლოგებისთვის შემუშავდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულების შესახებ გადამზადების მოდული;
- სოციალური მუშაკებისთვის შემუშავდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულების შესახებ გადამზადების მოდული;
- გაიწეროს ფსიქოლოგთა და სოციალურ მუშაკთა უწყვეტი გადამზადების სქემა;
- შეფასდეს ფსიქოლოგის კადრის საჭიროება და ამის საფუძველზე გაიზარდოს მათი რაოდენობა;
- შემუშავდეს პროტოკოლი, რომლითაც მოხდება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების კადრების განაწილება სამუშაო სპეციფიკის მიხედვით;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო ეტაპზე ჩაერთონ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე გადამზადებული ფსიქოლოგები;
- შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, ზუსტად განისაზღვროს ფსიქოლოგის მონაწილეობა და ვალდებულებები გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შემუშავდეს ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის თემაზე ტრენინგ მოდული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის და კონკრეტულად გაწერილი გეგმის საფუძველზე, ეტაპობრივად გადამზადდნენ ამ მოდულით;
- შემუშავდეს ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის თემაზე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო ღონისძიებების მოდული, რომელიც კონკრეტულად გაწერილი გეგმის საფუძველზე ეტაპობრივად ჩატარდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- მოსამართლეებისთვის შემუშავდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის დანაშაულების შესახებ გადამზადების მოდული;
- ზუსტად განისაზღვროს სასამართლო პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი გარემოებები;

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- არასრულწლოვანთან გასაუბრების ოთახი მოეწყოს ყველა სასამართლოს შენობაში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:

- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობა შეფასდეს სამუშაო დატვირთულობის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება და გაიზრდება კადრების რაოდენობა გეოგრაფიული გადანაწილების და გენდერული ნიშნით არსებული საჭიროების შესაბამისად;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობა შეფასდეს სამუშაო დატვირთულობის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება და გაიზრდება კადრების რაოდენობა გეოგრაფიული გადანაწილების და გენდერული ნიშნით არსებული საჭიროების შესაბამისად;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტების სპეციალისტებისთვის შემუშავდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე გადამზადების მოდული;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტების სპეციალისტებისთვის შემუშავდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის სპეციფიკაზე გადამზადების მოდული;

- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტების სპეციალისტები გადამზადდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

- ადვოკატებისთვის შეიქმნას ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ გადამზადების მოდული;
- ადვოკატები გადამზადდნენ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ ტრენინგ მოდულით.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს:

- შემუშავდეს იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ხარისხის შეფასების მონიტორინგის მექანიზმი.

დანართი: ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაცია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია სექსუალური ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავ უწყებაში შესული შეტყობინებების, მომხდარი რეაგირებისა და დამდგარი შედეგის შესახებ 2018 და 2019 წლების მონაცემები.

კვლევის ფარგლებში ყველა მონაცემები გამოთხოვილია ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე დაზარალებულისა და ბრალდებულის ეთნიკური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა სტატისტიკას ამ მხრივ არ აწარმოებენ.[245]

2018-2019 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობის 611 საქმეზე დაიწყო გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა კი წარმოებდა სულ 368 პირის წინააღმდეგ. ამავე პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოების ზემოხსენებული მუხლებით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით განხილულია სულ 169 საქმე, რომელთაგან 157 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 3 საქმეზე – გამამართლებელი განაჩენი, 2 საქმე გადაკვალიფიცირდა, 6 საქმე შეწყდა, ხოლო 1 საქმეზე გამოტანილია ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. საქართველოს სააპელაციო სასამართლოებმა განიხილეს სულ 36 საქმე, ხოლო უზენაესმა სასამართლომ – 10 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 1 საქმეზე მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება, ხოლო 9 საქმე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საერთო სასამართლოების ინფორმაციის თანახმად, ყველაზე მეტი განაჩენი გამოტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეებზე. ამასთანავე, განაჩენების ძალიან დიდი ნაწილი (70 განაჩენი) არის ოჯახში ჩადენილ დანაშაულებზე, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა არის ადრეული ქორწინების შემთხვევები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევათა უმრავლესობა კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 11^1.140(1) მუხლებით.

2018-2019 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 253-254-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეზე არ იძებნება განაჩენი, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეებზე არასრულწლოვნისთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ.[246]

დამატებით, კვლევის ფარგლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და სსიპ სა-

[245] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02699713, 18/11/2020, საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენციები: №13/38462, 13/07/2020, №13/11725, 02/03/2021.
[246] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №ოს/838-20, 16/11/20; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, 15/12/2020; საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/70869, 23/12/2020.

ხელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან გამოვითხოვეთ სსკ-ს 137-141, 255-255[2] და 253-254 მუხლებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების საფუძველზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, დაზარალებულად ცნობისა და განაჩენების 2014-2020 წლების სტატისტიკა.

ცხრილი №1



არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებების ზუსტი სტატისტიკა, ამ ეტაზე, არ იწარმოება. კერძოდ, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112" არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შესახებ შეტყობინებებს ყოფს მხოლოდ ორ კატეგორიად: „გარყვნილი ქმედება" და „ძალადობა არასრულწლოვნის მიმართ". „გარყვნილ ქმედებაში" მოიაზრება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, ხოლო „ძალადობა არასრულწლოვნის მიმართ" მოიცავს ნებისმიერი სახის ძალადობას, რომელმაც ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია და შრომითი ექსპლოატაციის შემთხვევებს. ეს შეუძლებელს ხდის იმის ზუსტად დადგენას, არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის რამდენი შემთხვევის შეტყობინება შევიდა დროის კონკრეტულ მონაკვეთში სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში". კერძოდ, 2018-2019 წლებში „112-ის" საშუალებით „გარყვნილი ქმედების" შესახებ გაკეთდა 126 შეტყობინება, ხოლო „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის" შესახებ 1003 შეტყობინება, თუმცა შეუძლებელია იმის დადგენა, უშუალოდ სექსუალური ძალადობის რამდენი სავარაუდო შემთხვევის შესახებ შეტყობინება გაკეთდა.[247]

[247] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02699713, 18/11/2020.

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ განცხადებების და შეტყობინებების რაოდენობა აღირიცხება უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულებშიც. ამ შემთხვევაში მსგავსი შეტყობინებები ექცევა ერთი კატეგორიის – „სექსუალური ძალადობა არასრულწლოვნის მიმართ", ქვეშ. კერძოდ, 2018-2019 წლებში ამ კატეგორიის ქვეშ მოექცა სულ 601 შეტყობინება/განცხადება. ამ კუთხით ყველაზე მეტი მიმართვიანობა იყო თბილისში, ქვემო ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კახეთში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასეთი სტატისტიკა, შეუძლებელია იმის დადგენა, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის რამდენი ფაქტის შესახებ გაკეთდა შეტყობინება სამართალდამცავ უწყებაში. ასევე, შეუძლებელია, ამ მაჩვენებლის სსკ-ს რომელიმე მუხლების მიხედვით დიფერენცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს სახელმწიფო უწყებებიდან ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების)[248] პროცედურების ფარგლებში მიღებული საქმეების სტატისტიკას.[249]

ცხრილი №2



მიუხედავად აღნიშნული სტატისტიკის არსებობისა, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია იმის დადგენა, არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის რამდენ შემთხვევაზე დაიწყო მოცემულ პერიოდში გამოძიება. კერძოდ, არ ხდება იმ შემთხვევების განცალკევებულად დათვლა, სადაც მუხლის შემადგენლობა არასრულწლოვანთან ერთად მოიცავს დანაშაულის განხორციელებას ორსულის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა მოიცავს მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის შედეგს. შესაბამისად, საქმეები, რომლებიც შემდგომ გადაკვალიფიცირდება, როგორც არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევა, ვერ ხვდება ამ რაოდენობაში.

[248] ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №437, 12/09/2016.
[249] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02699713, 18/11/2020.

ცხრილი №3



2018-2019 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ 317 არასრულწლოვანს მიენიჭა.

ცხრილი №4



ცხრილი №5



საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2018 და 2019 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიღებულია სულ 3 საქმეზე, ხოლო გამოძიების შეწყვეტის შესახებ – 119 საქმეზე. ამასთანავე, აქედან სისხლის სამართლის 4 საქმეზე განახლდა გამოძიება. სისხლის სამართლის 253-ე და 254-ე მუხლებით, არასრულწლოვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება არ შეწყვეტილა.[250]

ცხრილი №6



სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით კვალიფიცირებული საქმეების (72 საქმე) უმრავლესობა (65 დადგენილება) ადრეული ქორწინების შემთხვევა იყო. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის სავარაუდო შემთხვევის შესახებ, სამართალდამცავ ორგანოებს, როგორც წესი, მიმართავს სამედიცინო დაწესებულება (22 შემთხვევა), სოციალური მომსახურების სააგენტო (14 შემთხვევა), სამოქალაქო რეესტრი (11 შემთხვევა) და თავად დაზარალებულის ოჯახი (21 შემთხვევა). სამედიცინო დაწესებულება, სოციალური მომსახურების სააგენტო და სამოქალაქო რეესტრი სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს ადრეული ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით, ხოლო ოჯახის წევრები – გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების და გარყვნილი ქმედებების შემთხვევაში.

კვლევის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გენერალური პროკურატურიდან და უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკის თანახმად, 2014-2020 წლებში სსკ-ს 137-141, 255-255[2] და 253-254 მუხლებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების მიხედვით გამოძიება დაიწყო 1743 საქმეზე,[251] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1499 საქმეზე, ხოლო განაჩენი გამოტანილია 780 საქმეზე,

[250] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 4 20 02909322, 15/12/2020; საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია N13/70869, 23/12/2020

[251] ეს ინფორმაცია არის რეალობასთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სტატისტიკა წარმოებს სსკ-ს კოდექსის მუხლის და პუნქტის მიხედვით, რომელიც შესაძლებელია, ასახავდეს მხოლოდ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ამასთანავე, სტატისტიკა ასახავს მხოლოდ საქმის პირვანდელ კვალიფიკაციას და არ მოიცავს საქმის გადაკვალიფიცირების მაჩვენებელს.

რომელთაგან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 767 საქმეზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე.[252]

ცხრილი №7



აღსანიშნავია, რომ 2014-2019 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 1499 საქმეზე, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 1092 არასრულწლოვანი.[253]

ცხრილი №8



სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით,[254] 2014-2020 წლებში სარეაბილიტაციო თუ ბავშვის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისებით ისარგებლა სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა 831 არასრულწლოვანმა.

[252] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/16988, თარიღი: 25/03/2021; საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია: პ-161-21, თარიღი: 31/03/2021; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 7 21 00736841, თარიღი: 26/03/2021.
[253] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/16988, თარიღი: 25/03/2021; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 7 21 00736841, თარიღი: 26/03/2021.
[254] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/3713, 06/05/2021.

ცხრილი№9



საგულისხმოა, რომ ამ მონაცემებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 350 არასრულწლოვანი დარჩა საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახში, ხოლო 236 არასრულწლოვანი ახლადშექმნილ ოჯახში, ადრეული ქორწინების შემთხვევისას.